ლეგა ბუ

ტყიურები

თბილისი

2015 წ.

ლეგა ბუ

ტ ყ ი უ რ ე ბ ი

თბილისი

2015 წელი

ლეგა ბუ. ტყიურები. (მიხ. პრიშვინისეული მონათხრობი).

თბილისი. 2015 წელი. 129 გვ.

თარგმანს ვუძღვნი ყველა ბუნების მოყვარულ ადამიანს.

ცნობილი ინდიელი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ბუნების ქომაგის ლეგა ბუს სახელი და გვარია არჩიბალდ სტეფანი ბილეინი. ინდიელებმა დაარქვეს ვეშა–კუონეზინი ანუ ღამით მონადირე.

ლეგაბუ დაიბადა 1888 წლის 18 სექტემბერს კანადაში. მისი დაბადების ადგილი უცნობია და ოჯახის საიდუმლოდ დარჩა. მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა კი ოჯიბუეის ტომის ინდიელი. მის ადრეულ ბავშვობაში მის მამას, როგორც კოლონიზატორთა ჯარის მზვერავს, დაავალეს ინდიელთა დასჯა, რაზედაც უარი განაცხადა და ოჯახმაც ინგლისს შეაფარა თავი. ლეგა ბუ ადრე დაობლდა. მას ზრდიდა გაუთხოვარი მამიდა, რომელმაც შეასწავლა ისტორია, გეოგრაფია და ინგლისური ენა. ცამეტი წლის ასაკში ლეგა ბუ იუნგად მოეწყო გემზე და ასე დაბრუნდა კანადაში. აქ ის შეიფარა ონტარიოს შტატში მოხეტიალე ოჯიბუეის ტომმა. ლეგა ბუმ შეითვისა მათი ადათ–წესები და მთელი თავისი სიცოცხლე მათი მადლიერი იყო.

კანადის ბრიტანულმა მთავრობამ ლეგა ბუ I იმპერიალისტურ ომში გაიწვია. ის სნაიპერი იყო. ომში ორჯერ დაიჭრა და 1917 წელს კანადაში დაბრუნდა.

ლეგა ბუ ნადირობდა ბეწვიან ცხოველებზე, ტურისტულ ჯგუფებთან მუშაობდა გამყოლად. ომიდან დაბრუნებულს ბუნება, ტყეები გაჩანაგებული დახვდა. კოლონიზატორები ჩეხდნენ და წვავდნენ ტყეებს, რათა რკინიგზა გაეყვანათ და ქალაქები გაეშენებინათ. ლეგა ბუ ორ წელზე მეტხანს დაეხეტებოდა, ეძებდა ხელუხლებელ ტყეს ანუ დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანას. ამ ხეტიალისას მან ცოლად შეირთო ნაცნობი ქალიშვილი გერტრუდა ბერნარდი, რომელიც იროკეზების ტომის ბელადის შთამომავალი იყო. მას ინდიელთა ენაზე ანახარეო ერქვა ანუ პონი.

გვიან შემოდგომით, როცა ყინვები იწყებოდა, ცოლ–ქმარმა მიაგნო თვალწარმტაც არყების ტბას. აქ, ტბის პირას, ფიჭვნარში რამდენიმე ვერხვიც ერია. აქვე თახვებიც ბინადრობდნენ.

ერთი შემხთვევის გამო ლეგა ბუს სულში გარდატეხა მოხდა. მის მიერ თახვებისთვის დაგებულ ხაფანგში დედა თახვი გაება, რომელსაც პატარა შვილები ძუძუს წოვდნენ. ამ სულისშემძვრელი სურათის ხილვის მერე ლეგა ბუმ აღთქმა დადო, რომ თახვებზე აღარ ინადირებდა და დაობლებული პატარა თახვები თავის ქოხში წამოიყვანა და გაზარდა.

ესენი იყვნენ მისი პირველი მოშინაურებული თახვები: მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი. მაგრამ რითიმე ხომ უნდა ეარსება? ის ნადირობდა წავებზე, ონდატრებზე, ცხენ–ირემზე და სხვა.

ცოლის რჩევით ლეგა ბუმ ნარკვევი დაწერა ბუნების შესახებ და ლონდონში ერთ ცნობილ ჟურნალს გაუგზავნა. მისი ნარკვევი მოიწონეს და თანამშრომლობა შესთავაზეს. ამის მერე სისტემატურად უგზავნიდა ნარკვევებს სხვადასხვა ჟურნალებს, ბუნების შესახებ ლექციებს კითხულობდა მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე.

კანადის ეროვნული პარკების სამმართველომ ლეგა ბუს ტყისმცველის თანამდებობა შესთავაზა სასკაჩევანის შტატში მდებარე პრინც ალბერტის ეროვნულ პარკში. აქ, აჟაუანის ტბის პირას ლეგა ბუმ ზუსტად ისეთივე ქოხი ააგო, როგორიც თვალწარმტაცი არყების ტბის პირას ედგა. აქ დაწერა მან თავისი წიგნები: ინდიელთა საზღვარი, ტყიურები, საჯო და მისი თახვები და უკაცრიელი ქოხის მოთხრობები.

1936 წელს მასზე და მის თახვებზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი “თახვების ერი”.

1938 წელს ლეგა ბუ მიწვეული იყო თავისი წიგნების პრეზენტაციაზე ლონდონში. იგი მიიღეს ბრიტანეთის სამეფო კარზე.

ლეგა ბუ მალე პნევმონიით დაავადდა და კანადაში დაბრუნებული თავის ქოხში გარდაიცვალა 1938 წლის 13 აპრილს. დაკრძალულია იქვე, ქოხთან ახლოს.

1999 წელს რეჟისორმა ატენბორომ გადაიღო მხატვრული ფილმი “ლეგა ბუ”.

მარინე ამბარდნიშვილი

ნაწილი I.

მოგზაურობა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ

ბედისმაძიებელი

მოგზაურობა იწყება ჩრდილოეთ კანადის პატარა ქალაქიდან, სადაც ლეგა ბუ ირგვლივ ტყეებში მოპოვებულ ბეწვეულს ყიდდა. ამ ქალაქში ერთადერთი სავაჭრო, "ჰუძონის უბის კომპანია" იყო და ხის სამხერხაო, კიდევ, მთის ფერდობებზე უწესრიგოდ გაფანტული დაახლოებით ორმოცდაათამდე პატარა სახლი და განცალკევებით მდებარე ინდიელთა ბანაკი.ამ პატარა ქალაქ ბისკოში არ იყო ჩვეულებრივი ქალაქური ქუჩები და არც მესერები, მიუხედავად ამისა ბისკო საკმაოდ ცნობილი ქალაქი იყო, რადგან წყალუხვი მდინარეების აუზში მდებარეობდა. ამ მდინარეებიდან თუნდაც მხოლოდ მისსისსაუგუს და მატავ–გამის დავასახელებთ. ბისკოდან სამხრეთით გზა ზემო და ჰურონის ტბებისკენ მიემართებოდა, ჩრდილოეთით კი ყინულოვანი ოკეანისკენ. აქაური მენავეები და გამყოლები სახელგანთქმულნი იყვნენ და კიდევ ის, რომ ცოტა ხნის წინათ ონტარიოს პროვინციაში მდებარე ალგამის რაიონი მთელს ჩრდილოეთ კანადაში ძვირფასბეწვიანი ნადირით მდიდარ მხარედ ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც "მოხეტიალე მონადირეები" შემოესიენ, ქალაქი გაუკაცრიელდა და ნადირი თითქმის გადაშენდა.

ქალაქი ბისკო ჩვენი წიგნის გმირის, ლეგა ბუს სამშობლოა. მან თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი უკიდეგანო ტყეებსა და ასეულობით მილი სიგრძის სამდინარო გზებზე გაატარა. ლეგა ბუ წელიწადში ორჯერ თავისი "დამჯერი" კანოეთი ბისკოში მიდიოდა, ბეწვეულს გაყიდდა, სურსათს იყიდიდა და კვლავ მშობლიურ ტყეებს უბრუნდებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი დასრულდა. მშვიდობით თეთრკანიანო და წითელკანიანო მეგობრებო! გულდამძიმებულმა ლეგა ბუმ შორს, დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ გასწია. სამშობლოს მხოლოდ ის არ ტოვებდა. გაჩანაგებულ ადგილს სხვებიც ტოვებდნენ, მაგრამ გზაში არავინ შეამხანაგებია. ყველამ მისსისსაუგუდან შორს ნაძვნარითა და ნეკერჩხლის ტყეებით დაფარულ კლდეებსა და მთარგრეხილებს მიაშურა.

გაზაფხულის ერთ საღამოს ფიქრებით გულდამძიმებულმა და დარდიანმა ლეგა ბუმმ მარტოდმარტომ დატოვა მშობლიური ქალაქი. მსუბუქი კანოე შორს, გაურკვეველი მომავლისაკენ მიაქანებდა. ასე, ნიჩბის მოსმაში გაიარა დაახლოებით 19 კმ და პირველ საჭაპანო ბილიკს მიაღწია, რომელიც 6,5 კმ სიგრძის იყო. ეს საკმაო მანძილია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტვირთი და კანოეც უნდა ათრიო, მაგრამ ბილიკი სწორი იყო და მთვარის შუქით კარგად განათებული. ტყეში ცხოვრებით გაკაჟებული ინდიელი გზას არ შეუშინდა, პირიქით, საქმეში გართულს ფიქრის დრო არც კი ჰქონდა. ყველაფერი ერთ ჯერზე წაღო შეუძლებელი იყო. ჯერ ნახევარი ტვირთი გადაიტანა, მერე დანარჩენის წასაღებად მობრუნდა. ასე, რომ 6,5 კმ–ის ნაცვლად 13 კმ გამოვიდა ტვირთით და 6,5 კმ უტვირთოდ. ასეთი ჯაფა ნებისმიერს ფიქრს გაუფანტავდა. დილით, როცა ტვირთის გადატანას მორჩა, დაიძინა, შუადღემდე ეძინა, მერე კი გზა კვლავ კანოეთი გააგრძელა.

წინ, შორს ნანატრი ქვეყანა იყო. ირგვლივ ნაცნობი ადგილები, მაგრამ გულისდამწველი სანახაობა, სალი კლდეები და შეტრუსული ხეები, ტყის ხანძარს მიდამო სულ გაეუდაბურებინა და ლეგა ბუც ჩქარობდა, ჩრდილო–აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთ ქვებექის მეჩხრად დასახლებული აბიტიბის რაიონისკენ ისწრაფვოდა, სადაც, როგორც ამბობდნენ ოჯიბუეის ტომი ბინადრობდა.

გზა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ მეტწილად გაჩანაგებულ, ამჟამად ძნელად საცნობ ადგილებზე გადიოდა. გაუკაცრიელებულ, ნახანძრალ ადგილებზე რკინიგზები გაეყვანათ, ადამიანებს არცკი შეეხედებოდათ. ადგილობრივი ტყისმჭრელები მოუვლელნი, ჭუჭყიანები და დაუვარცხნელნი იყვნენ. მათ საკუთარ ქვის სახლებში სციოდათ და იყინებოდნენ. ლეგა ბუ თავისდა უნებურად ფიქრობდა: “მერე რა იქნება?”

მერე ისევ გულის გატეხა და იმედგაცრუება. გზა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ იოლი არ იყო. აი, კარგად ნაცნობი ფორტი მატავგამი. სულ დატბორილა და მისგან მწვერვალზე აგებული მისიონერთა პატარა ეკლესიაღა დარჩენილა. ლეგა ბუ პირდაპირ ეკლესიის კარიბჭესთან მიცურდა. მეორე ნაპირზე სავაჭრო პოსტის უსიამო და ცივი შენობა მოჩანდა და ჩვენმა მონადირემ ნასადილევს ასე 800 მეტრის მოშორებით ჩაუარა.

ჩვენს მოგზაურს გზად ნაცნობები ხვდებოდნენ და ძველ მეგობრებზე გულისმომკვლელ ამბებს უყვებოდნენ. აი, მოხუცი მეწისქვილე დატბორილი ქალაქ მატავგამიდან. სული ვერ მოითქვა მოხუცმა, ფეხზე ვერ დადგა. ის “ჰუძონის უბის

კომპანიის” ქირით ცხოვრობდა და სულ თავის წისქვილზე დარდობდა. ძველი მეგობრები: მენავეები, მტვირთავები, გამყოლები, “ინდიელთა მფრინავი ფოსტა”, რა დღეში იყვნენ ყველანი! აი, მაკ ლეოდი ტბა ელბოგენიდან, როგორი სამწუხარო ხვედრი ერგო. ნიჩბის მოსმისას თეძო დაიზიანა, მერე განგრენა განუვითარდა და ფეხის დათმობა მოუწია. ვერავინ ანუგეშებდა და წყევლა–კრულვაში აღმოხდა სული. გარდაიცვალა ჯონ ბუფალო, სახელგანთქმული მონადირე მდინარე მონრეალიდან, თითქმის ინდიელთა მიწა–წყლის სიმბოლო. ლეგა ბუს ძველი მეგობრები ტყეებიდან გააძევეს და აიძულეს ქალაქში ეცხოვრათ. ზოგს განგრენა, ზოგს რევმატიზმი, აბა, წარმოიდგინე! სახელოვანი მონადირე ანდი ლიუკი, რომელსაც 400 ფუნტის [1] აწევა ბავშვურ თამაშად მიაჩნდა, ამჟამად რკინიგზაზე დღიურად მუშაობდა! სახელგანთქმული ალეკ ლანგევინი, რომელსაც 80 კმ–ის თხილამურებით გადარბენა არაფრად მიაჩნდა, იძულებული გახდა ქვებექში კვერნებზე სანადიროდ წასულიყო. ლეგა ბუს აქეთობისას ხელცარიელი შეხვდა. აი, კიდევ ტომი სავილი, თეთრი ინდიელი, რომელიც ყმაწვილობისას ოჯიბუეის ტომმა შეიფარა. მან ოქროს ციებ–ცხელებისას საკმაო ქონება დააგროვა, ამჟამად სადღაც ქალაქში ცხოვრობდა და ხელუხლებელი ტყეები ენატრებოდა. ამბობდნენ, რომ სარდაფში ჩადიოდა, ნაფოტებისგან პატარა კოცონს ანთებდა, ჩაის იდუღებდა და თავისი ნადირობის ამბებს იგონებდა.

ტყის სამყარო ინგრეოდა და მხოლოდ იმედის პატარა ნაპერწკალიღა ღვიოდა, რომ სადღაც კვლავ არსებობდა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანა. შემდეგ კი ყველაფერი უარესად იყო, თვით ოდესღაც მდიდარ ადგილებშიც, როგორიც შაინივტრი და გავანდაა. ამ ადგილებში რკინიგზები გაიყვანეს და ბურჟუაზიულმა პროგრესმა ყველა ერთად შეყარა. ტყის ხალხი გაკაჟებული, გამოწრთობილი იყო და ვერანაირი ძალა ვერ ჩაახშობდა უკეთესი ცხოვრების იმედს, იმას, რომ ადრე თუ გვიან ოქროს მდიდარ საბადოს მიაგნებდნენ. მოხეტიალე მონადირეს, როგორც დაჩაგრული ეროვნების ადამიანს, ბურჟუაზიული პროგრესი სხვანაირად ძნელად წარმოუდგენია, თუ არა მასზე დაყრილი მუშტები და გირჩები. ის თავისი თვალით უყურებდა საშინელ სინამდვილეს, რომ გავანანდის ტბასთან მდებარე ადგილები გადამწვარი იყო და მხოლოდ სალი კლდეები და ლოდები დარჩენილიყო.

[1] ფუნტი– ინგლისური წონის ერთეული, უდრის 453,6 გრამს.

ჩვენი მოგზაური დღითი დღე წინ მიიწევდა თავისი კანოეთი, არც მეტი და არც ნაკლები 650 კმ გაიარა და ონტარიოს რკინიგზაზე მდებარე ქალაქ ტემისკამინგს მიაღწია. აქ ის ადრეც ყოფილა, როცა აქ მხოლოდ სასაზღვრო პოსტი მდებარეობდა. მაშინ ჯერ რკინიგზები არ იყო და აქაურ უღრან ტყეებში ლეგა ბუ და მისნაირი ინდიელები მოგზაურ მონადირეებთან გამყოლებად მუშაობდნენ ზამთრობით და ზაფხულის თავგადასავლებს მხიარულად იხსენებდნენ. ასე იყო თხუთმეტი წლის წინათ და სასაზღვრო პოსტი შარაგზის ტურისტების ხმაურიან ბუდედ გადაიქცა. ლეგა ბუს აქ მისვლისას ნიუ–იორკის ერთი საზოგადოება გამყოლს ეძებდა. ისიც დათანხმდა. ეს იყო მხიარული საზოგადოება, მეგობრულად ექცეოდნენ, ისე, როგორც ამერიკელებს შვებულების დრსო ჩვევიათ. ამჟამად მათსა და გამყოლებს შორის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. ძველად გამყოლებს ამხანაგებივით უყურებდნენ, ახლა კი ტურისტების მოსსახურებასაც ავალებდნენ. ახალი წესების შემხედვარე გამყოლები გაოცებისგან თავს აქნევდნენ. რა გაეწყობოდა! თუ ტყეში ფაფუკბეწვიანი ნადირი აღარ ჭაჭანებდა, მონადირეს რაღაცით ხომ უნდა ეარსება.

ახალი წესებით გაწბილებულმა ლეგა ბუმ ფოსტით მიღებული თავისი ნივთები 490 კმ–ით შორს გააგზავნა, სურსათის მარაგი შეავსო და გზა კვლავ კანოეთი გააგრძელა. ნადირობის მოგონებები მოგონებებად დარჩა, ირგვლივ ტყეს არც კი შეეხედებოდა.

ლეგა ბუს ქორწინება

ლეგა ბუ უფრო და უფრო შორს მიცურავდა, გადამწვარი ტყეები უკან მოიტოვა, ერთი ადგილიდან მეორეში თავის ნივთებს აგზავნიდა და სურსათვის მარაგსაც ივსებდა. შემოდგომაზე შეჩერდა და ხაფანგები დააგო. ასე გაიარა ორმა წელმა და ამ დროში კანოეთი 3230 კმ გაცურა. წისვლა უფრო და უფრო უძნელდებოდა, რადგან პატარა მდინარეები ეღობებოდნენ და ერთი მდინარიდან მეორემდე ტვირთის და კანოეს თრევა უწევდა. ლეგა ბუ საჭაპანო ბილიკებზე ისე დაიქანცა, რომ გზის უკანასკნელი მონაკვეთი რკინიგზით გაიარა. ინდიელი მატარებელში მხოლოდ დაღლილობის გამო არ ჩაჯდებოდა, თუ არა უფრო საყურადღებო მიზეზი. ლეგა ბუს წერილი უნდა გაეგზავნა ქალიშვილისთვის, რომელცი ერთი წლის წინ ერთ საკურორტო ქალაქში გაიცნო. ლეგა ბუ იქ გამყოლად მუშაობდა. ეს ქალიშვილი იროკეზების ტომიდან იყო, სათნო და შედარებით განათლებული. ის საზოგადოების უფრო მაღალ ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენს მონადირეს იმედი არ დაუკარგავს და ეტრფოდა. ისე მოხდა, რომ ლეგა ბუმ რკინიგზის სადგურს მიაღწია, საცოლისთვის ბილეთი იყიდა და გაუგზავნა. ისიც ჩამოვიდა და ცოლად გაჰყვა.

აი ასე დაქორწინდა ლეგა ბუ!

ახალდაქორწინებულები ბევრ რამეში თვისობრივად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ლეგა ბუ ინგლისელ მამიდასთან იზრდებოდა, ინგლისური ენა, ისტორია და გეოგრაფია აინტერესებდა, ინგლისურად არცთუ ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ადრეულ ჭაბუკობისას მეტწილად ტყით ირჩენდა თავვს და ამიტომ ინგლისურად დამლაპარაკებელი არავინ ჰყავდა, მაგრამ შესანიშნავი მეხსიერება და კითხვის წყურვილი ყმაწვილობაში დანთებულ ენის ინტერესს არ უქრობდა. ინგლისური ენა ლეგა ბუსთვის ახალი კოსტიუმივით იყო, რომელსაც მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში იცვამენ და თავს უხერხულად გრძნობენ. როცა ლეგა ბუს გულს ტკენდნენ, გულჩათხრობილი ხდებოდა, რათა პიროვნული თავისუფლება არ დაეკარგა. ხასიათის ეს თვისება განსაკუთრებით სამხედრო სამსახურში გაუძლიერდა. ლეგა ბუსნაირი გმირები რომანებში იშვიათად გვხვდებოდა. მას ოფიცრის ჩინი არ იზიდავდა. არმიაში რიგითად შევიდა და ჭრილობების

გამო რიგითად დაუბრუნდა მშობლიურ ტყეებს. სნაიპერობამ მისი შეხედულება თეთრკანიანთა ბატონობაზე უკეთესობისკენ ვერ შეცვალა ანდა ევროპულ ომში[2] რა ხეირს ნახავდა დაჩაგრული და ამოწყვეტის პირას მყოფი ხალხის შვილი?

დროდადრო ანახარეო ძლიერ ნაღვლობდა, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევდა. მხოლოდ ერთხელ სთხოვა ქმარს, რომ მისთვის რადიომიმღები ეყიდა, მაგრამ მაშინ ლეგა ბუს სჯეროდა, რომ ელექტროდენი ატმოსფეროში ამინდზე გავლენას ახდენდა. მას ეუხერხულებოდა ის, რომ სადღაც მონრეალში ანდა ლოს–ანჟელესში ვინმე ახალგაზრდა იმღერებდა და ამით ტყეში ვინმეს თხილამურებით მოძრაობაში ხელს შეუშლიდა, ამიტომ ლეგა ბუ რადიომიმღებზე ფიქრსაც კი გაურბოდა. ცოლ–ქმარი ქოხის ერთადერთი სარკმლიდან ბუნების ცქერით ტკბებოდა და ყოველ საღამოს მზეს აცილებდა. ეს მშვენიერი სანახაობა იყო! სადილზე ბევრს ხუმრობდნენ, მზის ამოსვლამდე დგებოდნენ და ღამეებსაც კი ტყეში ატარებდნენ. ციგებს, თხილამურებს და კანოეს წმინდა სისხლის ცხენებივით უვლიდნენ. ამ პატარა ქალს ხშირად სადილის დრო დავიწყებია. ანახარეო ტყეზე ეჭვიანობდა, ქმარი კი კვერნით მდიდარ ტყეზე ელაპარაკებოდა და მთელ თავისუფალ დროს დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნის ძიებაში ატარებდა, ცოლი კი ამის ხსენებას ვეღარ იტანდა, ქმარი კი მასში ცვლილებას ვერ ამჩნევდა.

ასე ცხოვრობდნენ, ჭამდნენ, ეძინათ, ხაფანგები ესიზმრებოდათ, ნადირობდნენ, საღამოობით კი რუკისკენ დაიხრებოდნენ და ახალ გზებზე ბჭობდნენ. ლეგა ბუ თავის საქმეში მთლიანად იყო ჩაფლული, სხვა არაფერზე ფიქრობდა, მისთვის ნადირობა რელიგიასავით იყო და როგორც ფანატიკოსი, ცდილობდა თავის რწმენა სხვისთვისაც მოეხვია.

[2] ევროპული ომი – იგულისხმება I იმპერიალისტური ომი, 1941–1918 წწ.

შემობრუნება

დაძაბულ შრომაში გადიოდა დრო, მუდამ სანადიროდ სიარული, შემოდგომაზე ხაფანგების დაგება უნდა მოესწროთ. და აი, ერთხელ, შობის წინ, როცა ლეგა ბუ მორიგი ხანმოკლე არყოფნის მერე შინ დაბრუნდა, თავისი ინდიელი ამაყი ცოლი საწოლზე მიწოლილი დახვდა. ანახარეოს ტირილისგან თვალები დასიებოდა. თავი იჩინა ცხოვრებისეულმა წვრილმანებმა. თავდაპირველად ქმარი ვერაფრით ხვდებოდა თუ რაში იყო საქმე, თითქოს ყველაფერი თავის რიგზე იყო. უყურადღებო და გულგრილი თავის ცოლის მიმართ არ ყოფილა, როგორც ეს ინდიელებს სჩვევიათ, პირიქით, აფასებდა და პატივისცემით ეპყრობოდა, მისით აღფრთოვანებული იყო! ან კი როგორ არ უნდა აღფრთოვანებულიყო ასეთი ქალით.

– პატივისცემა! – უთხრა ცოლმა.

– მაგრამ ეს ხომ გარდაცვლილებს ეკუთვნით. – მიუგო ქმარმა.

– აღფრთოვანება!

– მერე ამით რა? შეიძლება წარმოდგენით აღფრთოვანდე.

– ჩვენ შესაბმელი ძაღლებივით ვცხოვრობთ, ღუმელს ვახურებთ, ვჭამთ...

ლეგა ბუ გაოცებული ისმენდა ცოლის საჩივარს ჭამის დროს მისი არათავაზიანი ქცევის გამო თვით იმ ქალისგან, რომელსაც შეეძლო წვიმაში გაღიმებულს სძინებოდა. მერე კი:

– მუდმივი ფიქრი და ოცნება იმაზე, თუ სად უკეთესია ხაფანგების დაგება, ამის შემდეგ კი თავის მოწონება, რომ სხვებზე მეტი მოვინადირეთ!

ამ უკანასკნელმა საყვედურმა ლეგა ბუს გული დასწყვიტა და დანაღვლიანდა.

“რაში ვარ დამნაშავე? – ფიქრობდა ლეგა ბუ. – მე ხომ ჩვენი არსებობისთვის ვიღწვი! სხვანაირად როგორ? აი, ახლა ბეწვეულის ფასი ეცემა, ამიტომ მეტი უნდა მოვინადიროთ. მე რა შუაში ვარ?”

ლეგა ბუ გრძნობდა, რომ ცოლი მართალი იყო. ის ანახარეოს საყვედურებს რამდენადმე აღელვებული ისმენდა, მაგრამ არ ბრაზდებოდა. ქოხიდან თავისი საყვარელი სერისკენ გასწია. კოცონი დაანთო, თამბაქო მოსწია, მომხდარზე ფიქრობდა, მერე მოკლული კვერნა გაატყავა, ფიქრებში ჩაიძირა და წარმოიდგინა თუ როგორ განიცდიდა პარტოობას ანახარეო.

მოულოდნელად თავისი თავკერძაობა გაიაზრა, რაც ხეტიალისას დასჩემდა. პატივისცემა, ყურადღება, აღფრთოვანება! ეს ხომ მისი განცდების ნამცეცები იყო და ეს ნამცეცები მიართვა იმ ქალს, რომელმაც თავისი გული მიუძღვნა!

ლეგა ბუმ დაივიწყა თავისი მამაკაცური თვითდაჯერებულობა, უფლებები და თხილამურებით მთის ვიწრო ბილიკით ბანაკისკენ დაეშვა. “ოღონდ არ დამაგვიანდეს”.. – ფიქრობდა.

იმ ღირსახსოვარ საღამოს, როცა ლეგა ბუ თავის თავს ჩაუღრმავდა, იწყება მისი სულიერი სწრაფვა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ნამდვილი ქვეყნისკენ, იმ ქვეყნისკენ, რომელსაც ადამიანი თავისი შემოქმედებით ქმნის. იმ საღამოს მოხდა მისი შემობრუნება, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა.

თახვებზე ნადირობა

ვერ ვიფიქრებთ, რომ თახვებზე მონადირის სულიერი შემობრუნება უცაბედად მოხდა. ყველაფერს დრო სჭირდება. თუ ასეთი მოულოდნელი შემობრუნებები გარემოებების გავლენით ხდება, მაშინ ეს ხანმოკლე დროის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ამ შემთხვევაში შემობრუნებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა თვითანალიზის, გონებრივი გამჭრიახობის, წინსვლის მონაცვლეობით. ასე რომ შემობრუნება თვითდისციპლინას მოითხოვს და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ მოხდება.

იმ ღირსახსოვარი საღამოს მერე ლეგა ბუს ოჯახურ ცხოვრებაში გამოიდარა. ცოლ–ქმარი კვლავაც გულმოდგინედ ნადირობდა, მაგრამ როცა შინ ბრუნდებოდნენ ამაზე არაფერს ამბობდნენ. თავიაანთი მყუდრო ქოხი მორთეს და მოკაზმეს და ისეთ საკითხებზე მსჯელობდნენ, რასაც ადრე არცკი ახსენებდნენ. დღისით ნადირობისას, როცა მათი გზები გაიყრებოდა, ორივენი ისევ ერთმანეთისკენ ისწრაფვოდა. თხილამურებით რბენისას ვინც პირველი უბრუნდებოდა ძირითად ბილიკს, თოვლზე სახუმარო წერილებს წერდა. ასე ნელ–ნელა ბედნიერება დაუბრუნდათ და ანახარეოც ძველებურად შემოქმედი და ხალისიანი გახდა. ლეგა ბუსთვის კი ამ ცხოვრებისეულ გაკვეთილს ამაოდ არ ჩაუვლია და ბოლოს წარმოუდგენელ შედეგამდე მიიყვანა.

ზამთარში ანახარეო ქმართან ერთად ნადირობდა, ტექნიკა სწრაფად აითვისა, ხაფანგებს მარჯვედ აგებდა და ამოწმებდა. ხშირად თხილამურებით დაწინაურდებოდა ხოლმე და ლეგა ბუს ადრინდელ შეამხანაგებულ მონადირეებთან შედარებით მეტი სარგებელი მოჰქონდა. ძლიერი და გაკაჟებული ქალი ნადირობისთვის დამახასიათებელ დაუნდობლობაზე თვალს ვერ ხუჭავდა. მასზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ხაფანგში გაბმული მომაკვდავი, დასახიჩრებული, სულთმობრძავი ცხოველი ანდა ცულის ტარით ცხოველის დახოცვა ანდა დახრჩობის ყურება, როცა ცხოველები მავედრებელი თვალებით უცქერდნენ და ყველაფერი ამის მერე ისევ უნდა დაეგო ხაფანგები ახალი მსხვერპლისთვის. ზოგჯერ ხაფანგში შემთხვევით ფრინველები და ციყვები ებმებოდნენ და ხაფანგების შემოწმებისას ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, ყვიროდნენ და ტანჯვით დასუსტებულები გოდებდნენ. და აი, უცნაურია, რომ ცხოველები თითქოს ხვდებოდნენ თუ რა ხდებოდა

ანახარეოს სულში და სიცოცხლისთვის უკანასკნელი გაბრძოლებისას თითქოს მისი გულმოწყალების იმედი ჰქონდათ. ეს აშკარად ჩანდა, როცა ხაფანგში გაბმული მომაკვდავი ფოცხვერი ფეხებთან მიუცოცდა.

ასეთი შემთხვევები ანახარეოს გულს უკლავდა და აუბედურებდა. ქმარს კი უკვირდა, რომ ეს ინდიელი ქალი ვერ ეგუებოდა ადამიანის არსებობისთვის მონადირებული ცხოველის სიკვდილს. ლეგა ბუს, როგორც უკიდეგანო ტყეებში სხვა მოხეტიალე მონადირეებს, ებრალებოდა ცხოველები, მაგრამ ამით მდგომარეობა ვერ უმსუბუქდებოდათ ანკი რა გულმოწყალებაზე შეიძლებოდა ფიქრი უკიდურესი გაჭირვებისას, როცა ბეწვიან ნადირზე მონადირე ვალებიდან ვერ ამოდიოდა! ერთადერთი, რაც მონადირეს შეეძლო, თუ საჭიროება არ მოითხოვდა, ნადირი არ დაეხოცა.

და თუ არა ანახარეო, ლეგა ბუ კანადელი მონადირული ეთიკის ერთგული დარჩებოდა და ზედმეტი ფიქრებით თავს არ შეიწუხებდა. მან თვალი გაახილა და ნელ–ნელა თავისი მამა–პაპური საქმიანობისადმი ზიზღი იგრძნო.

რა თქმა უნდა ვერ ვიტყვით, რომ მონადირე დაუნდობელი იყო და ქალის გულმოწყალებით გადასხვაფერდა. ადრე, როცა ლეგა ბუს სწამდა, რომ რადიოტალღები უარყოფითად მოქმედებენ ამინდზე, ცხოველებისადმი სამართლიანობას იჩენდა. მან თავისი ინდიელი წინაპრებისაგან, ამ პრიმიტივი ფანატიკოსებისგან მემკვიდრეობით მიიღო ცრურწმენამდე მისული ადათ–წესები, რომელთაც ახალგაზრდობიდანვე ასრულებდა და ამისთვის არც დრო და არც გარჯა არ ენანებოდა. გარედან მაყურებელი ამას სერიოზულად არცკი შეხედავდა, მაგრამ თვით ლეგა ბუ ამ რიტუალებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. დათვს ისე არ მოინადირებდა, რმო მისი სხეულის რომელიმე ნაწილი, მეტწილად ბეჭი ან თავი, მისი ბინადრობის გამოსაჩენ ადგილას არ ჩამოეკიდა. გატყავებულ თახვს რომ დასდებდა, გვერდით კიდურებსა და კუდს დაუწყობდა, როცა შეეძლო თახვის სხეულს დიდი წვალებით გაკეთებულ ყინულჭრილში ჩაუშვებდა, თუ თახვს საკვებად დაიტოვებდა, მუხლის კვირისტავს რიტუალურად დავავდა. ამ წეს–ჩვეულებებს არა მარტო ნახევრად ცივილიზებული ინდიელები ასრულებდნენ, არამედ შედარებით განვითარებულებიც და თუ ვინმე შეეკითხებოდა ამ ადათ–წესების მიზეზს, მიუგებდნენ, რომ ისინი ძალიან ჰგავდნენ ინდიელებს.

ლეგა ბუმ მამა–პაპურ ადათებს თავისიც მიუმატა. მაგალითად, როცა ტურისტებთან გამყოლად მუშაობდა, მათ დაჭრილი ცხოველისთვის სურათის გადაღების უფლებას არ

აძლევდა, სანამ არ მოკვდებოდა. თუ დაჭრილ ცხოველს ბანაკამდე ცოცხალს მიიტანდნენ, აუცილებლად უნდა გაეშვათ. ერთხელ, გაზაფხულზე ლეგა ბუმ ერთი თვის მგლის ლეკვი დაიჭირა, ქოხში მიიყვანა და უვლიდა, რათა მერე, როცა დამოუკიდებლად არსებობას შეძლებდა, გაეშვა. მიუხედავად კარგი მოვლა–პატრონობისა, ობოლი ლეკვი თავს უბედურად გრძნობდა. ის ორნაირად ერთობოდა. ან საწოლის ქვეშ ძველ მოკასინს[3] ღეჭავდა ანდა ელამი თვალებით ქოხის კედელს საათობით აშტერდებოდა, თითქოს კედელში გამჭოლად იყურებოდა. მგლის ლეკვი ლეგა ბუს ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ მაშინ ამჩნევდა, როცა საჭმელი მიჰქონდა და დაბინდული მწვანე თვალებით საოცნებო ქვეყნისკენ იქამდე იყურებოდა, სანამ არ მოკვდა.

[3] მოკასინი – ირმის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი.

ობლები

ერთხელ, ზამთარში სანადირო სეზონის დასასრულს ლეგა ბუ ბეწვეულის გასაყიდად გაემგზავრა. ბეწვეული გაიაფებულიყო და კვირიდან კვირამდე ფასი უფრო და უფრო ეცემოდა.

ერთი წლის წინათ ტყის ის უბანი, სადაც ამჟამად ლეგა ბუ ცხოვრობდა, კარგი მონადირის მიერ იყო ათვისებული, ამიტომ ბევრს ვერ იჭერდა და ფასებიც დაბალი იყო. რა ექნა? მხოლოდ 600 დოლარი გამოიმუშავა, რაც ძალიან ცოტა იყო ჩვეულ გამომუშავებასთან შედარებით. ვალები გაისტუმრა, საზაფხულოდ სურსათ–სანოვაგე მოიმარაგა და აღარაფერი დარჩა, რათა კვლავ გაეგრძელებინა გზა ხელუხლებელი ტყეების საძიებლად და უკვე ათვისებულ ტყეებში კი ხაფანგების დაგებას რაღა აზრი ჰქონდა? მძიმე მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, ლეგა ბუმ გადაწყვიტა გაზაფხულზეც ენადირა, როცა ამ დროს ყველა საღად მოაზროვნე და თავისი საქმის მცოდნე მონადირე თოფს კედელზე ჰკიდებს, რათა ცხოველები გამრავლდნენ. ამ დროს ნადირობა იმას ნიშნავს, რომ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც ზიხარ. მაგრამ რა ექნა? გამოუვალ მდგომაკრეობაში იყო. ტყის ამ უბანში თახვების ერთი ოჯახიღა დარჩენილიყო და ლეგა ბუც თავს იმით ინუგეშებდა, რომ თუ ამ თახვებს არ აიყვანდა, სხვა მოვიდოდადა დახოცავდა.

ისე მოხდა, რომ ერთმა შემსყიდველმა დააგვიანა და მთელი კვირა გაუცდა, მერე გრძელი გზა უბნამდე, სადაც ბეწვეული უნდა ჩაებარებინა, უფრო მეტი დრო დაეკარგა, ამიტომ მაისის დასასრულს ნადირობა უნდა გაეგრძელებინა. ამ დროისთვის თახვები უკვე გამრავლდებოდნენ. ლეგა ბუ სანადიროდ გაეშურა, ხაფანგები დააგო, ამ დროს ძველი, მაგრამ განახლებული ფაცხიდან პატარა თახვების სუსტი ხმა მოესმა. ნაცნობი ხმების გაგონებაზე ლეგა ბუმ ნიჩბებს მოუსვა, უნდოდა ანახარეოს ყურადღება გადაეტანა, ის ხომ ხაფანგების მოხსნას სთხოვდა. ლეგა ბუს პატარა თახვების ხმის გაგონებაზე გული დასწყდა, მაგრამ ნადირობა გააგრძელა, რადგან ფული ძალიან სჭირდებოდა.

მეორე დღეს ლეგა ბუმ ხაფანგებიდან სამი თახვი გამოიყვანა. დედა თახვს ჯაჭვი გაეწყვიტა და წყალში ხაფანგთან ერთად ჩასულიყო. მის ძებნაში ფსკერი მთლიანად შეამოწმა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. ძვირფასი ბეწვის დაკარგვით შეწუხებულ ლეგა ბუს

სულ გადაავიწყდა უმწეო, უსუსური პაწია თახვები, რომლებიც უდედოდ შიმშილით დაიხოცებოდნენ. მთელი დღის განმავლობაში დედა თახვს დაეძებდაბ მერე ბანაკში დაბრუნდა. ტყეში დაბრუნებას აღარ აპირებდა, მაგრამ მეორე დღეს გადაწყვიტა თახვების ფაცხა შეემოწმებინა, იქნებ დედა თახვი დაბრუნებულიყო და ანახარეოსთან ერთად თახვების ცარიელი ფაცხისკენ გაცურა, მაგრამ აქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, არც კვალი და აღარც ხმა.

სხვა გზა აღარ ჰქონდათ ეს ადგილი საბოლოოდ, სამუდამოდ უნდა დაეტოვებინათ. კანოე შემოაბრუნეს თუ არა, უკანიდან წყლის დგაფუნი მოესმა, ლეგა ბუმ მოიხედა და თახვების ფაცხის სიახლოვეს წყლის ზედაპირზე რაღაც ცხოველი, უფრო თახვის მსგავსი დაინახა. გაცდენილი დღეების სანაცვლოდ იქნებ სარგებელი ენახა! ლეგა ბუმ თოფი აიღო და დაუმიზნა. ასეთ მანძილზე არ ააცდენდა, ის იყო ჩახმახისთვის უნდა გამოეკრა, რომ ცხოველს სხვა შეეხმიანა. ორივეს ერთი გასროლით დახოცავდა, მაგრამ ხმა ეცნო, პატარა თახვები იყვნენ. ლეგა ბუმ თოფი დაუშვა და ანახარეოს უთხრა:

– აი შენ, პატარა თახვები!

– გადავარჩინოთ! ვალდებულნი ვართ! – წამოიძახა აღელვებულმა ანახარეომ. პატარა თახვების დანახვაზე მასში დედობრივმა ინსტიქტმა გაიღვიძა.

– ვალდებულნი ვართ. აიყვანე. – მიუგო ქმარმა.

მაგრამ მათი დაჭერა არც ისე იოლი აღმოჩნდა. თახვები პატარები აღარ იყვნენ და შესანიშნავად ცურავდნენ. მონადირე ცოლ–ქმარი მოთმინებით მისდევდა, დაიჭირეს და ნავში ჩასვეს. თითოეული ნახევარი ფუნტი[4] იქნებოდა, გრძელი უკანა თათები და ქერცლიანი კუდები ჰქონდათ. ცოლ–ქმარი ნავის ფსკერზე მყოფ თახვებს შეცბუნებული იყურებდა. არ იცოდნენ მათთვის რა ექნათ. გულმოწყალე ცოლ–ქმარი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რა მოჰყვებოდა ადამიანის ოჯახში მათ ყოფნას.

[4] ფუნტი – წონის ინგ. საზ. ერთული, უდრის 453,6 გრამს.

შვილობილები

ახალგაზრდა ცოლ–ქმარი ვერცკი წარმოიდგენდა, თუ როგორ მიეჩვეოდნენ პატარა თახვები, რომლებიც ველურ არსებებს არცკი ჰგავდნენ, არ შეეშინდათ და კუთხეში არ მიიკუნჭნენ, ნაღვლიანი თვალებით არ იყურებოდნენ და არ ელაქუცებოდნენ. პირიქით, თითქოს ადამიანში ქომაგს ხედავდნენ. ისინი მთლიანად მიენდნენ მათ და გამუდმებით ყურადღებას ითხოვდნენ, თითქოს აღებულ პასუხისმგებლობას ახსენებდნენ, ფხიზლობდნენ და თავი შესქელებული რძის თუნუქის ქილაზე ედოთ. არც ისე ადვილი იყო მათი კვება. რა ექნათ, როცა თეფშიდან რძის დალევა არ უნდოდათ, საწოვარიან ბოთლს კი ასე უცებ სად იშოვიდნენ? და აი, რა მოიფიქრეს: შესქელებულ რძეში ტოტს ჩაყოფდნენ და გასალოკად პატარა თახვებს პირში უდებდნენ.

ჭამის მერე ეს პაწია არსებები, რომლებსაც სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ ადამიანების მათდამი ასეთი ურთიერთობა, ხელში აყვანას და ალერსს ითხოვდნენ, მერე უბეში და სახელოში ძილს მიეჩვიენ, აყვირდებოდნენ და როცა ხელს გაუწვდიდნენ, ააცოცდებოდნენ და კისერთან მოიკუნტებოდნენ.

თახვები მალე ადამიანის ხმებსაც არჩევდნენ და თუ ადამიანურად დაელაპარაკებოდნენ, ერთმანეთს არ აცდიდნენ და თავისებურად ეხმიანებოდნენ. თახვებს, როცა უნდოდათ, კარვის გარეთაც უშვებდნენ, მაგრამ ხანდახან ერთმანეთს კარგავდნენ და როცა თავს მარტოდ იგრძნობდნენ, შეშინდებოდნენ, ყურისწამღებად ყვიროდნენ და ადამიანებს საშველად უხმობდნენ. როცა ერთად იყვნენ, უნდა გენახათ როგორ კოტრიალობდნენ, ერთმანეთს მიუწვებოდნენ და ჩაეხუტებოდნენ. როცა მძინარე თახვებს ხუმრობით დაელაპარაკებოდნენ, მათ ესმოდათ და სიზმარში თავისებურად ეხმიანებოდნენ. მათი ხმა ძალიან ჰგავდა ჩვილი ბავშვების ყვირილს. გააჩნია დღე იყო თუ ღამე. განსაზღვრულ საათს ყუთიდან დროის შესაფერისი ხმები ისმოდა. ცოლ–ქმარი ხვდებოდა, რომ დაჟინებული და გაგრძელებული ყვირილით თახვები საკვებს ითხოვდნენ და თანაც ყოველი ორი საათის შემდეგ.

ლეგა ბუ არ იყო გულჩივლი ადამიანი, მაგრამ ეს უცნაური და თავისებური პაწია არსებები მონადირეს ისე მიეჩვიენ, რომ თავისი გრძნობების თვითონვე უკვირდა.

თითეულმა პატარა თახვმა პატრონი თვითონვე აირჩია და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ისინი მათდამი სიყვარულს თავშესაქცევად გამოხატავდნენ, ყუთს მიატოვებდნენ და მათკენ გარბოდნენ. ღამით საბნის ქვევშ შეუძვრებოდნენ და პატრონების კისერთან მოიკუნტებოდნენ. თუ რაღაცის გამო შეეშინდებოდათ, მიწაზე გაერთხმებოდნენ და გაისუსებოდნენ ანდა თითეული თავის პატრონს მიუცუცქდებოდა, სანამ შიში არ გაუვლიდათ.

თახვები ხშირად იკარგებოდნენ, რაც ცოლ–ქმრის შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ როგორც კი პატრონების ხმას გაიგონებდნენ, მათკენ გარბოდნენ. ბოლოსდაბოლოს პატრონების ნდობა ისე მოიპოვეს, რომ მათი სიფრთხილე მოადუნეს და ერთხელაც ყუთისთვის სახურავის დახურება დაავიწყდათ და დილით ყუთი ცარიელი დახვდათ. ცოლ–ქმარი შეშფოთდა. მთელი დღის განმავლობაში ეძებდნენ, წყალშიც ეძხებდნენ, ბუჩქნარიც გადაჩხრიკეს, ხშირად ამოწმებდნენ დაბრუნდნენ თუ არა კარავში. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასე მიჩვეული პატარა თახვები თავისივე ნებით მიატოვებდნენ პატრონებს, მაგრამ ისინი ხომ ველური ცხოველები იყვნენ, შეეძლოთ სადაც უნდოდათ წასულიყვნენ, საკვები დამოუკიდებლად მოეპოვებინათ და ადამიანების გარეშეცე ეარსებათ. იქნებ გაველურდნენ და სამუდამოდ წავიდნენ? ცოლ–ქმარი უფრო იმაზე შეფოთდა, რომ ირგვლივ ბევრი მიმინო და ბუ ბინადრობდა. მათი დაკარგვიდან ოცდაათმა საათმა გაიარა. პატრონები ფიქრობდნენ, რომ თუ თახვები ცოცხლები იყვნენ, ამ დროში კარავს ისე დაშორდებოდნენ, რომ ახლომახლო მათი ძებნა ამაო იქნებოდა. თავჩაქინდრული ცოლ–ქმარი სულის მოსათქმელად კარავში დაბრუნდა. იქ კი ლოგინზე ორივე გაქცეული წამოსკუპებულიყო, ბეწვს პირდაპირ საბანზე იწურავდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ როგორი წუხილი მიაყენეს პატრონებს.

ამ ამბის მერე ცოლ–ქმარმა ბანაკი პირდაპირ ტბის პირას გადაიტანა, მტაცებელი ნადირო–ფრინველისგან დასაცავად სიფრთხილის ზომებიც მიიღეს და პატარა თახვებს უკვე თავისუფლად უშვებდნენ. თახვევბი ტბაში ხშირად ჩადიოდნენ, ჭყუმპალაობდნენ, ლერწმოვანში ცურავდნენ და მერე ბერიკაცებივით დარბაისლურად შინ ბრუნდებოდნენ. როცა წამოიჩიტნენ, საკვებში შვრია დაუმატეს. თითოეულ თახვს თავისი თეფში ჰქონდა. მერე როგორ ექცეოდნენ ამ თეფშებს! ისინი ინსტიქტით ნებისმიერ ნივთს ერთმანეთზე აწყობდნენ, საგულდაგულოდ მოსუფთავებულ თეფშებს გადაადგილებდნენ და კარვის

კედელზე მიაყუდებდნენ. მართალია, ეს ძნელი განსახორციელებელი იყო, მაგრამ ჯიუტად თავისას ცდილობდნენ და მიზანს ყოველთვის აღწევდნენ.

პატარა თახვები სამი თვის ასაკში პატრონებს ხშირად აღარ აწუხებდნენ, მათ მხოლოდ უნდა ეჭმიათ და სურსათ–სანოვაგით სავსე ტომრებისა და ყუთებისთვის უნდა მოერიდებინათ. თახვებს ხშირად მოფერება უნდოდათ და ამიტომ ღამღამობით ნებისმიერ დროს სველები აძვრებოდნენ მძინარე პატრონების ლოგინზე და ანესტიანებდნენ, მაგრამ სასიამოვნონი და თავშესაქცევნი იყვნენ. მეტწილად არცკი ჩანდნენ, მაგრამ საღამოობით, მზის ჩასვლის მერე გამოჩნდებოდნენ და პატრონებისგან ყურადღებას და მოფერებას ითხოვდნენ, ისინიც მათ ნებას დაჰყვებოდნენ ხოლმე. ამ დროს პატარა თახვები წკმუტუნებდნენ, პატრონებს თითებზე მსუბუქად კბენდნენ, როგორც შეეძლოთ მაღლა ძვრებოდნენ, სასაცილოდ იმანჭებოდნენ, თითქოს ადამიანებისადმი თავიანთ განსაკუთრებულ მიჯაჭვულობას აჩვენებდნენ. მათი ადამიანებისგან ალერსის მოთხოვნილება, მოხმობა, თმასთან, ღილებთან, ფოჩებთან თამაში, ბავშვების ქცევას მიაგავდა, მაგრამ ასეთი ურთიერთობა ხანგრძლივი არ იყო და საღამოობით როგორც კი პატრონებთან თამაშით გულს იჯერებდნენ, გათენებამდე გაუჩინარდებოდნენ და სველები და დაქანცულნი ბრუნდებოდნენ.

არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ ანახარეომ შეიყვარა ეს პატარა ცხოველები, მათ დიდ დროს უთმობდა, თითქოს მისი შვილები იყვნენ. ლეგა ბუ დაიბნა მოულოდნელად თავსდამტყდარი გრძნობისაგან. ეს მისი არსებობის მთავარ წყაროს, თახვებზე ნადირობას ემუქრებოდა. დროდადრო ამ გრძნობის რცხვენოდა კიდეც, მამაკაცისთვის შეუფერებლად თვლიდა. ასეთ დროს ერთი ბრგე და პირქუში გამომეტყველების ინდიელი ახსენდებოდა. მას ნაყვავილარი სახე ჰქონდა და არავის უყვარდა. ერთხელ, წვიმაში მთელი დღე თავის დაკარგულ თახვს ეძებდა და როცა იპოვა, ზედა ტანსაცმელი გაიხადა, თახვი შეახვია და კოკისპირულ წვიმაში პერანგის ამარა მიდიოდა. მეორე ინდიელმა კი თავისი საუკეთესო მეწინავე შესაბმელი ძაღლი იმის გამო მოკლა, რომ თავის გაზრდილ ორი წლის თახვს დაუყეფა. ესე იგი, ამ ცხოველებში იყო რაღაც მიმზიდველი, რადგან მათ მიმართ თვით უხეში ადამიანებიც კი ხასიათს იცვლიდნენ.

თავდაპირველად ლეგა ბუ ცდილობდა თავისი გრძნობები ანახარეოსგან დაემალა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მათი ბავშვებივით ცხვირის დაცემინება, ხველება, ნაზი ბურტყუნი და სხვადასხვა ხმიანობა, რითაც ისინი ადამიანებისადმი სიყვარულს

გამოხატავდნენ, მათი პატარა თათები, ბავშვებივით მიმზიდველები იყვნენ და თითქოს იმისთვის იყვნენ შექმნილნი, რომ ადამიანის გულში ნაზი გრძნობები გამოეწვიათ. პატარა თახვები ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ხანდახან ჭირვეულობდნენ და ანჩხლობდნენ. ასეთ დროს ერთმანეთს ურტყამდნენ, პატრონებსაც კი. ასე დიდხანს არ იქცეოდნენ და თურმე ამისი მიზეზისაჭმლის ძნელი მონელება იყო. თახვების წინა თათები ადამიანის ხელს მიაგავდა და მათ შეეძლოთ რაიმე პატარა აეღოთ, ჯოხები, ქვებიც, მძიმე საგნებიც აეწიათ. რაიმე საგანს ისე ძლიერ შემოაჭდობდნენ თათებს, რომ ძნელად გამოართმევდით. ტოტიდან ნედლ ქერქს რომ ღრღნიდნენ, ჩარხივით ატრიალებდნენ. ეს პატარა მსუნაგები, ერთმანეთს ნადავლს სტაცებდნენ, მაგრამ ამას იშვიათად ახერხებდნენ, მოახლოებულ ამხანაგს ყვირილით იგერიებდნენ, ჭამისას უკმაყოფილებას არ გამოხატავდნენ, შეგეძლოთ ხელი გადაგესვათ კიდეც, მაგრამ თუ მათ ხის სენდვიჩებს ხელს წაატანდით, ყვირილით შემობრუნდებოდნენ და საკვებ წკნელებს აეფარებოდნენ.

ახალგაზრდა ცოლ–ქმარმა პატარა თახვებზე გადაიტანა ის მშობლიური სითბო და ზრუნვა, რაც საკუთარ შვილებზე უნდა განეცადათ. როცა ტბაზე გაცურავდნენ, მობრუნებისას, სანამ ნაპირს მიადგებოდნენ, პატარა შვილობილებს მოუხმობდნენ, ისინიც კანოესთან მოცურდებოდნენ, თათებს გაუწვდიდნენ, თითებზე ებღაუჭებოდნენ, თავს ზემოთ სწევდნენ და თავისებურად რაღაცას სთხოვდნენ. ასეთი შემთხვევისათვის მათთვის პატრონებს რაღაც ნუგბარი მოჰქონდათ და შვილობილებიც წყალშივე მიირთმევდნენ და კმაყოფილებისგან ტუჩებს აწკლაპუნებდნენ. ასეთი შეხვედრა პატრონებსაც დიდ სიამოვნებასაც ანიჭებდა. როცა წყალში ნუგბარით მოუხმობდნენ, პატარა თახვები კანოეში აფორთხებასაც ცდილობდნენ, პატრონებიც ეხმარებოდნენ, რადგან კუდში ხელს იოლად წაავლებდნენ. კანოეში შვილობილების პატრონებთან შეხვედრა ენით აუწერელი რამ იყო და როცა ანახარეო ხანდახან იტყოდა, რომ მათი აღტაცება არც თუ უანგარო იყო, ლეგა ბუ მიუგებდა: – ისეთ ახლო მეგობარზე მიმითითე, ვისაც სუფრასთან მიპატიჟება არ გაუხარდება.

ახალ ადგილას გადასვლისათვის ემზადებოდნენ. ლეგა ბუ და ანახარეო, ორი მეომარი ტომის შვილი ერთმანეთს ეკამათებოდა, თუ რომელი სატყუარა წაეღოთ, რა უფრო უყვარდათ ამ ორ პატარა არსებას.

ნადირთ სამეფოს შვილები

შუა ზაფხულში ლეგა ბუს სასწრაფოდ რკინიგზით მოუწია წასვლა, რათა სხვა მონადირეებისთვის მომავალი ზამთრის ნადირობაზე რჩევა ეკითხა. ამ მოგზაურობისას თახვები თავისუფლად დარბოდნენ, რადგან კანოედან ვერ გადმოხტებოდნენ, საჭაპანო ბილიკზე ტომარაში სვამდნენ და გადმოყირავებულ კანოეზე მენიჩბის სკამზე ჰკიდებდნენ. ერთი საჭაპანო ბილიკი 2 მილის სიგრძის იყო და თახვები სულ ყვიროდნენ, რადგან კოღოების გუნდი ტომრებს ესეოდა. ცოლ–ქმარს მოხერხებული ყუთი არ ჰქონდათ, რომ შესვენებისას მაინც ჩაესვათ, ამიტომ თახვები კოღოებისგან რომ დაეცვათ, ტომარას კოცონთან ახლოს ჰკიდებდნენ და საწყალი ცხოველები იბოლებოდნენ. შვილობილებს თითქმის სულ ეძინათ, არაფერს ჭამდნენ, მაგრამ მაინც კარგად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად ამისა, ერთმა ინდიელმა უთხრა, რომ ცხოველები მალე დაიხოცებოდნენ. თახვები ერთი–ორი საათით წყალში ჩაუშვეს და მათაც ცოტა სული მოითქვეს. ამის შემდეგ დღისით და ღამითაც ამწყვდევდნენ, რათა თავისუფლად გაშვებული შესაბმელი ძაღლებისგან დაეცვათ. პატარა თახვები დამწყვდევას ვერ ეგუებოდნენ და თავის დახსნას ჯიუტად ცდილობდნენ.

ცოლ–ქმარი ბანაკში მდინარით დაბრუნდა, რათა დარჩენილი ნივთები წამოეღოთ. თახვები კი დროებით მიაბარეს ერთ ნაცნობს, რომელმაც ისინი ძელურ ფარდულში დაამწყვდია. ლეგა ბუ და ანახარეო რამდენიმე დღეში დაბრუნდნენ. ანახარეო თახვების მოსანახულებლად გაემართა, ლეგა ბუ კი მტკიცე ყუთის გაკეთებას შეუდგა, რადგან იმავე საღამოს გზა ისევ მატარებლით უნდა გაეგრძელებინათ. ლეგა ბუმ გაფითრებული და მწუხარებისგან გაოგნებული ანახარეო დაინახა. თახვები გამქრალიყვნენ. ფარდულში კედელი გაეღრღნათ, იქ, სადაც ერთი მორი მეორეს ეხება და გაპარულიყვნენ. ფარდულის პატრონმა იცოდა რა ახალგაზრდა ცოლ–ქმრის თახვებისადმი სიყვარული და ამაგი, თავის მეძებარ ძაღლს სადრუნჩე გაუკეთა და გაქცეულების კვალს მიჰყვა. გეზი ტბისკენ აიღეს. ლეგა ბუ მეჩეჩს ჩხრეკდა. თახვები შორს ვერ წავიდოდნენ და მათი პოვნა იოლი იყო, საფრთხე შესაბმელი ძაღლებისგან ელოდათ ანდა ბეწვიან ნადირზე მონადირეებისგან, რომლებიც ყველაფერს ხოცავდნენ რაც თვალში მოხვდებოდათ.

ცოტა ხნის მერე ეზოზე დედლი თახვი გამოჩნდა. ძაღლებმა შენიშნეს და დასაჭერად გამოეკიდნენ. ანახარეო ყვირილით გადახტა, პატარა თახვი აიტაცა და ძაღლებისგან იხსნა. ლეგა ბუ კი უშედეგო ძიების მერე ხელმოცარული დაბრუნდა. არც მეძებარი ძაღლით ძიებამ გამოიღო შედეგი, ალბათ იმიტომ, რომ ცხოველთა ნაშიერთა უმეტესობა კვალში სუნს არ ტოვებს და სწორედ ეს იცავთ მათ მტაცებლებისაგან. ეს რომ გაიგეს ლეგა ბუმ და ანახარეომ ერთმანეთს გადახედეს და დაასკვნეს, რომ მამალი თახვი ფრიად ცნობისმოყვარე მაწანწალა იყო და თავის უკანასკნელ მოგზაურობაში გაემგზავრა. ერთი თახვისთვის ყუთი დიდადაც კი მოეჩვენათ. თახვები ერთმანეთს მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ შორდებოდნენ ხოლმე, ახლა კი დედალმა თახვმა მოიწყინა.

ლეგა ბუ მამალ თახვს დაბნელებამდე ეძებდა. ირგვლივ შიმშილისგან ღონემიხდილი შესაბმელი ძაღლები ირეოდნენ და პატარა თახვი ერთ ლუკმად თუ ეყოფოდათ. დაკარგულ ითახვი ლეგა ბუს რჩეული იყო და გულში ნაღველი შეეპარა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პატარა თახვს ტბამდე მიეღწია, მაგრამ მაინც უნდა ეძებნათ, მით უმეტეს, რომ ხიფათს ხშირად გადაჰყრია, მაგრამ ყოველთვის თავი დაუხსნია. იქნებ ახლაც თავი დააღწია სიკვდილს? და ლეგა ბუმ ტბის ვიწრო ყურის მეორე ნაპირზე რაღაც მუქი ყავისფერი შენიშნა, რომელიც მალე სიბნელეში გაუჩინარდა. ლეგა ბუმ რამდენჯერმე ხმამაღლა დაუძახა. მაშინვე შეეხმიანნენ და არა ტბის ვიწრო ყურის მეორე მხრიდან, არამედ იქვე ახლოს, ქვის სროლის მანძილზე საბრალო წმუკუნი გაისმა. ტირიფის ხშირ ბუჩქნარში თახვის მოძებნა შეუძლებელი იყო. ლეგა ბუ წინ მიიწევდა და თან თახვს უხმობდა, ყოველ დახახებაზე ეხმიანებოდნენ, სანამ თვალებდაჭყეტილი და ბეწვაშლილი ფეხებში არ ჩაუვარდა. ლეგა ბუმ პატარა ფუმფულა არსებას თვალის დახამხამებაში ხელი სტაცა და გულში ჩაიკრა. საწყალი თახვი მისუსტებული წმუკუნებდა. ის სულ მშრალი იყო, თითქმის ტბამდე მიეღწია, მაგრამ პატრონის ხმის გაგონებაზე უკან მობრუნდა.

ლეგა ბუს დაკარგულის პოვნის გამო ასეთი სიხარული აქამდე არ უგრძვნია. ანახარეომ სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა და ყუთიც აღარც ისეთი ცარიელი ჩანდა. ახლა თახვები ნუგბარის გამო კინკლაობდნენ.

ყოველგვარი ხიფათისგან დაცული პატარა ცხოველებზე დაკვირვებისას ლეგა ბუ შეშფოთებული იყო მათდამი თახვების მიჩვევით. ის – თახვებზე მონადირე მათ მფარველად გადაიქცა. ის დიდი ხანია ეწინააღმდეგებოდა თახვებზე განუკითხავ ნადირობას, რაც მათი ამოწყვეტით ისედაც შეჩერდებოდა. ეს ცხოველები თავიანთ

გრძნობებს შესანიშნავად გამოხატავდნენ, ადამიანის ენა ესმოდათ, ბედნიერებასა და მარტოობას გრძნობდნენ. ერთი სიტყვით პატარა ბავშვებივით იქცეოდნენ. მათზე დაკვირვებით ზოგადად თახვების ბუნებას შეიცნობდით. ლეგა ბუს ახსენდებოდა თახვებზე გაგონილი სხვადასხვა ამბები, რაც მაშინ დაუჯერებლად ეჩვენებოდა. ინდიელები ტყუილად არ არქმევდნენ თავიანთ თახვებს სახელებს. ინდიელი ქალები შვილის დაკარგვის შემდეგ ძუძუს აწოვებდნენ პატარა თახვებს და ამაში ნუგეშს ჰპოვებდნენ. ინდიელები სათუთად ეპყრობოდნენ შეჩვეულ თახვებს. ლეგა ბუ ამაზე ადრე რატომ არ ფიქრობდა? სასიკვდილოდ როგორ იმეტებდა?

იმ ფიქრებს აყოლილმა ლეგა ბუმ ძილის წინ პატარა თახვებს კვლავ დახედა. მათ ღამით ყუთი გაეღრღნათ და დაღლილ–დაქანცულებს იქვე ჩასძინებოდათ.

მოშინაურებული თახვების შესახებ ერთმა ბეწვეულით მოვაჭრემაც გაიგო და მათი ნახვა მოისურვა. მან თქვა, რომ აქვე ახლოს წყვილი თახვი იყო, რომლებიც ერთმა ინდიელმა მაღაზიის მეპატრონეს ვალის სანაცვლოდ მიუყვანა. მას ამ თახვების ყიდვაც უნდოდა, თან დაამატა, რომ ის თახვები კარგად არ გამოიყურებოდნენ და შეიძლებოდა გზაში დახოცილიყვნენ, ამიტომ მათი ყიდვისგან თავს იკავებდა.

ლეგა ბუს თახვები კი შესანიშნავად გამოიყურებოდნენ და ვაჭარზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მან ცოლ–ქმარს სარფიანი გარიგება შესთავაზა, რაზეც რა თქმა უნდა უარი მიიღო, თუმცა ფული ცოტა ჰქონდათ. ვაჭრის წასვლის მერე იმ თახვების ნახვა გადაწყვიტეს. წასვლისას ლეგა ბუმ და ანახარეომ თავიანთი თახვები მოთუთიებულ ტაშტში ჩასვეს, მეთვალყურე მიუჩინეს და უბრძანეს, რომ მათ არყოფნაში არავისთვის ეჩვენებინა. თახვების პატრონი რიგითი ვაჭარი არ აღმოჩნდა. მისი უნივერსალური მაღაზია სასტუმროსთან იყო შეერთებული და კონტრაბანდული ღვინით ვაჭრობდა. ეს კონტრაბანდული ღვინით მოვაჭრე ცუდი ახალგაზრდა არ იყო, გამასპინძლებისას თითქმის იმდენივე ვისკის ხარჯავდა, რამდენსაც ყიდდა, თანაც მორწმუნე იყო და თავის ოთახში ჩაუქრობელი სანთელი ენთო. აქ ის ოჯახთან ერთად ლოცულობდა. არც ისე იშვიათად ხდებოდა ის, რომ დაჩოქილი ადგებოდა, დახლში გავიდოდა და აკრძალულ არაყს გაყიდდა, მერე თავის წმინდა ოთახს დაუბრუნდებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და კვლავ დახლს დაუბრუნდებოდა. როცა ამ კაცმა თახვები იყიდა, წარმოდგენა არცკი ჰქონდა როგორ უნდა მოევლო მათთვის და ამიტომ თახვები გასაცოდავებულები იყვნენ,

მისუსტებულები განუწყვეტლივ ჭყიოდნენ და სიკვდილის პირას იყვნენ მისულნი. როცა ყუთში ხელი გაუწვდინეს, მაშინვე თითებზე დაეჭიდნენ, თითქოს შველას სთხოვდნენ.

ლეგა ბუს თახვები შეეცოდა. პატრონს არ განიკითხავდა, რადგან ოდესღაც ისიც ასე იქცეოდა.

– იქნებ მოგვცეს, სჯობს ჩვენთან დაიხოცნენ, ვიდრე მარტოობაში. – უთხრა ანახარეომ.

– ვიყიდოთ. – მიუგო ქმარმა და ვაჭართან მივიდა.

– რამდენს ითხოვთ?

– ბევრს. ფული რამდენი გაქვთ?

ლეგა ბუმ დაუსახელა.

– ცოტაა. – მიუგო ვაჭარმა.

ანახარეომ ვაჭარს ურჩია, რომ თახვებისთვის მოევლო, გამოკეთდებოდნენ და უფრო ძვირად დაფასდებოდნენ. პატრონმა იუარა და ლიცენზიისთვის კაცი გაგზავნა, რათა ბეწვეულით მოვაჭრისთვის მიყიდვის უფლება ჰქონოდა. ის კმაყოფილი იქნებოდა თუ თახვები გაყიდვამდე იცოცხლებდნენ.

ერთი სიტყვით ეს კაცი ბეწვეულის ტიპიური ვაჭარი იყო.

მაგრამ უჭმელ–უსმელ, მოუვლელ თახვებს დიდხანს არ უტანჯიათ. ერთი იმავე კვირას მკვდარი ნახეს, მეორე კი წყლით სავსე სათლთან ეგდო, წყურვილით გატანჯჯულს სათლამდე ვერ მიეღწია. დამწუხრებული უყურებდა ლეგა ბუ, უკიდეგანო ტყეებში დაბადებული და ადამიანებისგან შეურაცხყოფილი ორი არსება როგორ ჩაყარეს ჭურჭლის ნარეცხის სათლში.

შემდგომში თავისი პაწია თახვების შემყურე ლეგა ბუს არასდროს ავიწყდებოდა და ის გაუხარელი არსებები და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი თახვები არასდროს და არანაირ პირობებში არ გაეყიდა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა თავისუფალ არსებებად ექცია, ამავე დროს წუხილით იხსენებდა მათ დედას.

– დაე, ჩემს სიცოცხლეში არ შევესწრო იმის მსგავსს, რაც იმ ვაჭართან ვნახე, ამას არ ვიკადრებ, თუნდაც ვიშიმშილო.

ალბათ გაუცნობიერებლად, მაგრამ სავარაუდოდ ამ დროს ლეგა ბუმ საბოლოოდ გადაწყვიტა თავი დაენებებინა თახვებზე ნადირობისათვის.

რატომ მოიჭირეს ქამრები

შეწუხდები, როცა შენი საყვარელი ხედი გაქრება ანდა რომელიმე კეთილშობილი ცხოველის უკანასკნელი წარმომადგენელი მოკვდება. ასე იყო, როცა უკანასკნელი ბიზონი დაეცა. იყვნენ მონადირეები, რომლებმაც ამის მერე თოფი და დანა დაივიწყეს და მათ შორის რამდენმა თავისი ცხოვრება გადაშენებული ცხოველის აღდგენას მიუძღვნა. იგივე ხდებოდა თახვების თავზეც. ისინი ამოწყდომის პირას იყვნენ. იოლი სათქმელია თახვებზე ნადირობისთვის თავის დანებება. რითი იარსებებდით? განსაკუთრებით ლეგა ბუ, რომელმაც თავისი ცხოვრება სიყრმიდან თახვებს დაუკავშირა და გადაწყვეტილება იმისა, რომ თახვებზე ნადირობისთვის თავი დაენებებია, იოლი განსახორციელებელი არ იყო, უნდა მომხდარიყო რაღაც ისეთი, რაც საყვარელი ცხოველის ამოწყვეტისგან თავის დაანებებინებდა.

ონტარიოს ტბის მოსაზღვრედ 100 000 კვ. მილი[5] უთახვოდ დარჩა და თუ ალაგ–ალაგ მათი მიტოვებული ფაცხები შეგხვდებოდათ, ვერცკი იფიქრებდით, რომ აქ ოდესღაც თახვები ბინადრობდნენ. ლეგა ბუმ ეგრეთ წოდებულ თახვების ქვეყანაში კანოეთი 2000 მილი გაცურა და მხოლოდ აქა–იქ გადარჩენილი ოჯახები და დაქსაქსული ცალები იპოვა. ლეგა ბუ სიმონის ტბასთან ოჯიბუეის ტომის ინდიელებს მოეთათბირა, ტბა ვიქტორიასთან მცხოვრებ ტომებსაც, მდინარე წმინდა მავრიკის ზემოწელში მცხოვრებლებსაც და ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ თახვები ან გაქრნენ ანდა გაქრობის პირას იყვნენ მისულნი და სულ მალე გადაშენდებოდნენ. ტყე უთახვებოდ! ამას როგორ წარმოიდგენდა ის ადამიანი, რომელმაც თავისი ბედი თახვებს და მათ გარემომცველ ბუნებას დაუკავშირა. უთახვებოდ ბუნებას აზრი აღარ ჰქონდა. რა უნდა ეფიქრა თავის თავზე იმ ადამიანს, რომელიც არსებითად ხელს უწყობდა ტრაპერებსა[6] და ბეწვეულითა მოვაჭრეებს.

ლეგა ბუ ღრმად დაფიქრდა, ახსენდებოდა თავისი ტყიური ცხოვრების ადრეული ხანა, როცა უკიდეგანო და უკაცრიელ ტყეებში მარტოდმარტო ცხოვრობდა და ცოცხალ არსებებს დაუფიქრებლად ხოცავდა. ეს დრო აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ნადირობა თავისი

[5] მილი – საზღვაო მილი უდრის 1,852 კმ–ს. სახმელეთო მილი უდრის 1,609 კმ.

[6] ტრაპერი – ფაფუკბეწვიან ნადირზე მახეებით მონადირე ჩრდ. ამერიკაში.

არსებობისათვის სრულიად ბუნებრივი იყო. გაუმაძღარი ტნაპერების შემოსევამ, მათ მიერ თახვების დაუნდობელი, არაადაამიანური მეთოდებით ხოცვამ, თავდაპირველად სწორედ ამან დააფიქრა. ინდიელები, ბეწვიან ცხოველებზე პროფესიონალი მონადირეები ხაფანგებს ყინულქვეშ დებდნენ და თუ ცხოველი ხაფანგში გაებმებოდა, ან ჩაიძირებოდა ანდა დაეხსნებოდა და თავს უშველიდა. შემოსეულ ტრაპერებს კი სხვა საშუალებები ჰქონდათ.

რა უნდა იყოს სპრინგულზე საშინელი? რომელიც თახვს წყლიდან ამოათრევდა და ჰაერში ცოცხლად ჰკიდებდა. ერთხელ, თეთრი ბარბაროსების შემოსევის პირველ წლებში ლეგა ბუმ იპოვა თათით დაბმული დედა თახვი, რომელსაც შვილები ძუძუს წოვდნენ. ცხოველი ტკივილისგან კვნესოდა და რომ გაენთავისუფლებინა, თათი მოაჭრა. ტკივილის მიუხედავად დედა თახვი მიხვდა, რომ კეთილმა კაცმა გაანთავისუფლა და მას მინდობილი შვილებთან ერთად ნელა–ნელა გზა გააგრძელა. სხვა დედა თახვი უფრო მძიმე მდგომარეობაში ნახა. სპრინგულით დაჭერილი ცხოველი შესაბრალისად ყვიროდა. მისი გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო და მის ტანჯვას ბოლო რომ მოღებოდა, წყალში ჩაუშვა, რათა მალე დამხრჩვალიყო. მომაკვდავი თახვი ერთ, დაუზიანებელ თათს მაგრად უჭერდა თითზე სიკვდილში დამხმარე ადამიანს. თურმე ეს თახვი მაკედ იყო.

ეს ორი მაგალითი საკმარისია, მაგრამ ასეთი შემთხვევები ათეულობით იყო. წყლიდან ამოტაცებული ცხოველები ჰაერში ეკიდნენ, სანამ შიმშილისა და წყურვილისგან არ დაიხოცებოდნენ. ხშირად ჯერ კიდევ ცოცხლებს ფრინველები თვალებს უკორტნიდნენ.

თეთრი, ცივილიზებული ადამიანების არაადამიანური ქცევა ინდიელებში ნადირ–ფრინველისა და პირველყოფილი ბუნების მიმართ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევდა, თუმცა არსებობისათვის ბრძოლაში ბუნებაც დაუნდობელი იყო. თეთრი ბარბაროსების მიერ თახვების ხოცვა ლეგა ბუს გულში ცხოველთა მიმართ ღრმა თანაგრძნობას იწვევდა. თახვებზე ნადირობა ღალატად მიაჩნდა, თუ ხელს შეუწყობდა და დამპყრობლებთან ითანამშრომლებდა. და მან აღიარა, რომ ტყის ყველა ბინადართან მშვიდობა დაემყარებინა, რათა უპრინციპო და საზიზღარ მტერს შებრძოლებოდა.

თეთრი ბარბაროსების მიერ ნადირის უმოწყალოდ დაუნდობელ ხოცვა–ჟლეტას სამწუხაროდ მავნე საყოფაცხოვრებო ამბები მოჰყვა. გახშირდა ადრე არარსებული ქურდობა. თავდაპირველად ხაფანგებს იპარავდნენ, მერე კი ყველაფერს. მონადირეებს, როცა თავის ქოხში ბრუნდებოდნენ, აღარ ხვდებოდათ სურსათი, თხილამურები, ღუმელი, საბანი, ხაფანგები. კანოებსაც კი იპარავდნენ. ირღვეოდა ტყის ადრეული ჩვეულებები.

მონადირეები უნდობელნი და ფრთხილნი გახდნენ. ზოგიერთი ქოხს კლიტით კეტავდა. ძველ დროში სურსათ–სანოვაგის მოპარვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და დამნაშავეს ისე სჯიდნენ, როგორც ეროვნული სიწმინდის შეურაცხმყოფელს. თუ ვინმე თავის ქოხს კლიტით დაკატავდა, მას უცხოტომელად ჩათვლიდნენ ან ისეთ კაცად, რომელიც არანაირ ნდობას არ იმსახურებდა. მცირე ავლადიდების ასე სამარცხვინოდ დაცვა, რაც თვით ადამიანშიც ზიზღს იწვევდა, ახლა აუცილებელი და კანონიერი გამხდარიყო. ასე ხდებოდა ინდიელთა ქვეყნის ცივილიზაცია.

თახვები შუა მაისიდან ივნისის პირველ კვირამდე მრავლდებიან. ჩრდილოეთ რაიონებში ამ დროს თახვის ბეწვს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს საზამთრო ხარისხი, ამიტომ საგაზაფხულო ნადირობა სარფიანია. მოხეტიალე მონადირეები სხვის უბნებში იჭრებიან, იოლად მისაწვდომ დედა თახვებს ხოცავენ და ასეულობით მათ პატარა თახვებს შიმშილით სიკვდილისთვის იმეტებენ. ასეთმა ნადირობამ ათეული წლის განმავლობაში უფრო მეტად გააჩანაგა ტყეები, ვიდრე ზამთრის ნადირობამ ასი წლის განმავლობაში. ხშირად უსუსური არსებები ჭყივილით გაეკიდებოდნენ მათი დამაობლებელი მონადირის კანოეს. ადგილობრივი მცხოვრებლები ასეთ ობოლ თახვებს თითქმის ყოველთვის იშინაურებდნენ. მათი შემდგომი ბედი მაინც შესაბრალისი იყო. დამწყვდეულები კვნესოდნენ, ყურადღებას ითხოვდნენ, ორი კვირის მერე კი იხოცებოდნენ, მათ პატრონებს კი მათი ხმები არ ავიწყდებოდათ.

ლეგა ბუს ბევრი დაობლებული თახვი გადაურჩენია და ახლა ამას სიამოვნებით დამრგვალებულს ეძინა. როცა ლეგა ბუ გვერდს იბრუნებდა, ისიც ადგილს შეინაცვლებდა და ისევ ბურთივით დამრგვალდებოდა. უყვარდა მხარზე აცოცება, როცა ლეგა ბუ მაგიდასთან საქმიანობდა, კისერზე ტანსაცმლის შიგნით მიეკვრებოდა. ეს თახვი ავად იყო და ბოლოს ისე დასუსტდა, რომ მოკვდა.

ლეგა ბუს ბევრი დაობლებული თახვი გადაურჩენია და ახლა ამას სიამოვნებით იხსენებდა. მის ერთ პატარა თახვს მის ლოგინში თავთან ბურთივით დამრგვალებულს ეძინა. როცა ლეგა ბუ გვერდს იბრუნებდა, ისიც ადგილს შეინაცვლებდა და ისევ ბურთივით დამრგვალდებოდა. უყვარდა მხარზე აცოცება, როცა ლეგა ბუ მაგიდასთან საქმიანობდა, კისერზე ტანსაცმლის შიგნით მიეკვრებოდა. ეს თახვი ავად იყო და ბოლოს ისე დასუსტდა, რომ მოკვდა.

ლეგა ბუ სულის სიღრმეში იტანჯებოდა თახვების განუწყვეტილი ხოცვის გამო. მარტში თახვებს ხელკეტებით ხოცავდნენ, მაშინ, როცა ისინი წყლიდან თავს ამოყოფდნენ. ამას მგრძნობიარე ადამიანი არ შეიძლებოდა არ აეღელვებინა. ზოგჯერ თახვი ხელკეტის დარტყმის მოლოდინში წინა თათებს თავზე იფარებდა. ასეთი რამეც მოხდა, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი თახვი ნაპირამდე მიცურდა, წყლიდან ამოვიდა, მონადირიდან რამდენიმე ფუტის[7] დაშორებით დაწვა და თითქოს თხოვდა, რომ მოეკლა, თუმცა მონადირემ დიდხანს ვერ შეძლო ხელის აღმართვა.

ლეგა ბუ ყველაფერი ამის გამო დიდი ხანია წუხდა, მაგრამ ხომ უნდა ეარსება და ისიც თავისი საქმიანობის ტყვეობაში დარჩებოდა, რომ არ შეხვედროდა ქალს და რომ პატარა ობოლ თახვებს ტყეში მცხოვრები ცოლ–ქმარისთვის შვილების ადგილი არ დაეკავებინათ. ისინი ბავშვებივით საყვარლები იყვნენ და ასეთი არსებები იხოცებოდნენ. არა! ლეგა ბუ ახლა დააკვირდება, შეისწავლის და შეითვისებს მათ, იქნებ შეძლოს შექმნას თახვების კოლონია, მათ გადასარჩენად იბრძოლოს, რათა არ გადაშენდნენ. თვალწინ ბიზონების მაგალითი ედგა. თუკი მათმა დაცვამ შედეგი გამოიღო, იქნებ ლეგა ბუს თახვებისთვისაც ეშველა. ოღონდ, რით დაეწყო? უნდა დაეწყო იმით, რომ ეპოვა თახვების ოჯახი, რომელზედაც არც ერთ მონადირეს პრეტენზია არ ექნებოდა და მოხეტიალე მონადირეებისგან დაეცვა. თახვების პოვნა, დაცვა, მიჩვევა იოლი საქმე არაა, დრო ჭირდება. ამ დროს კი თავი რითი ერჩინა? უკაცრიელ ადგილას რითი ეარსება? შიმშილით სიკვდილი ელოდა ან ბეწვეულით უფრო მდიდარ რაიონში უნდა გადასახლებულიყო ანდა სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი. ამით ის სხვა მონადირეებს დაუპირისპირდებოდა, რლებიც მას მოღალატედ ჩათვლიდნენ.

მიუხედავად ყველა ამ წინააღმდეგობისა დაუყოვნებლივ საქმეს უნდა შედგომოდა. მისი საწყისი ავლადიდება ორი პატარა თახვისა და სურსათვის ანგარიშისგან შედგებოდა.

ბევრი განსჯის მერე ლეგა ბუმ გადაწყვიტა თავისი გეგმები ანახარეოსთვის გაემხილაყ

– ჩვენ სხვა საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი, თახვებზე ნადირობას სამუდამოდ თავს ვანებებ. – მტკიცედ უთხრა ცოლს.

ანახარეომ უნდობლად შეხედა.

[7] ფუტი – ინგ. სიგრძის საზ. ერთ., უდრის 30,48 სმ–ს.

– ეს უკვე გადაწყვეტილია. ამიერიდან თახვების მფარველი საზოგადოების პრეზიდენტიც ვარ, ხაზინადარიც და ერთადერთი წევრიც. რას იტყვი ჩვენს ფინანსებზე?

ანახარეო ვერასდროს იფიქრებდა თუ ქმარი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

– ახლა რას აპირებ?

ქმარმა დაწვრილებით გააცნო თავისი გეგმები.

– იქნებ გაგვიჭირდეს, ქამრებს მოვუჭიროთ.

– მოვუჭიროთ. – მიუგო ანახარეომ.

დავითი თეთრი ქვა

მარტოხელა კაცის ოცნება... და ამ ოცნებას ხორცი შეესხმება თუ კაცი ისეთ მხნე ადამიანს შეხვდება, როგორიც ანახარეო იყო, მალე ამ ორ ადამიანს, რომლებმაც თახვების მოდგმის გადარჩენა განიზრახა, მიემატა მესამეც, ალგონკინის ტომის მოხუცი ინდიელი, რომელსაც დავითი – თეთრი ქვა ერქვა. ისიც ონტარიოს ტბის რაიონიდან იყო. დავითი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც თეთრი ადამიანისგან ბევრი ისწავლეს, მაგრამ მშობლიურიც შეინარჩუნეს. ის სხაპასხუპით ლაპარაკობდა ინგლისურად და ფრანგულად. იყო ტანმაღალი, პირქუში კაცი, დაკუნთული, მოკრძალებული, გულჩათხრობილი, იუმორით დაჯილდოებული, ჰქონდა გამჭოლი გამოხედვა და შესანიშნავად ყმუოდა მგელივით. სიმთვრალეში ფსალმუნებს გალობდა, ჰქონდა საფანტიანი თოფი, რომლის ძალაც ბევრჯერ გამოეცადა. იროკეზების თავდასხმები ბავშვობიდან ახსოვდა და ახლაც, მოხუცს ჯეროდა, რომ მათი რაზმები სადღაც ადამიანის ფეხდაუდგმელ, მიუწვდომელ ადგილებში იმალებოდნენ და ახალ ბოროტმოქმედებას გეგმავდნენ. ის მონაწილეობდა კანადის წყნაროკეანური რკინიგზის მშენებლობაში, მონაწილეობდა უელსის პრინცის–ედუარდის ისტორიულ მოგზაურობაში, როცა მან თავის რჩეულ მენიჩბეებთან ერთად მდინარე ოტავაზე კანოეთი გადალახა ბეწვეულის გზა ქალაქ მონრეალამდე. დავითს სჯეროდა, რომ ადამიანის ფეხდაუდგმელ ადგილებში ჯერ კიდევ მრავლად იყო ნადირ–ფრინველი და ოქრო. ის ოქროსმაძიებელი იყო. მან ერთი წლის წინათ მიაგნო ოქროშემცველ უბანს, რაზეც განაცხადი ჯერ არავის შეეტანაყ ლეგა ბუ გულგრილად უყურებდა ოქროსმაძიებლობას, მათ აზარტულ ქექვას ქვიშასა და ტალახში. მოხუცის ენთუზიაზმა ააგულიანა ანახარეო, რომელიც ოქროსმაძიებელთა ოჯახიდან იყო. საღამოობით სამივე დიდხანს საუბრობდა ოქროშემცველ ქვიშებზე, ათვალიერებდნენ ქანების ნიმუშებს და რუკებს სწავლობდნენ. ერთხელ, ხანგრძლივი საუბრის მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ ღამემ დააბრკოლა, კინაღამ გზას დაადგნენ. მხოლოდ ლეგა ბუ ინარჩუნებდა კეთილგონიერებას და დავითს და ანახარეოს ურჩევდა გაზაფხულამდე მაინც დაეცადათ. დავითი ისეთი თვითდაჯერებული იყო, რომ თავის ნაკვეთზე მოპოვებული ოქროს შუაზე გაყოფას შეპირდა, მერე კარგ აღჭურვილობას შეიძენდნენ და

ჩრდილოეთისკენ, ადამიანის ფეხდაუდგმელი ტყეებისკენ გაეშურებოდნენ. სამივეს ჯერ კიდევ ჯეროდა, რომ სადღაც "შორეული სერებს" იქეთ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ნადირ–ფრინველი და რამდენს ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ მოუვლიდნენ თახვებს, რომლებიც იმ დროისთვის უკვე გაიზრდებოდნენ, როგორ ეყვარებოდათ, თითქოს ისინი ცხოველები კი არა, საკუთარი შვილები ყოფილიყვნენ. კეთილი დავითი საათობით ბავშვივით ეთამაშებოდა პატარა თახვებს. ლეგა ბუ თავის გეგმებს ჯერ არ უმხელდა, რადგან ხარკს უხდიდა ცრურწმენას იმაზე, რომ წინასწარ თქმა არ შეიძლება.

გაწაფხულამდე ჯერ კიდევ შორს იყო და ფიქრობდნენ დარჩენილი დრო როგორ გაეტარებინათ. იმ ადგილებში ცხოვრება ხიფათით აღსავსე იყო. ქვებექის ამ ნაწილში ზაფხულობით შეუწყვეტლად წვიმდა და ნესტის გამო კარავში ცხოვრება გაუსაძლისი ხდებოდა. ტუბერკულოზისა და სხვა დაავადებებისაგან ინდიელები ბუზებივით იხოცებოდნენ, რასაც ცუდი ამინდი ხელს უწყობდა. ინდიელების სანადირო ადგილები გაჩანაგებული იყო მოხეტიალე ყაჩაღებისგან და თუ რომელიმე ინდიელი შიმშილისაგან ჯერ არ მომკვდარიყო, დასუსტებული სენს ვერ უმკვდავდებოდა. ოტავაში ინდიელთა ექიმი ავადმყოფთა მკურნალობას ვერ აუდიოდა და სამივე ბედისმაძიებელს დაუყოვნებლივ ამ ადგილების დატოვება ურჩია.

მათდა საბედნიეროდ მოულდნელად მონადირეთა ჯგუფს გადააწყდნენ და სამივენი თახვებთან ერთად მათ შეუერთდნენ. თახვები მათი ბედნიერი თილისმები გახდნენ, ერთობოდნენ და ანცობდნენ, სპორტსმენებს გაუშინაურდნენ, კარვებს ღრღნიდნენ, პურს იპარავდნენ, კარავში ძვრებოდნენ, კვერცხებს ამტვრევდნენ და ყველას ფეხებში ებლანდებოდნენ. ღამით მათ დავისუფლად უშვებდნენ და ხშირად იკარგებოდნენ, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც ბრუნდებოდნენ. ერთხელ, ღამის სამ საათზე სხვის კარავში შეეღეტნენ. ერთი თახვი მძინარე სპორტსმენს აახოხდა და ცხვირიდან კუდამდე სველ ბეწვს მასზე იწმენდდა. ექსპედიციის დასასრულს სურსათ–სანოვაგე გამოელიათ. თახვების ყველას შურდა, რადგან მათი საკვები ირგვლივ უხვად იზრდებოდა. ასე, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ექსპედიციის წევრებიდან მაძღრები მხოლოდ თახვები იყვნენ.

ჯო აიზეკი

ჩვეულება, რომ შენი გეგმები წინასწარ არავის უნდა გაანდო, როგორც ლეგა ბუ მოიქცა, სიყმაწვილეში უცნაურობად ეჩვენებოდა, მაგრამ ბედისწერა მათ თავისნაირად მოფიქრალ ადამიანებს შეახვედრებთ. თუ ლეგა ბუ თახვების ქვეყნის დაარსებაზე არ იოცნებებდა, მაშინ ის ოქროსმაძიებელ დავითთან ერთად სამონადირეო ექსპედიციებში არ წავიდოდა. მათ გაიცნეს ერთი ინდიელი, ჯო აიზეკი ნიუ–ბრუნსვიკიდან. ლეგა ბუ ხეტიალში მრავალნაირ ადამიანს შეხვედრია, ცრუპენტელებს, როგორც უნიჭოებს, ისე ნიჭიერებსაც. ერთ ასეთ ნიჭიერ ცრუპენტელას პირველად შეხვდა. ეს კაცი ამ ქვეყნად თითქოს ტყუილისთვის იყო მოვლენილი. მსმენელს თითქოს აჰიპნოზებდა და აჯერებდა, თავის თავზე ბევრს ლაყბობდა. რომ ის საუკეთესო პროფესიონალი ათლეტი იყო, კარგი და ხათრიანი ადამიანი, მაგრამ ასეთებსაც შეიძლება კურიოზები შეემთხვეთ. ის ათლეტობით ფულს კარგად შოულობდა, ყოველთვის იმარჯვებდა, პრიზებს იღებდა, სხვებს კი ვარჯიშის ხალისს უკარგავდა, ამიტომ მთელს მატერიკზე გამოსვლა აუკრძალეს. არ უნდოდა სხვა საქმით კუნთები დაეღალა, ამიტომ აკრძალვის გაუქმებას ელოდა, იქამდე კი უსაქმოდ იყო. ჯო აიზეკს მთელი მატერიკი მოევლო და უნახავი თითქმის აღარაფერი დარჩენოდა. მას ნაიარევი ჰქონდა. როგორც მერე გაირკვა ქირურგიული ოპერაციის კვალი იყო. მისი ცხოვრებისეული გამოცდილების გამო მის ასაკში ეჭვი ეპარებოდათ. ვიღაცამ ზუსტად გამოთვალა მისი ასაკი მისივე მონაყოლის საფუძველზე და აღმოჩნდა, რომ ის თითქოს 118 წლის უნდა ყოფილიყო.

წარმოიდგინეთ ასეთი კაცი როგორ გავლენას მოახდენდა ცოლ–ქმარზე, რომლებიც ჯაფით მოიპოვებდნენ არსობის პურს, გაჭირვება გამოეცადათ და ათასი ჯურის ადამიანს შეხვედროდნენ. ჯო აიზეკმა ცოლ–ქმრის ყურადღება ტულეიდის ტბაზე მონაყოლით მიიპყრო. როგორც შემდეგ გაირკვა ეს ტბა მართლაც არსებობდა. თითქოს იქ საკუთარი ქოხი ჰქონდა, კანოები, სხვადასხვა აღჭურვილობა, კრედიტი დუქანში, მოკეთეები, რომლებიც მის ნებისმიერ მეგობარს ხელგაშლილნი შეხვდებოდნენ. ლეგა ბუ ყურადღებით უსმენდა და დაასკვნა, რომ ეს ადგილი, ტემისკაუატა ტულეიდის ტბაზე ყურადღებას იმსახურებდა.

თახვების ქვეყანაზე მეოცნებეებისთვის ეს უცხო შორეული ადგილი კანადაში მდებარეობდა და როგორც ჯო უამბობდა ცოლ–ქმარს და მათაც ჯეროდათ, მეჩხრად იყო დასახლებული ნადირთა შემოსევების გამო, ირმები პურის ყანას ჩლიქებით ქელავდნენ, მდინარეში ქრცვინები და თახვები მეთევზეებს ავიწროებდნენ, თახვები კი დაცურებულ მორებს ისე ღრღნიდნენ, რომ სამხერხაომდე უკვე გამოუსადეგარი აღწევდა. და კიდევ იმ ადგილებში ბინადრობდნენ კაციჭამია კატები, რომელთა გაჟუჟვისთვის თითქოს მთავრობამ მონადირეებს პრემია დაუწესა.

ასეთი დამაჯერებელი მოყოლის მერე ჯო ჩაფიქრდა, ალბათ რაიმე ახალი მოეფიქრებინა.

– ჯო, იქ თახვებიცაა? – ჰკითხა ლეგა ბუმ.

– თახვები?! პატარა მდინარეები გადავსებულია თახვებით და ნაწილი ხმელეთზეც ბინადრობს. ამის გამო გადასხვაფერდნენ, კუდზე წავებივით მოკლე ბეწვი ეზრდებათ. ასეთ თახვებს ბალახის თახვებს ეძახიან.

ბალახის თახვებზე შეკითხვამ ჯო დააბნია და უთხრა, რომ ასეთი თახვები ადამიანებს არ ეჩვევიან და მათ შესახებ არანაირი ცნობები არ არსებობს. უცნაურია, ასეთ მარტივ კითხვაზე რომ დაიბნა, მაგრამ ტყუილსაც ხომ აქვს საზღვარი. ტემისკაუატა მისი სამშობლოს სიახლოვეს იყო და ალბათ ამიტომ ვარდისფერი სათვალით არ უყურებდა, როგორ ადამიანები უცხო, შორეულ ქვეყნებს უყურებენ. სჩანს, მის ნაამბობში ჭეშმარიტების მარცვალიც იყო, მაშინ ლეგა ბუ იქ არ გაემგზავრებოდა. ყოველ შემთხვევაში ტემისკაუატა არსებობდა. ჯო აიზეკის "მონადირული მოთხრობები" ნამდვილად მიმზიდველი იყო. როცა ლეგა ბუმ გამომცდელად ჰკითხა, ჯომ ნაიარევი აჩვენა, თითქოს თახვის ნაკბენი იყო.

"მონადირული მოთხრობების" მთხზველს წყინდა, რომ მისი არ ჯეროდათ. ლეგა ბუს ბევრი თახვი არც სჭირდებოდა, დასაწყისისთვის თახვების ერთი ოჯახიც საკმარისი იყო. კვლავ გაშალეს რუკები და სამივე თავიანთ მარშრუტს სილაზე ჯოხით აღნიშნავდა და მთელი კვირის განმავლობაში ტულეიდის ტბასთან მდებარე ტემისკაუატაზე ლაპარაკობდა.

– მთებისოდენად დახორავებულ დახერხილ მორებზე გადასვლისას ერთმა კაცმა ორივე ფეხი მოიტეხა და იქვე გარდაიცვალა. ამიტომ ამ ადგილებში არავინ ნადირობს, ფეხის მოტეხის ეშინიათ. მერე როგორი სანადირო ადგილია, სათხილამურო ბილიკები, რამდენი თახვი! – ამბობდა ჯო.

დავითი მიჩვეული იყო მთხრობელისთვის ფეხზე მდგარს ესმინა და არასოდეს შეპასუხებოდა. ჯოს ნაამბობი სხვებსაც ნაკლებად ჯეროდათ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ხეტიალისა და უნახავისკენ ლტოლვის სურვილი აღუძრათ. ჩვენი გმირები დაუჯერებელი ამბების გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, მაშინვე რუკას დახედავდნენ და მზად იყვნენ გაერისკათ და გზას დასდგომოდნენ.

ანკი რატომ არ უნდა გაერისკათ, როცა რისკი კეთილშობილი საქმეა? და აი, ასე დაადგნენ ტემისკაუატას გზას.

შორი გზა

მგზავრობისთვის ლეგა ბუმ გაყიდა კანოე, თავისი ჭეშმარიტი მეგობარი, შორეული ცურვის თანამგზავრი და თავისთვის და ანახარეოსთვის როგორღაც ბილეთის ფული მოაგროვა. საწყალ დავითს ეტირებოდა, ბილეთის ფული რომ არ ჰქონდა და ვერც ვერაფრით დაეხმარებოდნენ. სხვადასხვა ნივთების გაყიდვით მოგროვილი ფულით მხოლოდ ადგილამდე მიაღწევდნენ. სხვა რა გზა ჰქონდათ! ბედისმაძიებლები მეგობარს დაემშვიდობნენ და დაჰპირდნენ, რომ მასაც მიიწვევდნენ, როცა რაღაცას მაინც მოინადირებდნენ.

ჩვენს მოგზაურებს ახალი კანოეც ჰქონდათ, სრული მონადირული აღჭურვილობა, თხილამურები, თოფი, სურსათ–სანოვაგე. თახვები თუნუქით შემოკრულ ყუთში ჩასვეს, წყლით სავსე თასი კი ყუთის კუთხეში მიამაგრეს. სატვირთო ვაგონში მათთვის ერთი იღლია ალვის ხის ტოტები შეინახეს. გადაჯდომების დროს თახვების ყუთი ლეგა ბუს ზურგით გადაჰქონდა. თახვებს ქვებექის სადგურის ბაქანზე აჭამეს, მათ ირგვლივ უამრავი ხალხი შეიყარა და შენიშნეს, რომ თახვები არასაიმედოდ დაკეტილ ყუთით მიჰყავდათ. ჩვენი მოგზაური ცხოველები გზაში სულ წმუკუნებდნენ და მოუსვენრობდნენ, წყალი დაღვარეს და ლეგა ბუს ზურგი დაუსველეს. ჩვენმა ინდიელებმა მგზავრების ყურადღება მიიქციეს, მეგობრულად უყურებდნენ. თახვების ხმის გაგონებაზე, ერთმა ნასვამმა ჯენტლმენმა სთხოვა კიდეც: “ღვთის გულისათვის, ყუთიდან ბავშვი გამოუშვით როგორც კეთილ ქრისტიანებს შეეფერებათ”.

ბოლოსდაბოლოს მატარებელი დაიძრა. თახვებმა წყურვილი მოიკლეს. ჩვენი მოგზაურები ფანჯრიდან მიდამოს ათვალიერებდნენ. სულ მალე ლეგა ბუმ შეამჩნია, რომ მატარებელი სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ, მჭიდროდ დასახლებული ადგილებისკენ მიემართებოდა. აქა–იქ, ძველი, უღრანი ტყეების უკანასკნელი წარმომადგენლები – ცალკეული ხნოვანი ხეები მოჩანდა. მათი შემხედვარე ლეგა ბუ ფიქრობდა, რომ ისიც ოდესღაც ძლევამოსილი ტომის ერთ–ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო.

დიდი მდინარე წმინდა ლავრენტი თავისი დინების ქვემოწელში დაუსახლებელ მთიანეთს და დასახლებულ დაბლობს ჰყოფს და როცა მატარებელმა მდინარე გადაკვეთა

და გზა სამხრეთისკენ დაბლობზე გააგრძელა, ჩვენმა მგზავრებმა მოიწყინეს, ეგონათ, რომ სამშობლოსა და მეგობრებს საუკუნოდ ტოვებდნენ. ყველაფერი ზღაპრულ გზაჯვარედინს მიაგავდა, თითქოს აღსასრულს უახლოვდებოდნენ და უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. ამ დროისთვის საბოლოოდ განთავისუფლდნენ ჯო აიზეკის ჰიპნოზური გავლენისაგან. მატარებელი კი შორს უცხო ქვეყნისკენ მიაქანებდათ და მეოცნებე ცოლ–ქმარმა ბედი თავისდა უნებურად ტყის უღრანში ნაპოვნ და ყუთში დამწყვდეულ თახვებს დაუკავშირა.

განა ლეგა ბუს იშვიათად უმგზავრიათ მატარებლით, მაშინაც ფანჯრიდან უყურებდა უნახავ ადგილებს, ის ხომ ევროპაშიც იყო ნამყოფი, ომში, მაგრამ მაშინ მისი მგზავრობა უზრუნველყოფილი იყო და ამჟამინდელ ნამდვილ მოგზაურობასთან შედარებით იოლადაც ეჩვენებოდა, ეს მგზავრობა კი წინა ხაზზე ბრძოლას მიაგავდა.

ლეგა ბუს ჭამაზე ფიქრი სულს უფორიაქებდა, თახვებზეც ხომ უნდა ეფიქრა. ირგვლივ ტყე რომ ყოფილიყო რაღაცას ყოველთვის მოიპოვებდა თავისთვისაც და თახვებისთვისაც, მაგრამ რა უნდა მოენახა უტყეო და დასახლებულ ადგილას ასეთ ბუნებას მიუჩვეველ ადამიანს? მატარებელი რაც უფრო სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ მიიწევდა ლეგა ბუსთვის აშკარა ხდებოდა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველთა ქვეყნის ძიების უსაფუძვლობა დაბებით გარემოცულ გაჩანაგებულ ტყეებში.

ანახარეომ თახვების ყუთს თავი ახადა, უცებ ქმრის შეფიქრიანებული მზერა შენიშნა.

– ნუ სწუხარ, როგორმე თავს გავიტანთ.

– ფანჯარაში გაიხედე, განა ეს ქვეყანა სანადიროდ გამოდგება? – მიუგო ქმარმა.

მატარებელი კი უფრო და უფრო სამხრეთისკენ მიიწევდა.

– მატარებელი მიმართულებას შეიცვლის, სანამლეოს დავდებ ტემისკაუატა ტყეებითაა გარემოცული. – თქვა ანახარეომ.

– მალე ალბათ ტყეებიც გამოჩნდება, სიძნელეებს თავს დავაღწევთ. – მიუგო ქმარმა.

უცებ მოიფიქრეს, რომ კონდუქტორისთვის ეკითხათ, თუ მატარებელი საით მიდიოდა. ლეგა ბუმ ეს კაცი მეგაზეთეს კიოსკთან ნახა. კონდუქტორი კეთილი კაცი აღმოჩნდა.

– თქვენი ბილეთი კობანომდეა და თქვენი ტვირთიც სატვირთო ვაგონში ამავე ადგილამდეა. საფიქრალი არაფერია, არც ისე ცუდი ადგილია. იქაურების ძირითადი საქმიანობა მართალია ნადირობა არაა, მაგრამ ხალხი იქ კარგად გამოიყურება. თუ თქვენ ტყეს ეძებთ, იქ სწორედ რომ უკიდეგანო ტყეებია.

– უკიდეგანო?!

– როგორაა საქმე? რა გითხრა კონდუქტორმა? – ჰკითხა ანახარეომ მობრუნებულ ქმარს.

– ამბობს, რომ უღრანი ტყეებია. ტყუილად ლაყბობს, რამდენიმე მილზე გადაჭიმული ალვის კორომი ალბათ ტყეები ჰგონია.

ფანჯარაში ფერმები, ქალაქები, შარაგზები ჩანდა. ჩვენი საწყალი ინდიელები სკამზე ერთმანეთს მიკრულები ისხდნენ და გულშემკულები უყურებდნენ ირგვლივ მიდამოს, რაც სრულიად არ ჰგავდა მათ მშობლიურ ველურ ჩრდილოეთს, მხოლოდ მათ ფეხებთან ყუთში მყოფი ორი პატარა თახვი აკავშირებდათ მშობლიურ ტყე–წყალთან. მათთან ასეთი სიახლოვე ადრე არ უგრძვნიათ. ისინი ადამიანები და ცხოველები კი არ იყვნენ, არამედ ოთხი მეგობარი, რომლებიც უცხო ქვეყანაში მიემგზავრებოდა.

რივერ–დიუ–ლიუს მერე მატარებელმა სამხრეთისკენ გაუხვია. ფანჯრიდან შორს მეწამული, ტყიანი სერები მოჩანდა და ალაგ–ალაგ ტბებიც ლაპლაპებდა.

ასეთმა ხანგრძლივმა მგზავრობამ თახვები დაქანცა და კონდუქტორმა მათდა სასკეთოდ მატარებლის შინაგანაწესი დაარღვია. რადგან მათი ვაგონი თითქმის ცარიელი იყო, ნება დართო ვაგონის გასასვლელში თახვები თავისუფლად გაეშვათ. გარდა ამისა კონდუქტორმა ცოლ–ქმარს ურჩია, რომ ყველანი სატვირთო ვაგონში გადასულიყვნენ, რადგან იქ უფრო სუფთა ჰაერი იყო. ჩვენმა მოგზაურებმა დაუჯერეს და სატვირთო ვაგონში გადაინაცვლეს. თახვებს მაცივრის წყალი დაალევინეს და ისინიც გამოცოცხლდნენ. ასე, რომ სულ სუფთა ჰაერზე იყვნენ.

ჩვენი ინდიელი მგზავრები ტემისკაუატას ტბის დანახვამ ისე გაახარა და გაამხნევა, როგორც თანხვები ცივმა წყალმა და სუფთა ჰაერმა. ტბა ერთი მხრიდან ტყიანი მაღალი მთებით იყო შემოსაზღვრული და როცა დანიშნულების ადგილს მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ ტბას აღმოსავლეთის მხრიდან ნამდვილი ტყეები აკრავდა.

ლეგა ბუმ თავისი ტვირთი ფურგონზე დაალაგა, რომელსაც ტბამდე უნდა მიეყვანა. ქალაქი პატარა აღმოჩნდა. ტბის ერთ მხარეს ფერმები, მეორე მხარეს კი ტყეები დაუსახლებელი იყო. ჩვენი მოგზაურები გამხიარულდნენ, მაგრამ მაინც შეფიქრიანებულები იყვნენ, რადგან სურსათ–სანოვაგე ერთ თვეს თუ ეყოფოდათ. სანამ არ ინადირებდნენ მთელი ზამთარი თავს რითი გაიტანდნენ? ყველაფერი რა თქმა უნდა სამონადირეო ავანსზე იყო დამოკიდებული.

ლეგა ბუმ მეფურგონეს გზის საფასური გადაუხადა და დარჩენილი ფული ირმის ტყავისაგან შეკერილი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. მისი კაპიტალი 1 დოლარისა და 45 ცენტისგან შედგებოდა.

ქალაქი – კონსერვი

ქალაქი კობანო, საფრანგეთის კანადისათვის დამახასიათებელი დიდი სოფელი, ქედის ქარისგან დაცულ მხარეს მდებარეობდა. მის მთავარ ღირსშესანიშნაობას ხის სახერხი ქარხანა წარმოადგენდა, ურომლისოდაც ქალაქის არსებობას აზრი არც ექნებოდა. ქვის ტაძარი სერზე ისე მაღლა იდგა, რომ თითქოს მთელი მოსახლეობა მის ჭერქვეშ იყო შეფარებული.

ჩვენი ინდიელები თავიანთი ბარგი–ბარხანით დატვირთულ საზიდარს გვერდით მიჰყვებოდნენ. უამრავი ხალხი ირეოდა, ყველანი ფრანგულად ლაპარაკობდნენ, ინგლისური სულ არ ისმოდა. ლეგა ბუს ასე ორმოციოდე ფრანგული სიტყვა გაახსენდა, რომლებიც ევროპული ომის დროს დაამახსოვრდა.

– ინდიელები! ველურები! – ყურს მიწვდა გამვლელთა ნათქვამი.

ჩვენმა ინდიელებმა ვყელას ყურადღება მიიქციეს. მიუხედავად ჩამოსულებისადმი ცნობისმოყვარეობისა, არავინ უხეშად არ მოქცევიათ და არც თვალი გაუყოლებიათ.

ტბის აღმოსავლეთ ნაპირს თვალუწვდენელი ტყეები ესაზღვრებოდა. აქ ადამიანის ცხოვრების კვალი არც ემჩნეოდა. სადღაც იქეთ მიედინებოდა მდინარე ტულეიდი, დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის კარიბჭე. იქეთ! რა თქმა უნდა იქეთ! რაც შეიძლება სწრაფად. რათა იქ, ტყის პირას დაბანაკდნენ, დაისვენონ და ძალები მოიკრიბონ. მგზავრები ყოველთვის ცდილობენ სასტუმროში მივიდნენ, დაიბანონ, რესტორანში სადილი შეუკვეთონ, ჩვენი ინდიელი მგზავრები კი კეთილმოწყობილი ქალაქიდან ტყის სიმყუდროვისკენ ისწრაფვოდნენ. ტბაზე ტალღები აქოჩრილიყო და ბორანის მგზავრები ჩვენს ინდიელებზე წუხდნენ. განა შეიძლება ასეთ ტალღებზე ასეთი პატარა კანოეთი ცურვა?! მაგრამ ინდიელმა ცოლ–ქმარმა სულ მალე დაამტკიცა, რომ კანოეთი მარტო მდოვრე წყალში კი არა, ისეთ ტალღებზეც შეიძლება ცურვა, სადაც სხვა ვერაფერი გასცურავს.

ბორანს “იოანე ნათლისმცემელი” ერქვა. ამ მხარეში ყველაფერს წმინდანთა სახელები ერქვა. ის ტბაზე ერთი მილის მანძილზე გადაადგილდებოდა და ქალაქ კობანოს სხვა, პატარა ახალშენისკენ მიმავალ გზასთან აკავშირებდა. ამ ახალშენში, ასამდე კომლი

ცხოვრობდა და რადგან მდინარე ტულეიდთან მდებარეობდა, კანოეთი შეგეძლოთ მიგეღწიათ.

ჩვენს მოგზაურებს ეჩქარებოდათ, ამიტომ თავიანთი ბარგი ბორანზე დატოვეს, თვითონ კი კანოეთი გვერდით მიჰყვნენ. თახვები ყუთიდან გამოუშვეს და თავისუფლად გაუშვეს. თახვებმა წყლის უზარმაზარი სივრცის დანახვაზე ცურვა ვერ გაბედეს და ნაპირ–ნაპირ მიჰყვნენ, დროდადრო წყალში ხტებოდნენ, მერე კი ისევ ნაპირზე ამოდიოდნენ.

ინდიელებს ტემისკაუატას ტბისპირა ბანაკში ბევრი ადგილობრივი მცხოვრები ესტუმრა, მათ შორის საპატიო მოქალაქეებიც. მათ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ ამოძრავებდათ. არა! ისინი თავს მასპინძლებად თვლიდნენ და თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ, რომ დახმარებოდნენ, რათა თავი უცხოდ არ ეგრძნოთ. ზოგს კარტოფილი მოჰქონდა, ზოგს – ღვინო, ზოგმა მისამართები მისცა და მათი გაცნობა ურჩია. მეზობელი ქალაქიდან ბეწვეულის ვაჭარი ჩამოვიდა და თახვების გაყიდვა შესთავაზა ისეთ ფასად, რომ ახალ წლამდე თავს გაიტანდნენ. ყველა ადგილობრივი მცხოვრები ინდიელ ცოლ–ქმარს თავაზიანად ექცეოდა და მათ მიმართ ყურადღებას იჩენდა, რაც ლეგა ბუს გაკვირვებას იწვევდა. მას მრავალი უსიამოვნო ამბავი ახსოვდა ფრანგი დეზერტირებისაგან, რომლებიც 1917–1918 წლებში კანადის ტყეებს შეესიენ და ნადირ–ფრინველს უმოწყალოდ ანადგურებდნენ. და აი, ასეთი საზიზღარი ადამიანების შემდეგ ლეგა ბუ არისტოკრატ ფრანგთა სამსაუკუნოვან ქვებექში მოხვდა, სადაც ადამიანებს თავისი შინაგანი ბუნება არ შეეცვალათ და თითქოს დაკონსერვდნენ. ლეგა ბუს უამრავი ჭირ–ვარამი ენახა თავის სამშობლოში, გაჩანაგებულ ტყეებში, ცივილიზებული ერების ომში, აქ კი მასთან გაღიმებული ადამიანები მოდიოდნენ. მისთვის ესეც სრულიად საკმარისი იყო.

ციური მანანა

ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ინდიელი მონადირეები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ბეწვეულის ვაჭრები მათ სურსათ–სანოვაგით ამარაგებდნენ და გრძელვადიან კრედიტებსაც აძლევდნენ. აქ კი ამაზე არავის ეფიქრა და არც ბეწვეულის სავაჭრო იყო. ადგილობრივ მედუქნეებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმაზე, რომ შეიძლებოდა მონადირისთვის ავანსი მიეცათ. ნადირობის სეზონი ახლოვდებოდა, ხეებს უკვე ფოთლები ცვიოდა.

როგორ მოქცეულიყვნენ? რა ექნათ? ფული სად ეშოვათ? გაიკითხეს და გაიგეს, რომ ეს ტყეები მდინარე ტულეიდამდე და ნიუ–ბრუნსვიკამდე გადაჭიმულიყო და თითქმის ატლანტის ოკეანემდე აღწევდა. ჯომ, რომელმაც მონადირეები თავისი ნაამბობით მოხიბლა, ეს ადგილები სხვანაირად აღუწერა. მას სამონადირეო უბანი სულ არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ქოხი. ბეწვიანი ნადირი ადგილობრივ მოსახლეობას ზიანს არ აყენებდა, მხოლოდ ირმები ხანდახან თივას ეტანებოდნენ.

ერთ ირლანდიურ ორთქმავალზე ლეგა ბუს ადამიანებმა, რომლებიც ირგვლივ მიდამოს კარგად იცნობდნენ, უთხრეს, რომ ასე 40–50 მილის დაშორებით შეეძლო მოენადირებია რამდენიმე წაულა, მელია და თახვი.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერთმანეთისგან დაშორებით თახვების რამდენიმე ოჯახი ბინადრობდა. სწორედ მათზე ნადირობას ჰქონდა აზრი, მაგრამ ლეგა ბუს მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ თახვებზე აღარ ენადირა. მას არ ავიწყდებოდა და ოცნებობდა, რომ თახვების კოლონია შეექმნა. რა იყო დასაღონებელი? მარტო თახვებს ხომ არ ჰქონდა ფაფუკი ბეწვი? ასე ცხოვრობდა ყველა მონადირე. ლეგა ბუს ჯერ არ შეხვედროდა ისეთი მონადირე, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი ჯაფის მერე მოხუცებულობაში თავისი დანაზოგით მშვიდად და უზრუნველად ეცხოვრა.

მოულოდნელად ჩვენს მონადირეებს სანერვიულო გაუჩნდათ. თახვებს ბეწვი ცვიოდათ, დღე და ღამე იფხანებოდნენ და ბეწვს ბღუჯა–ბღუჯა იგლეჯდნენ. მოკლე ხანში ბეწვი სულ გასძვრათ, მხოლოდ ზურგზე ფაფარივით შემორჩათ, სადაც თათებით ვერ მისწვდნენ. თახვები ძველ, თავგადაპარსულ ინდიელებს მიაგავდნენ. ასე, განსაკუთრებით ანახარეოს წინაპრები იქცეოდნენ. ამის გამო ლეგა ბუ და ანახარეო თახვებს პატარა ეროკეზებს

ეძახდნენ. საქმე სახუმაროდ არ იყო. “პატარა ეროკეზები” მოუსვენრობდნენ, მადა დაეკარგათ, არ ჭამდნენ და წყალს ერიდებოდნენ.

თახვები ექიმთან მიიყვანეს. მან თახვები გასინჯა და საკვების შეცვლა ურჩია. შვრიისგან შეიძლება დახოცილიყვნენ კიდეც. ზამთარი ახლოვდებოდა, მათ კი ბეწვი არ ჰქონდათ. ექიმმა ქავილის მოსარჩენად საცხით სავსე ქილა მისცა და ურჩია პატარა ბავშვებისათვის განკუთვნილი საკვები ეჭმიათ. ექიმმა რჩევასა და წამალში გასამრჯელო არ აიღო და კარგი ინგლისურით უთხრა:

– მე ძველი ჯარისკაცი ვარ და ამხანაგებისგან ფულს არ ვიღებ. როცა დაგჭირდებათ, ყოველთვის შეგიძლიათ მოხვიდეთ, მე თქვენი მეგობარი ვარ.

ლეგა ბუს სულ 30 ცენტიღა ჰქონდა და დუქანში შევიდა, ეგონა ბავშვის საკვებისთვის ეყოფოდა.

– 75 ცენტი. – უთხრა მედუქნემ.

ლეგა ბუმ საკვებს შეხედა და თვალწინ წარმოუდგა ტბის პირას მომლოდინე ორი პატარა სნეული არსება, გამოუვალი მდგომარეობის გამო გაბედა და მედუქნეს ჰკითხა:

– კრედიტით არ შეიძლება?

– რა თქმა უნდა შეიძლება.

ანახარეოს ფრანგული უფრო კარგად ესმოდა. ლეგა ბუ მისკენ მიბრუნდა და ჰკითხა:

– რას გვეუბნება?

– კიდევ რა გნებავთ? – გაუმეორა მედუქნემ.

– მალე სანადიროდ წავალ, ტულეიდიზე, ზამთრისთვის სურსათ–სანოვაგე მჭირდება.

– რა ადგილას?

– ხორტონისკენ.

– შესანიშნავი ადგილებია. – მიუგო მედუქნემ.

ლეგა ბუს ხორტონის გარდა სხვა ადგილი არც გაეგო.

მედუქნემ დავთარი გადმოიღო, ფანქარი აიღო და ჩაიწერა, რაც ლეგა ბუს ჭირდებოდა და 120 დოლარის ღირებულების სურსათიც მიემატა ზამთრის დასასრულამდე. გარეთ რომ გამოვიდა ანახარეომ უთხრა: – დღეს შამპანური უნდა გავხსნათ.

ბანაკში ცოლ–ქმარს თახვები იმავე მდგომარეობაში დახვდათ, როგორც დატოვეს. შესაბრალისები, გასუსულები, უბეწვოები და დასუსტებულები. როცა ბაკის კარი გაუღეს, არცკი გამოვიდნენ. წამალი წაუსვეს, ამის გამო კანი გაუღიზიანდათ და უფრო მეტად

იფხანებოდნენ და საცხს უფრო ღრმად იზელდნენ. საჭმელი მოუხარშეს. თახვებს იძულებით ვერაფერს გააკეთებინებ. ლეგა ბუმ და ანახარეომ შვებით ამოისუნთქეს, როცა თახვებმა საჭმელს დასუნეს, რამდენჯერმე გემოც გაუსინჯეს და მერე გემრიელად შეექცნენ. საღამომდე მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საკვებს ხალისით მიირთმევდნენ და რამდენიმე დღის მერე კი გამხიარულდნენ, გახალისდნენ, ძალ–ღონეც მოემატათ. ლეგა ბუ მიხვდა, რომ საკვების გამო თახვები კინაღამ დაიხოცნენ. ჯერ თვე არ გასულიყო, რომ უკვე ბეწვით შეიმოსნენ და აღარც ჭირვეულობდნენ.

სამი დღე გავიდა, როცა ლეგა ბუმ ავანსი მიიღო და პატარა თახვები მომჯობინდნენ. მან სურსათის ნახევარი კანოეში ჩაალაგა და შემოდგომის მზიან დღეს ბანაკი დატოვა.

ჰაერში უკვე სუსხი იგრძნობოდა, წყალზე ნისლი ეფინა, ჰაერში გაყვითლებული ფოთლები ფარფატებდა. მამაცი ოთხეული სერებს იქეთ შორეულ ტყეებში, დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ მიიწევდა.

ცივი აბაზანა

ჩრდილოეთ კანადის ტყეში მცხოვრები მონადირე წყალმარჩხ მდინარეს ჩვეული არ იყო, არც ჭორომები ჩანდა, ხშირად ჭოკს ხმარობდა. ლეგა ბუსთვის ეს განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ კანოეში საათობით ფეხზე დგომა მისთვის მომაბეზრებელი აღმოჩნდა. ტულეიდის ტბამდე მდინარის აღმა გადატვირთული კანოეთი 8 მილი გადალახეს. ბოლოსდაბოლოს შეეძლო კანოეში დამჯდარიყო და ნიჩაბი ჩვეულებრივ მოესვა. მეორე დღეს შუადღისას ჩვენმა მოგზაურებმა დაბას მიაღწიეს. აქ შეიძლებოდა შემდგომ გზაზე ეკითხათ.

დაბის განაპირას ცხოვრობდნენ ისეთი ადამიანები, რომელთა თვალსაწიერი მხოლდ პატარა ფერმებისა და მათი მღვდლების ქადაგებებით იფარგლებოდა. მათ შორის წინ წასულები კეთილნი და გულისხმიერნი იყვნენ. ერთი მათგანი ისეთი ყოჩაღი გამოდგა, რომ მიუხედავად ცალხელობისა, ძველ ავტომობილებს შლიდა და მათგან მოტორიან ციგებს აკეთებდა. ამას გარდა მცირე ელექტროსადგური ააგო და მეტისკაუატაზე საკუთარი ბორანიც მოაწყო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ინდიელებს ოდნავ გაღებული ფანჯრიდან უყურებდა. ზოგნი მათ დანახვაზე თვალებს აჭყეტდა, ზოგიც მათკენ მომავალი ცხენს შემოაბრუნებდა, გვერდით მიუყვებოდა და თვალებდაჭყეტილი ათვალიერებდა.

ნაპირზე მეწისქვილის საწყობი იყო. აქ სურსათის ნაწილი შეინახეს. გამოიკითხეს და გაირკვა, რომ მდინარე სტოუნი კრიკის შესართავამდე კიდევ 30 მილზე უნდა გაეცურათ. მდინარის ზემოწელში საცხოვრებლად ხელსაყრელი ტბა მდებარეობდა. როგორც ამბობდნენ იქ წაულები, მელიები და წავები ბინადრობდნენ და თახვების ერთადერთი ოჯახი, იქნებ ერთადერთიც მთელს რაიონში. ლეგა ბუს ეს არ გაუხარდა. რა გზა გამოიარა და მთელს რაიონში ერთადერთი ოჯახი! რაც უფრო მიიწევდნენ ქვეყნის სიღრმეში, მით უფრო იშვიათი იყო ნადირ–ფრინველი და არა და არ ჩანდა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანა. ადგილობრივებისგან ისიც შეიტყვეს, რომ ეს მდინარე ორ ტოტად იყოფოდა და ამის გამო თავთხელი და სწრაფი იყო. ასეთ მდინარეზე დატვირთული კანოეთი ცურვაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. რა ექნათ? მდინარის გასწვრივ ტყის გზაზე ტვირთი ცხენით უნდა გადაეტანათ, რაც 10 დოლარი ღირდა და რაც არ ებადათ.

ჩვენი მოგზაურები ამის გამო არ დაღონებულან და როგორც ყველა ტყიური მხნედ და იმედიანად იყვნენ, რომ 10 დოლარი საიდანღაც გამოჩნდებოდა.

დარჩენილი ტვირთის წასაღებად მობრუნებულები კანოეში ჯერ არ ჩამსხდარიყვნენ, რომ წითური მელია შენიშნეს. ის მდინარის გადაცურვას აპირებდა. ნაპირამდე ბევრი აღარ უკლდა, რომ უცებ კანოე შენიშნა და შეშინებული უკან გამობრუნდა. იოლად მისწვდნენ, დაიჭირეს და ტომარაში ჩასვეს. ახლა შეეძლოთ მელია 10 დოლარად გაეყიდათ.

მელია სწორედ იმ ვაჭარმა იყიდა, რომელმაც ადრე თახვების გაყიდვა შესთავაზა. ახლა თახვებში 110 დოლარი შეაძლია. ჯიუტი ვაჭარი ძლივს ჩამოიშორეს. თითოეული თახვი 8 ფუნტს[8] იწონიდა და თავისი ასაკის შესაფერის წონამდე ჯერ არ მიეღწიათ, თუნუქის ყუთშიც ვეღარ ეტეოდნენ. როგორ ეტარებინათ? ერთხელ ტბაში გადახტნენ და თითქმის ნახევარი დღე მათ ლოდინში დაკარგეს. მიწაზე უკვე თოვლი იყო, ალაგ–ალაგ წყალს ყინული გადაჰკვროდა, უნდა ეჩქარათ. უცებ თავში "გენიალურმა აზრმა" გაუელვათ. თახვები თუნუქის ღუმელში ჩასვეს, კარი მაგრად დაუკეტეს და კვამლსადენი მილისთვის დატოვებული ხვრელიდან აჭმევდნენ. ღამით, როცა ღუმელი თავისთვის ჭირდებოდათ, თახვები წყალში ჭყუმპალაობდნენ, დღისით კი მგზავრობისას ისევ ღუმელში სვამდნენ. თახვები ღუმელს მალე მიეჩვიენ და ტოტების ლოგინზე იძინებდნენ. ამის გამო ჩვენმა ინდიელებმა კინაღამ სამუდამოდ დაკარგეს თავიანთი ცხოველები.

აი რა მოხდა.

ტვირთი მდინარის შესართავისკენ გააგზავნეს, სადაც ხანგრძლივად უნდა ეცხოვრათ, თვითონ კი კანოეთი მდინარეს აღმა აუყვნენ. უვე ზამთრის სუსხი იგრძნობოდა. კანოეს ყინული შემოეკრა, ჭოკებსაც ყინული გადაეკრა, კანოეს ფსკერიც ყინულით დაიფარა. ამის გამო კანოეს სრიალა კიჩოზე დგომა და ჭოკის ხმარება ძნელი აღმოჩნდა. კანოეში მხოლოდ აუცილებელი ტვირთი ჰქონდა. შეეძლოთ ტვირთი და კანოე სხვა ტვირთან ერთად ცხენით გადაეტანათ, თვითონ კი ევლოთ, მაგრამ თავმოყვარეობა და საკუთარი ღირსება არ შეილახეს და ამობრუნებული კანოე სანაოსნო მდინარის გასწვრივ სამარცხვინოდ არ ატარეს, თუმცა არც ცურვა აღმოჩნდა იოლი. ერთ ადგილას ლეგა ბუ ჭოკით მდინარის ფსკერს დაეყრდნო, გაყინული მოკასინები კანოეს მოლიპულ ფსკერზე აუსხლტა და წყალში გადავარდა. შეიძლებოდა კანოე უცებ გადაბრუნებულიყო. მსუბუქი კანოე ძლიერი

[8] ფუნტი – ინგ. წონის ერთეული, უდრის 453,6 გრამს.

ბიძგისგან ნელა–ნელა წყლით ივსებოდა და ყირავდებოდა. ანახარეოც წყალში გადახტა. ამის მერე ცოლ–ქმარი მიხვდა, თუ რა საშიში იყო დაკეტილი ღუმელით თახვების ტარება. ისინი ხომ სხვის დაუხმარებლად თავს ვერ გადაირჩენდნენ.

წყალში ჩავარდნილი ტვირთი ნელა–ნელა ამოტივტივდა, მალე კანოეც გამოჩნდებოდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ. ისინი მხრებამდე ყინულივით ცივ წყალში იდგნენ და ფეხებით ფსკერზე თუნუქის ღუმელს ეძებდნენ. ანახანეო წაიქცა კიდეც, მაგრამ დინებას არ შეეპუა და გასწორდა. უცებ ცოლ–ქმარს გონება დაებინდა. როცა გონს მოვიდნენ, ხელში ღუმელი ეჭირათ, საიდანაც წყალი იღვრებოდა.

– ცოცხლები არიან, ცოცხლები! – დაიყვირა ანახარეომ.

გარინდებული ლეგა ბუ წყალში იდგა და ხელში პატარა ავზის სახურავის სახელური ეჭირა, ამ დროს კი ქონით სავსე მჭიდროდ დახურული ავზი მდინარეს მიუყვებოდა.

ცოლ–ქმარს ცივი წყალი ფეხებს ტკენდა, მდინარეს ძლივს უმკლავდებოდნენ და მალე დინება გაიტაცებდათ.

ნაპირამდე 25 მეტრი იქნებოდა. ანახარეო ჭოკს მარჯვედ ხმარობდა და ღუმელი ნაპირზე მშვიდობით გადაიტანა. თახვები ყვიროდნენ. ამის შემდეგ მდინარეში კიდევ სამჯერ შევიდა, რათა წყალში ჩავარდნილი ტვირთი ამოეტანა. ლეგა ბუმ კი, როგორც უფრო ღონიერმა და გამოცდილმა, კანოე გადაარჩინა. კანოე ოდნავ დაზიანებულიყო და სანაოსნოდ კვლავ გამოდგებოდა.

ყინავდა და ტანსაცმელი შემოეყინათ, გაქუცული თახვები როგორღა იქნებოდნენ. საბედნიეროდ ფუთაში საბანი ნაწილობრივ დასველებულიყო და ლეგა ბუმ ანახარეოს თახვებთან ერთად შემოახვია, თვითონ კი დაფაცურდა, ფიჩხი ბლომად მოაგროვა და დიდი კოცონი გააჩაღა. ასე იყო თუ ისე, ხიფათს გადაურჩნენ. ცოტა ხნის მერე ბედნიერი ინდიელები კოცონთან ისხდნენ ჩაის და ირმის მწვადის მოლოდინში.

თახვები მოხერხებულად მოეწყვნენ თუნუქის ყუთში, ახალ ლოგინზე და მათთვის საგულდაგულოდ გადანახულ კამფეტებს შეექცეოდნენ.

ამ შემთხვევისას გარდა პატარა ავზისა, ერთი შეკვრა ქონიც დაკარგეს, სარეცხ ფიცარზე დამაგრებული მინებიც კი გადარჩა, რაც საკმაოდ მოშორებით იპოვეს.

ასე ორი საათის მერე ჩვენმა ინდიელებმა გზა გააგრძელეს, თითქოს არაფერი მომხდარიყო, მხოლოდ დაკარგული დრო ენანებოდათ, ღამით სველ ტვირთს აშრობდნენ, მათი გაქუცული თახვები კი წყალს ყურადღებას არ აქცევდნენ, ჩანს საკმარისად

იჭყუმპალავეს, სამაგიეროდ მიწაში იჩიჩქნებოდნენ და სანამ დაიძინებოდნენ გრძელი გვირაბიც გათხარეს.

სასიამოვნო გასართობი

მეორე დღეს, დილაუთენია მოგზაურებმა იმ ადგილამდე მიაღწიეს, სადაც დაქირავებულმა მზიდავმა მათი სურსათ–სანოვაგე მიიტანა. მათ აქ მოულოდნელი უსიამოვნება ელოდათ. მათ, ვინც არყების ტბასთან სანადირო ადგილებამდე 8 მილის სიგრძის მდინარით მისვლა ურჩია, დაავიწყდათ, რომ ეს მდინარე სიგანით 3 ფუტი[9] და სიღრმით 6 დიუმი[10] იყო.

რა თქმა უნდა კანოეს ვერ გამოიყენებდნენ. ხმელეთით ტბამდე 6 მილი რჩებოდა, მიწა ნახევარი ფუტის სისქის თოვლს დაეფარა. ასეთ მანძილზე 800 ფუნტის წონის ტვირთი ნაწილ–ნაწილ უნდა გადაეტანათ. ბედმა დასცინა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნის მაძიებლებსა და თახვების კოლონიის დამფუძნებლებს. სწორი ადგილი რომ ყოფილიყო გამოცდილი მზიდავის – ლეგა ბუსთვის სათქმელადაც არ ღირდა, მაგრამ ეს გზა ტბამდე წაქცეული ხეებითა და ტყესაკაფის ნარჩენებით იყო ჩახერგილი. სხვა გზა არ იყო, საქმეს უნდა შედგომოდა. ლეგა ბუმ მთელი თავიანთი ტვირთი მდინარის მეორე ნაპირზე გადაიტანა და მოფარებულ ადგილას დაალაგა, კანოე კი მაღალ ნაპირზე დამალა, რათა გაზაფხულზე წყალდიდობისას წყალი არ მიწვდენოდა და არ გაეტაცა. მეორე დღეს ტვირთის საზიდად ქამრები გაამზადა და “სასიამოვნო გართობაც” დაიწყო.

ერთ ჯერზე 100–150 ფუნტზე მეტს ვერ წაიღებდა, რადგან გზა ხეებით იყო ჩახერგილი და ბარდს დაეფარა. თითოეული ნაბიჯი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ინდიელები შესვენებას იმ ადგილს ეძახდნენ, სადაც ტვირთს იხსნიდნენ. ზოგადად 6–8 წუთის მერე ისვენებდნენ. უკან დაბრუნებისას ძალას იკრებდნენ ხოლმე. ინდიელების აზრით ტვირთის ნაწილ–ნაწილ გადატანას უფრო ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე ნაკლები წონის და ბოლომდე შეუსვენებლად წაღებას. და აი, ასე, მთელი დღის განმავლობაში დათოვლილ წაქცეულ ხეებზე, გაუვალ ბუჩქნარში და ორმოებზე წინ და უკან, ტვირთით და უტვირთოთ, უხმოდ და მუხლჩაუხრელად დადიოდნენ. შუადღისას მხოლოდ ჩაი დალიეს. ბანაკში დაბინდებისას დაბრუნდნენ, გაოფლიანებულნი, მშიერნი, დაღლილ–დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილნი, რადგან 800 ფუნტის წონის ტვირთი ნახევარი მილის მანძილზე გადაიტანეს.

---

[9] ფული – ინგ. სიგრძის საზ. ერთ. უდრის 30,48 სმ–ს.

[10] დიუმი – ინგ. სიგრძის საზ. ერთ. უდრის 2,54 სმ.

ბედნიერი ნაპოვნი

მეორე დღეს ჩვენს ინდიელ მოგზაურებს მეტი ჯაფა მოუწიათ, უკან დაბრუნებისას უტვირთოდაც სულს ვერ ითქვამდნენ. ბუჩქნარი ზოგან გაუვალიც კი იყო. ასეთ ადგილებში ნაკადულს მიუყვებოდნენ, ქვიდან ქვაზე ხტებოდნენ, ანდა ყინულიდან ყინულზე. ბოლოს, დრო რომ არ დაეკარგათ, ბილიკი გაკვალეს. მესამე დღეს დაბინდებამდე, ნაკადულის გასწვრივ მიტოვებული ბილიკი იპოვეს და შვებით ამოისუნთქეს. მართალია, წინ ერთი მილით წაიწიეს, მაგრამ ჯაფა შეუმსუბუქდათ. ტვირთი წონის მიხედვით გაჰყვეს, მსუბუქი ტვირთის ზიდვისას იშვიათად ისვენებდნენ, თან გზას სწავლობდნენ, მძიმე ტვირთი რომ გადაეტანათ.

მეოთხე დღეს მთელი ავლადიდება უკვე გადატანილი ჰქონდათ. ღამით ტვირთი შეუმცირდათ, რადგან სამი ტომარა კარტოფილი და 50 ფუტი ხახვი გაეყინათ და თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ტვირთი 200 ფუნტით შეუმსუბუქდათ და ნანობდნენ, რომ კარტოფილი ხუთი დღით არ გაიყინა.

აშკარად ჩანდა, რომ ირგვლივ მიდამო არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ტყით იყო დაფარული და იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ მალე ხელუხლებელ ტყეებსაც მიაგნებდნენ. ლეგა ბუს გაუხარდებოდა ბეწვიანი ნადირის კვალი რომ ენახა, მაგრამ მიწას მხოლოდ ირმების მრავალრიცხოვანი ჯოგების ნაკვალევი ეტყობოდა. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ მონადირე საკვებით უზრუნველყოფილი იქნებოდა. ავდარში ჩვენმა მოგზაურებმა ბილიკთან მდგარ მიტოვებულ ბარაკს შეაფარეს თავი. იქ 100 ლიტრზე მეტი ტევადობის კარგად შენახული პატარა კასრი ნახეს, რასაც თახვების დასაძინებლად და მგზავრობისას ტვირთის ჩასაწყობად გამოიყენებდნენ.

მას მერე, რაც მოგზაურები ბილიკს დაშორდნენ, თახვები ღამით სასეირნოდ აღარ გამოუშვიათ და მათთან ერთად ერთი საბნის ქვეშ ეძინათ. ისინი პატრონებს მხარზე ეკვროდნენ და ცხვირებს კისერზე ადებდნენ. თუ პატრონი გადაბრუნდებოდა, უკმაყოფილოდ ქშინავდნენ და ფრუტუნებდნენ, ხანდახან ხვრინავდნენ კიდეც. შესაძლო იყო ღრმა ძილში თახვებს დასწოლოდნენ და გაეგუდათ ანდა თახვი საბნის ქვეშ გაგუდულიყო, ამიტომ ნაპოვნი კასრი თახვების დასაძინებლად გამოიყენეს. იქნებ არც

გაეღრღნათ, მაგრამ როგორც კი ჩასვეს, თავი დამწყვდეულად იგრძნეს და უკმაყოფილოდ აწკმუტუნდნენ. ცოლ–ქმარი თახვების ნებას დაჰყვებოდა ხოლმე და კასრიდან ამოჰყავდათ. პატარა თახვებმა კასრი ნახევარ სიმაღლეზე გაღრღნეს. უყვარდათ ნახვრეტთან დგომა, თათის გამოყოფა, თითქოს საყვარელ სასუსნავს – ოლადებს თხოულობდნენ და ცნობისმოყვარეობით იყურებოდნენ. მათი გამომეტყველების შემხედვარე ჩვენმა მოგზაურებმა სახელი შეუცვალეს და იროკეზების მაგივრად იმიგრანტები დაარქვეს.

მალე თახვებმა კასრი სახლივით გაითავისეს და როცა გამოსვლა უნდოდათ, ნახვრეტის მხარეს საგებს მიხვეტდნენ და გარედან მიდგმულ ყუთზე გადმოხტებოდნენ. უკან ასეთივე გზით ბრუნდებოდნენ. თახვებს დიდხანს ეძინათ ხოლმე, მაგრამ გაიღვიძებდნენ თუ არა, მოუსვენრობდნენ, თავნებობდნენ, ჭირვეულობდნენ, წინააღმდეგობის შემთხვევაში ჯიუტობდნენ და მიზანს მაინც აღწევდნენ.

გზა უფსკრულზე გადის

პატარა თახვებმა ტაკიმასხარობითა და ცელქობით სამშობლოდან გადახვეწილი ინდიელების ცხოვრება გაამხიარულეს. ისინი მათ ყოფაში ისე შეიჭრნენ, რომ ალბათ მათი მოულოდნელი დაკარგვით მათ სულში გაჩენილ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებდა. უკვირდათ კიდეც, მათ გარეშე აქამდე როგორ ცხოვრობდნენ. თახვები ყურისწამღები ყვირილით ხვდებოდნენ პატრონებს, როცა მათ ტვირთი ნაწილ–ნაწილ გადაჰქონდათ. უკან მობრუნებისას მსჯელობდნენ, თუ მათ არყოფნაში თახვები კიდევ რას მოიმოქმედებდნენ. თავდაპირველად ცოლქ–ქმარს მათი ცელქობა არ სიამოვნებდათ, ღუმელი შემოტრიალებული, თეფშები გადატანილი, ახლადგამომცხვარი კვერები გაღრღნილი და დაფშვნილი, მაგრამ მიეჩვივნენ და მნიშვნელობას აღარ ანიჭებდნენ. თახვების ადამიანებთან მიჯაჭვულობაში იყო რაღაც სულისშემძვრელი, მათ მიერ პატრონებისადმი გამოხატულ სინაზეს საერთო არაფერი ჰქონდა მათ ცელქობასთან. ისინი პატრონებს თავისიანებად აღიქვამდნენ და გარეშე უცხო პირებს მტრულად ხვდებოდნენ. ერთხელ კარავში თრითინა ესტუმრათ. ერთმა თახვმა შენიშნა და თათი უთავაზა. ერთხელ კი ლეგა ბუმ ირემი მიიტანა. თახვებს ირემი ცოცხალი ეგონათ და მთელი ღამე მამაცურად ებრძოდნენ.

ძნელი წარმოსადგენია სხვა ცხოველი, რომელიც თახვებზე უკეთესად შეეგუებოდა ახალ გარემოს. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ასეთ პირობებში გადარჩნენ. მათ ერთნაირად სჭირდებოდათ წყალიც და ხმელებიც. როცა ბევრი წყალი არ ჰქონდათ, ერთი თასი წყალიც ჰყოფნიდათ. სათლი ყინულჭრილი ეგონათ და შიგ ხტებოდნენ, ამიტომ მათგან მოშორებით დგამდნენ. თახვები არანაკლები ერთი ფუტის სისქის თოვლის ქვემოდან ტოტებს ვერ იღებდნენ და ამიტომ ცოლ–ქმარი ფიჩხს ღუმელთან აწყობდა და თახვები ბურბუშელად აქცევდნენ.

როცა ახალ ადგილას დაბანაკდნენ, თახვებიც ახლებურად მოეწყნენ. ადამიანებს ტოლს არ უდებდნენ, ნებისმიერ მასალას იყენებდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ. აგებდნენ ზღუდეებს, საგებად ფიჩხს აგროვებდნენ, როცა ნაკლებად ციოდა, საკვებად ალვის ხის წკნელები მოჰქონდათ. ხშირად ადამიანები და თახვები ერთად შრომობდნენ და როცა შეშა

მოჰქონდათ ან სათლი ეჭირათ ხელშიბ თახვებს ელოდებოდნენ, სანამ ისინი თავიანთ ტვირთს მოიტანდნენ. ამინდსაც ეგუებოდნენ. როცა ძალიან ციოდა, თავიანთ კასრში რჩებოდნენ და ხვრელს გმანავდნენ, ცოლ–ქმარი კი სახურავს დაახურებდა ხოლმე.

უკვე შემაწუხებლად ციოდა, ღამღამობით კვერები იყინებოდა. დღითი დღე თოვლს სისქე ემატებოდა, მაგრამ თხილამურებით სიარული მაინც შეუძლებელი იყო, რადგან ზურგზე მოკიდებულ ტვირთს საუკეთესო თხილამურებიც ვერ გაუძლებდა. კარვის დაშლა–დაკეცა უფრო და უფრო ძნელდებოდა ტვირთის გადატანასთან შედარებით, რადგან მასზე დამდნარი თოვლისგან სველდებოდა და როცა ღუმელში ცეცხლი ქრებოდა, ზედვე იყინებოდა და ამიტომ ძნელად იკეცებოდა. გაუთავებელმა ჯაფამ ცოლ–ქმარი სულ დაქანცა, ძალაგამოლეული ანახარეო სულ გამოიფიტა და ლეგა ბუმ ტვირთის ზიდვა გადააფიქრებინა იმ საბაბით, რომ ახლა თახვებს სითბო ღამითაც სჭირდებოდათ და ღუმელი არ უნდა ჩაექროთ.

მათდა საბედნიეროდ ირგვლივ შეშა ბლომად ეყარა.

დრო გადიოდა. საშემოდგომო ნადირობა ახლოვდებოდა. ლეგა ბუმ ხელსაყრელ ადგილებში მახეები მოაწყო, იქნებ ბეწვიანი ნადირი ერთში მაინც გაბმულიყო, მაგრამ არაფერი ებმებოდა. ცოლ–ქმარმა რაც დაბა დატოვა, ფაფუკბეწვიანი ნადირის კვალი არც კი შეხვედრიათ. მათი არსებობა არც იგრძნობოდა. ჩვენს ინდიელ მონადირეებს მხოლოდ ერთი რამ აიმედებდათ, რომ ათი დღის განმავლობაში, როცა ტვირთი გადაჰქონდათ, მხოლოდ მცირე ტერიტორია შეისწავლეს და იქნებ შემდეგ მაინც წაწყდომოდნენ რაიმე ცხოველის კვალს. ზოგჯერ დღეში მხოლოდ რამდენიმე იარდით[11] მიიწევდნენ წინ. ახლა მხოლოდ ლეგა ბუ წევდა ჭაპანს. თუ ამინდი ხელს არ შეუწყობდათ, გზას ვეღარ გააგრძელებდნენ.

ერთხელ გზის მიმართულებაშიც დაეჭვდნენ. ნუთუ ეს გზა არყების ტბასთან მიიყვანდათ? არსად ტბის ნიშან–წყალი არ ჩანდა, მხოლოდ დაღვრემილი, გულისმომკვლელი, გაკაფული ტყე. ლეგა ბუ მიხვდა, რომ გზა შეეშალა და გადაწყვიტა უკან ნაკადულთან დაბრუნებულიყვნენ, მის გასწვრივ ევლოთ და ბანაკში დასაბრუნებლად იოლი გზა მოენიშნათ. ჩრდილოეთისკენ მიდამო ვაკდებოდა. ლეგა ბუ ეცადა ჭაობზე გზა გაეკვლია, ხშირი კედრნარი გაიარა და ვიწრო წყალსატევთან გამოვიდა. სწორედ აქ მიაგნო

[11] იარდი – ინგ. სიგრძის საზ. ერთ. – უდრის 91,44 სმ–ს.

თახვების ოჯახს, რომელსაც წყლის გამოსასვლელი ჩაეხერგა და ჭაობი დაეტბორა. ტბის იქეთ ტყეები იწყებოდა. ეს სასიამოვნო აღმოჩენა იყო! ჭაობზე გზა ჯერ კიდევ გაუყინავ დათოვლილ ტორფზე გადიოდა, ეს კი დატვირთული ადამიანისთვის ფრიად სახიფათო იყო, მაგრამ თავისუფალი, წაქცეული ხეებით არ იყო ჩახერგილი, ჭაობი კი დღითი დღე იყინებოდა და მაგრდებოდა. ლეგა ბუ ფეხს ფრთხილად ადგამდა, თან გზას ინიშნავდა, მერე ტყიან ქედზე ავიდა და როგორც შეეძლო მთვარის შუქზე გზას იმახსოვრებდა. მწვერვალიდან კარგად მოჩანდა ვაკე, სადაც დაბანაკდნენ. ცოტა ხნით დასასვენებლად შეყოვნდა. ირგვლივ თეთრი მდუმარება გამეფებულიყო. დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნის მაძიებელს ავი წინათგრძნობა სულს უფორიაქებდა, მომავალზე ფიქრობდა. ის ხომ ადამიანი იყო, უნდოდა ცხოვრება უკეთესად მოეწყო, უკეთესი ქვეყანა ეპოვა, იქნებ თვითონვე შეექმნა ახალი სამშობლო.

შორს ქვემოთ ვაკეზე კარავში პაწაწინა შუქი ბჟუტავდა. იქ მისთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი არსებები შეყუჟულიყვნენ, მომლოდინე, დაქანცული ცოლი და ორი ობოლი ცხოველი. “ნუთუ ხელმოცარული უნდა დავბრუნდე ქალაქში?” – ფიქრობდა მონადირე. ის დიდხანს უცქერდა მბჟუტავ შუქს, რომელიც გაუკაცრიელებული მხარის გაჩანაგებული ტყის ნაშთიდან გმირულად იფრქვეოდა.

გულდამძიმებული ლეგა ბუ ქედიდან დაეშვა. კარავში როცა შევიდა, თბილოდა და განათებული იყო. რა კარგი იყო თუნუქის პატარა ღუმელი, მის სითბოში, გუგუნში და ტკაცუნში ნეტარება და მოწევა. მონადირე იმ დღის თავგადასავალს ყვებოდა, თუ როგორ მიაგნო ტბას, თახვების ოჯახს, როგორ შეარჩია შესაფერისი ადგილი, სადაც გამოსაზამთრებლად ქოხს ააგებდნენ.

ლეგა ბუს ავი წინათგრძნობა თითქოს გადაავიწყდა და ცოლს მის გაცნობამდე თავს გადახდენილ სასაცილო ამბებს უყვებოდა. ანახარეო სიცილით კვდებოდა ვინმე ბანგალოუ ბილის ამბავზე, რომელიც ისეთ ვიწრო ქოხმახში ცხოვრობდა, რომ როცა ბლინებს აცხობდა, ბლინი რომ გადაებრუნა, ტაფას კარში გაჰყოფდა ხოლმე. ამ ბანგალოუს აი კიდევ რა შეემთხვა. შავი მოცვის დასაკრეფად ტყეში შევიდა, ორივე სათლი კენკრით გაავსო. შინ დაბრუნებისას გრიგალი ამოვარდა. ბანგალოუმ მოცვით სავსე სათლები მიწაზე დააწყო, თვითონ კანოესკენ გაიქცა და იქიდან უყურებდა. გრიგალმა მთელი კენკრა ჰაერში აიტაცა. ამის მოყოლისას ბანგალოუ მუხლებზე ხელებს დაირტყამდა და ამბობდა: “დაიჯერებთ?

უცებ გრიგალი დაცხრა და კენკრა ისევ სათლებში ჩაცვივდა. დიახ, სერ, ერთ კენკრაც არ დაკარგულა!”

ანახარეოს ხარხარზე თახვებს ცნობისმოყვარეობა აღეძრათ, კასრიდან გადმოძვრნენ და იატაკზე კოტრიალობდნენ. ამასობაში კასრი გადმოყირავდა და თეფშები გადმოცვივდა. თახვები წაკინკლავდნენ, ცოლ–ქმარი კი გამხიარულდა.

ლეგა ბუს დროშა

ამ ქვეყნად დაუსრულებელი არაფერია და ჩვენი ინდიელების ჯაფაც დასრულდა. მათი ტვირთი უკვე არყების ტბის პირას ელაგა. ცოლ–ქმარს ციგა არ ჰქონდა და ცეცხლის შუქზე ჩვენებური клин–ის მაგვარი გააკეთეს, რითაც ჩვენში გზებზე თოვლს ხვეტავენ, მთელი თავიანთი ავლადიდება ზედ დაალაგეს და წყვდიადში არასაიმედო ყინულზე იმ ადგილამდე გაათრიეს, სადაც თახვები ბინადრობდნენ და სადაც ლეგა ბუმ ბანაკის მოსაწყობად შეარჩია.

იმ ღამით დღლილ მოგზაურებს ღრმად ჩაეძინათ. მეორე დღეს გზა აღარ ჰქონდათ გასაკვალი და ზურგიც აღარ ეტკინებოდათ გაყინული ქამრებისგან. ლეგა ბუს გაეღვიძა, ფიქრები მოეძალა. ადგა, ღუმელის კარი გამოაღო, ეწეოდა და თავისთვის ბჭობდა. ცეცხლის შუქი ანახარეოს დაღლილ სახეს ანათებდა. ეს ქალი ერთგულებითა და შეუპოვრობით უმკლავდებოდა ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ქმარს მხარში ედგა და მასთან ერთად თავსდამტყდარ ხიფათს ებრძოდა.

მძინარე ანახარეო შეიშმუშნა და ჩაილაპარაკა:

– ტვირთს აღარ ვათრევთ, არა, ჩვენ მოვედით.

– კი. – მიუგო ქმარმა და ბოლი გამოუშვა.

– ჩვენ მოვედით. – გაიმეორა ანახარეომ, გაიღიმა და დაიძინა.

ლეგა ბუ ისევ ეწეოდა და მომავალზე ფიქრობდა. მოვიდნენ, მაგრამ სად? ქოხი ფიჭვნარში არჩეულ ადგილზე უნდა აეგოთ, სადაც რამდენიმე არყის ხეც ერია. ამ ადგილის ენით აუწერელი სილამაზე და გარემომცველი ბუნების სიდიადე ადამიანებზე დამთრგუნველად მოქმედებდა და საბრალო ჯუჯებად წარმოაჩენდა. მიუხედავად ამისა ტყის უღრანი ცოლ–ქმარს ხიბლავდა და მომავალ ჯაფას ავიწყებდა.

ნოემბრის მეორე კვირა დაიწყო, თოვლის სისქემ ფუტს გადააჭარბაბ ამიტომ ქოხის აგება უნდა დაეჩქარებინათ. მეორე დღეს ლეგა ბუ საქმეებს შეუდგა. ქოხისთვის შესაფერისი ხეები შორს იყო და ქამრებით მოათრია. რა თქმა უნდა იოლი იქნებოდა ქოხი იქ აეგო, სადაც მისთვის შესაფერისი ხეები იქნებოდა, მაგრამ არყის ხეებს შერეული ფიჭვნარი ისეთი თვალწარმტაცი და მიმზიდველი იყო, რომ ჯაფა არ დაგეზარებოდათ. რადგან ხეები

შორიდან მოჰქონდა, ქოხს მალე ვერ ააგებდნენ. ამასთანავე ყოველდღიურად თოვდა და ნიჩბით ხვეტავდნენ. ცოლ–ქმარი ბჭობდა, თუ კარი სად გაეკეთებინათ, სარკმელი რომელ მხარეს გამოეჭრათ. შემდგომში სარკმელი ულამაზესი ხეების მხარეს გამოჭრეს. ქოხს ტბის პირას, ბანაკის საპირისპირო მხარეს აგებდნენ.

ერთხელ, როცა ჩვენი მშენებლები ბანაკში დაბრუნდნენ, კასრი ცარიელი დახვდათ. ორი არეული კვალი ცალ–ცალკე ტბისკენ მიემართებოდა. თახვების წასვლიდან კარგა დრო იყო გასული და პატრონებმა იფიქრეს, რომ მათ თვისტომთა სიახლოვე იგრძნეს და მათკენ გაეშურნენ, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. კვალი სულ სხვა მხარეს, ქვემოთ, ტბის ნაპირისკენ მიდიოდა. თახვები ადრე თუ გვიან ინსტიქტით შინ დაბრუნდებოდნენ. ლეგა ბუ შიშობდა, რომ ისინი შეიძლება ძველ ბანაკში დაბრუნებულიყვნენ. თოვლს ქერქი გადაკვროდა და ნაკვალევი არ ემჩნეოდა. საფიქრებელი კიდევ ის ჰქონდათ, რომ თახვები ბეწვით მთლიანად შემოსილნი არ იყვნენ და შეიძლება გაყინულიყვნენ კიდეც. მათი არეული კვალი იმას მიანიშნებდა, რომ მათ წასვლა არც ეფიქრათ და უბრალოდ დაწანწალებდნენ. ცოლ–ქმარი თავის ცხოველებს ფანრით ეძებდა, თან ეხმიანებოდნენ. ტბამდე ნახევარი მანძილი გაიარეს და უცებ სუსტი ხმა მოესმათ. ეს მამალი თახვი იყო. თოვლზე იწვა, თავით ბანაკისკენ, ჩანს შინ დაბრუნებისას დაიქანცა. ანახარეომ აიტაცა და ბანაკისკენ გაიქცა, ლეგა ბუმ კი მეორე თახვის ძებნა გააგრძელა.

სულ მალე ბანაკიდან დათქმულ სინათლის სიგნალი შეამჩნია და როცა დაბრუნდა, გაიგო, რომ მეორე თახვი თურმე ანახარეომდე დაბრუნებულიყო და კასრში იჯდა. თავგადასავლების მოყვარულ თახვებს ღუმელი გადაეყირავებინათ. ამის შემდეგ მშენებელ ცოლ–ქმარს თახვები კასრით თან მიჰყავდათ და რომ არ შესცივნოდათ, ცეცხლს უნთებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ცოლ–ქმარი ბეჯითად შრომობდა, ქოხის აგებას თერთმეტი დღე დაჭირდა. ამ დროს კარავში ვიწროდ იყვნენ, რადგან ყინვისგან რომ დაეცვათ, ყველაფერი შიგნით შეიტანეს. ერთ საღამოსაც გახარებულები ქოხში გადასახლდნენ. ქოხში ციოდა, რადგან პატარა ღუმელი გაყინულ კედლებს ვერ ათბობდა და მორებს შორის ნაპრალები ჯერ არ დაეგმანათ. დასაგმანად ხავსი ბლომად მოიმარაგეს, მაგრამ ჯერ არ გამლხვალიყო და ამიტომ ღუმელს ირგვლივ შემოუწყეს.

ვისაც ოდესმე თახვების ნაგებობა უნახავს, ღრმად ჩაფიქრდებოდა, რადგან ადამიანის ნაღვაწს მოაგონებდა. როცა მთელი დღის ნაჯაფარ ადამიანებს ღრმად ეძინათ და ხავსი

ღუმელთან შრებოდა, კასრიდან თახვები გადმოვიდნენ, რათა ახალ ქოხში ესეირნათ. მათ რა თქმა უნდა იგრძნეს, რომ ყოველი მხრიდან უბერავდა და უმალ ჩვეულ საქმეს შეუდგნენ. ხავსს მოათრევდნენ და მორებს შორის ნაპრალებს გმანავდნენ და როცა დილით ცოლ–ქმარს გაეღვიძა ნაპრალები თახვებისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე შესანიშნავად იყო დაგმანული.

მეორე დღეს ლეგა ბუ ნაპრალების დაგმანვას თვითონ აპირებდა და რა თქმა უნდა გაოცდა, როცა თახვების ნაღვაწი ნახა. მთელი დღე ლეგა ბუ ნაპრალებს ხავსით გმანავდა, მიწას აყრიდა, გარედან ამაგრებდა. ამ დროს ანახარეო ქოხში საქმიანობდა, კედლებზე თაროები დაამაგრა, მაგიდა შეკრა. როცა ყველაფერს მორჩნენ თავიანთი ახალი ქოხის ცქერით დატკბნენ. კანადური ფიჭვის გლუვი წითელი მორები მუქი მწვანე ხავსით იყო დაგმანული, თეთრი კვამლი კი მაღალი ფიჭვების ტოტებში იფანტებოდა.

დიახ, ისინი თავიანთი ქოხიდან კვამლის ცქერით ტკბებოდნენ, როგორც ტყის ბინადარნი ტკბებიან ცეცხლის ყურებით, ბედნიერ მომავალზე, ბინადარ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ. ქოხში ნესტი იგრძნობოდა, წვეთავდა, კედლები ნელ–ნელა შრებოდა. ამას ხელი არ შეუშლია, რომ ახალმოსახლეობა აღენიშნათ. ღუმელის მილი ვიწრო აღმოჩნდა, წევა არ ჰყოფნიდა და ქოხი კვამლით ივსებოდა. კვამლს ღია კარიდან საბნით ფანტავდნენ, სხვა მხრივ ქოხი შესანიშნავი გამოვიდა.

ლეგა ბუმ ქოხი ააგო თუ არა, გზადაგზა დატოვებული სურსათ–სანოვაგე ქოხში მოზიდა, შეშაც მოიმარაგა, ირემი მოინადირა და ამის შემდეგ ირგვლივ მიდამოს დათვალიერებას შეუდგა. დეკემბრის დასაწყისი იყო და წაულაზე, მელიაზე, თრითინაზე და ფოცხვერზე ნადირობის დრო იწყებოდა. ამიტომ მათ ნაკვალევს ეძებდა. მელიების ნაკვალევი ოდნავ ემჩნეოდა, სხვა ბეწვიანი ნადირის ერთ ბეწვსაც ვერ ნახავდით. ლეგა ბუმ საბანი წაიღო, ცოტა ჩაი, ფქვილი, გადამდნარი ქონი და თოფი. ის შორს, სერებზე დაეხეტებოდა, დაბლობებზეც, ხრამებს გადალახაავდა, წყალგამყოფებს, ნაკადულებს სათავეებამდე მიჰყვებოდა, გაუვალ ბუჩქნარში გადიოდა, მთაგრეხილებზე გადადიოდა და ყველგან ნადირის გასაძრომებს ეძებდა. მიუხედავად ამისა ლეგა ბუ სულით არ დაცემულა და სასოწარკვეთილებას არ მისცემია. ფიქრობდა, რომ ყველაზე ძნელი უკან მოიტოვა და ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა.

მაგრამ ლეგა ბუ ცდებოდა. მოულოდნელად თოვლმა დნობა დაიწყო და გზა გაფუჭდა. დადგა ნისლიანი, თოვლჭყაპიანი დღეები, თოვლი დაიტკეპნა, თხილამურებით სიარული უჭირდა, თითქმის შეუძლებელი იყო. მალე ყინვამ მოუჭირა, თოვლს ყინულის

გამჭვირვალე ქერქი გადაეკრა და თხილამურების ქვეშ შუშასავით იმსხვრეოდა. როგორც არ უნდა გაფრთხილებულიყო, ხიფათს მაინც გადაეყრებოდა. ზოგჯერ ყინულის გამჭვირვალე ქერქი თხილამურს წამოედებოდა და მუხლებზე ეცემოდა. ასეთ ქერქზე ნადირის ნაკვალევი არც ეტყობოდა. ასეთი ამინდი ჩრდილოეთში მონადირეებისათვის მეტად არახელსაყრელი იყო. ლეგა ბუს სულ თავისი სამშობლო ახსენდებოდა, სადაც 6 ფუტის სისქის თოვლზე მსუბუქად უხმოდ ისრიალებდი. ლეგა ბუ ფიქრობდა, რომ ბუნება მიზნის მიღწევაში ხელს უშლიდა, არ შეეძლო ეს ყველაფერი მორჩილად გადაეტანა და ამ ადგილს წყევლიდა. რა ექნა?! ადამიანი თავის ბედით ყოველთვის უკმაყოფილოა, ბოლოსდაბოლოს თახვების მოდგმის გადარჩენის წამოწყება იფუშებოდა.

ტბის მეორე მხარეს თახვების ფაცხა იდგა, სადაც ოთხი თახვი ბინადრობდა. როგორი ჯაფით მიაღწია თავისი ოცნების ასრულების დასაწყისამდე! თახვების ეს ოჯახი ორი პატარა თახვით, თითქოს მეტი არც იყო საჭირო.

ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის მერე ლეგა ბუ საქმეს შეუდგა. ყინულის ჩასამტვრევად ძალაყინი აიღო, ოთხი მახეც და სატყუარა. თახვი ყველგან ხომ არ გაებმებოდა? იქნებ გამართლებოდა. ანახარეოც იქვე იდგა და ქმარს ეხმარებოდა, ტოტებს აწვდიდა, რითაც თახვებს მახეებისკენ მოდენიდა. ჩამავალი მზის სხივები ნაღვლიანად ანათებდა თახვების დათოვლილ ფაცხას. ლეგა ბუ საქმეს მორჩა. ორი დღის მერე ალბათ ვალს გაისტუმრებდნენ.

ის იყო ქოხში უნდა დაბრუნებულიყვნენ, როცა უცებ თახვების ფაცხიდან მკვეთრი, წვეტილი, თითქმის ბავშვური ხმა გაისმა. ლეგა ბუ მოინუსხა. ანახარეოსაც მოესმა.

– ჩვენი თახვების ხმას ჰგავს.

– კი.

ყური დაუგდეს და მიხვდნენ, რაც ფაცხაში ხდებოდა.

– ერთი ჭამს, მეორეს კი უნდა, რომ წაართვას. – თქვა ანახარეომ.

ამის შემდეგ ღრღნის ხმები ისმოდა.

– ჯოხი დაიბრუნა და ჭამს.

– პონი! ამას რატომ მეუბნები?

მერე ერთ ყინულჭრილში წყალი ადგაფუნდა, ეს ალბათ დედა თახვი იყო. ლეგა ბუ მახესთან მიიჭრა და ძალაყინი დაარტყა, სულ კანკალებდა, მერე ყველა ყინულჭრილთან მიირბინა და ყველა მახე ჩაკეტა.

ცოლ–ქმარი ერთანეთს თვალს ვერ უსწორებდა, ქოხში უხმოდ დაბრუნდნენ, მზე ჯერ არ ჩასულიყო და თახვების ფაცხას ანათებდა.

მაკ–ჯინტი და მაკ–ჯინისი

ლეგა ბუმ ამ ადგილის შესწავლას თავი დაანება. სჩანს ადრევე საკმაოდ დაწვრილებით იყო გამოკვლეული და ახალს ვერაფერს აღმოაჩენდა, გარდა ამისა აქ თხილამურებით სიარული ძნელი იყო.

ლეგა ბუ უმოქმედობას ძნელად იტანდა, მაგრამ თახვები ახალისებდნენ. ამ დროისთვის თახვები გაიზარდნენ და ფუმფულა, ხშირი, ბზინვარე ბეწვით შეიმოსნენ, თითოეული 15 ფუნტს იწონიდა. მათი ზრდასრულობა ადამიანებისადმი მათ ბავშვურ ურთიერთობაზე გავლენას არ ახდენდა. ძველებურად ძვრებოდნენ პატრონების ლოგინზე, თუმცა მათი ძილის დრო არ ემთხვეოდა. დილით პატრონებს ადგომას ასწრებდნენ. ცოლ–ქმარი თავს იმძინარებდა, რათა თახვები დამშვიდებულიყვნენ და დასძინებოდათ, მაგრამ ამაოდ. ჩანს, მათ სიამოვნებდათ, რომ ყველა ერთად იღვიძებდა და დგებოდა, ამიტომ დილით, როცა პატრონებს ადგომას დაასწრებდნენ, ტუჩებზე და წარბებზე წიწკნიდნენ და აღვიძებდნენ. თახვები პატრონებთან ძილს ისე მიეჩვიენბ რომ როცა ცოლ–ქმარი ლოგინს შლიდა, მათ გარშემო დარბოდნენ და საბანს ყოველი მხრიდან ექაჩებოდნენ, ბალიშს იპარავდნენ. მათ ქცევაზე პატრონები იცინოდნენ და თახვებიც თავისებურად მხიარულობდნენ. როცა ლეგა ბუს რაღაცაზე გული მოუვიდოდა, თახვები ამას გრძნობდნენ და იმალებოდნენ, თვალში რომ არ მოხვედროდნენ. ლეგა ბუმ ეს შეამჩნია და მას მერე თავს იკავებდა ხოლმე.

ჩვენი მონადირე ცოლ–ქმარი მარტში ნადირობამდე უსაქმობას ვერ აიტანდა, რომ არა, ეს ორი პატარა თახვი. ისინი მათ ამხიარულებდნენ და ამხნევებდნენ. თახვები თავისებურად საქმიანობდნენ, სხვადასხვა საგნებს ადგილს უცვლიდნენ და ფეხებს შორის გაგორდებოდნენ, სულ რაღაცას თხოულობდნენ. პატრონები მათგან მხოლოდ მათი დაძინების მერე თავისუფლდებოდნენ. თახვები ნამდვილად ბედნიერები იყვნენ და ცელქობით პატრონებს სევდას უქარვებდნენ, ამიტომ მათ ვყელაფერს პატიობდნენ.

და როცა ეს ორი პატარა არსება ფაციფუცობდა, წინ და უკან დარბოდა, უკანა თათებზე ბაჯბაჯებდა, ხან საწოლის ქვეშ ძვრებოდა და იკარგებოდა, ეს ყველაფერი ისე ჩანდა, რომ თითქოს ბევრნი იყვნენ. თახვები ერთმანეთს თავისებურად ელაპარაკებოდნენ, უცნაურად

ჭყიოდნენ, ზოგჯერ იატაკზე სხდებოდნენ, ტანს ასწევდნენ, წინა თათებს გულზე დაიკრეფდნენ და კუდს წინ გამოსწევდნენ. ამ დროს ისინი წითელი ხისგან გაკეთებულ კერპებს მიაგავდნენ. ხანდახან ისიც ხდებოდა, რომ შეთანხმებულებივით ორივე ერთდროულად გაირინდებოდა და პატრონებს მიაშტერდებოდა, თითქოს ეუბნებოდა: “ჩვენო უფროსო მეგობრებო, ვიცით, რომ ჯერ პატარები ვართ, მაგრამ ცოტა კიდევ დაგვაცადეთ!”

პატრონებს ადამიანებივით უყურებდნენ.

დღის ბოლოს თახვები იღლებოდნენ და თითოეული თავის პატრონთან მილასლასდებოდა და ხელში აყვანას სთხოვდა, მერე კი კმაყოფილები იძინებდნენ.

თახვები შეგუებულნი იყვნენ მათთვის არაბუნებრივ პირობებს, აუზი არ ჰქონდათ და იატაკზე დადგმული წყლით სავსე ჯამით კმაყოფილდებოდნენ. წყნარ ამინდში ქოხის კარს უღებდნენ, თუმცა თახვები ტბისკენ არ ჩადიოდნენ. ერთხელ ყინულჭრილთან მიიყვანეს, მაგრამ არ ჩაძვრნენ და ქოხისკენ დათოვლილ ბილიკს აუყვნენ. მათ ქცევაზე ხარხარი აგიტყდებოდათ. ქოხს სულ ურევდნენ, საწოლის ქვეშ სივრცე დაისაკუთრეს და ბატონ–პატრონებივით დადიოდნენ. ერთხელ ყუთიდან შეშის ნაჭრები ამოალაგეს და საწოლის ქვეშ ბარიკადები აღმართეს, თავიანთვის გამოსაძრომი დატოვეს. იატაკი გაღრღნეს და უკანა კედლის ქვეშ გვირაბი გათხარეს, საიდანაც თიხა მოჰქონდათ, მერე კი იძინებდნენ.

ცოლ–ქმარი ვერცკი იფიქრებდა, რომ მათი ქოხის ქვეშ გვირაბი იყო გათხრილი. ერთხელ საწოლთან კედლის გარეთ რაღაც დაბრახუნდა, თითქოს თიხის ნაჭერი ჩამოვარდა, მერე ქვების ცვენის ხმა გაისმა. თახვების გათხრილ გვირაბს მიაგნეს, კარგად გაელესათ. როგორც ჩანს თახვები სამშენებლო მასალას ზოგავდნენ. როცა კედლიდან თიხის ნაჭერი ჩამოვარდებოდა, იღებდნენ და კედელს გარეთა მხრიდან ლესავდნენ. ვიწრო გვირაბში მხოლოდ ერთი თახვი გაეტეოდა, ამიტომ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. როცა საქმიანობდა, ერთს თიხა მოჰქონდა, მეორე კი ლესავდა.

ღამღამობით საწოლის ქვემოდან თახვების კინკლაობისა და დარტყმის ხმები ისმოდა. დროთა განმავლობაში შეშისგან გაკეთებული ბარიკადები სულ გალესეს და მხოლოდ გამოსაძრომი დატოვეს. მათ მიერ ქოხის ქვეშ გათხრილ გვირაბში სახურავიდან გადმოღვრილი წვიმის წყალი იჟონებოდა და თახვებიც თიხაში ისეთი ამოგანგლულები

შემოძვრებოდნენ ხოლმე, რომ ვერც იცნობდით და პატრონებს მუხლებზე აფორთხდებოდნენ.

ამ დროისთვის ჩვენს მონადირე ცოლ–ქმარს ხელში ჩაუვარდა წიგნი აშშ–ში წყნარი ოკეანისპირა რკინიგზის მშენებლობის შესახებ და როცა ირლანდიელი მუშების შრომისმოყვარეობის შესახებ კითხულობდნენ, ამ დროს საწოლის ქვეშ თახვების მიერ გათხრილ გვირაბზე ფიქრობდნენ. რითი იყვნენ თახვები ირლანდიელებზე ნაკლები? და თავიანთ გაზრდილ თახვებს ირლანდიური სახელები დაარქვეს: მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი? ეს სახელები მათ ძალიან შეეფერებოდათ, რადგან ორივენი ენერგიულები და ფიცხები იყვნენ, როგორც ქალაქ კორკის ნებისმიერი ჯენტლმენი.

მამალი თახვი, მაკ–ჯინისი ყოველ დილით, როცა გაიღვიძებდა, ბარიკადთან ჩასაფრდებოდა და იცდიდა და როცა ვინმე გაივლიდა, მივარდებოდა. ამის მერე მაკ–ჯინტი გამოდიოდა და მრავალნაირად ჭყიოდა. ზოგჯერ თახვები ერთმანეთის გვერდით დასკუპდებოდნენ, თავებს აკანტურებდნენ და უცნაურ ხმებს გამოსცემდნენ.

მსგავსი სახელების გამო, როცა ერთს ეძახდნენ, ორივემოდიოდა.

დილით პატრონები ნაირ–ნაირ ნუგბარს აჭმევდნენ, თახვებს სოროში მიჰქონდათ, ერთმანეთისგან მოშორებით სხდებოდნენ და ბურტყუნით მიირთმევდნენ. მათი წკლაპუნის ხმა ფრიად სასიამოვნო მოსასმენი იყო. თახვების საჭმელს არჩევდნენ, ნარჩენებით არ კმაყოფილდებოდნენ და ჭირვეულობდნენ. ერთი კვერის ნატეხებსაც კი არჩევდნენ და ყოყმანობდნენ, თუ რომელი შეეჭამათ, დილის საუზმის მერე კი საქმეს შეუდგებოდნენ.

ლეგა ბუ აკვირდებოდა თავის პატარა მეგობრებს და ფიქრობდა, რომ ისინი სხვა ცხოველებისგან განსხვავდებოდნენ. მათ თურმე იუმორიც ახასიათებდათ. ერთხელ ლეგა ბუმ შეამჩნია, რომ ერთი თახვი მეორეს იქამდე აწვალებდა, თავს წინ და უკან აკანტურებდა და იღრიჯებოდა, თითქოს იცინოდა. მონადირეს არაერთხელ ენახა, თუ როგორ ჩხუბობდნენ ერთმანეთში ძაღლები, მგლები, მელიები, სხვა ცხოველებსაც აკვირდებოდა, კუგუარებს[12] და ციყვებს. ისინი ერთმანეთს თათებს ურტყამდნენ, თახვები კი სხვანაირად იქცეოდნენ. ეს არაჩვეულებრივი არსებები უკანა თათებზე დგებოდნენ, წინა თათებს ერთმანეთსჭ შემოაჭდობდნენ და ადამიანებივით ჭიდაობდნენ, ერთმანეთს უბიძგებდნენ

[12] კუგუარი – გარეული კატა.

და იატაკზე აბაკუნებდნენ. როცა ერთი მათგანი გამარჯვების ნიშნად ხმამაღლა დაიჭყივლებდა, შერკინება წყდებოდა და ორივე თავის საქმეს აგრძელებდა.

მაგრამ ჭირვეული, დაუდგომელი და მძაფრი თავგადასავლების მაძიებელი მაკ–ჯინტი ამით არ კმაყოფილდებოდა. ის თავისუფლად მიდიოდა ყინვას გადარჩენილ კარტოფილის მარაგთან და რამდენიც უნდოდა, იღებდა. არავინ უშლიდა, მაგრამ ქურდბაცაცობა ეხალისებოდა. კარტოფილის ტომარა უკანა მხრიდან გახვრიტა და კარტოფილს ჩუმად ეზიდებოდა, სახეზე კი სიამოვნება და შიშიც ეხატება. პატრონებს მისი "მოღვაწეობის" ხილვა სიამოვნებდათ და არ უშლიდნენ, მაგრამ თურმე თახვების ცხოვრების არსი წინააღმდეგობის გადალახვაში იყო და როგორც კი მაკ–ჯინტი მიხვდა, რომ კარტოფილის მოპარვაში ხელს არ უშლიდნენ, ქურდობამ მისთვის აზრი დაკარგა.

ამის მერე ქურდაბაცაცამ თამბაქოს პარვა დაიწყო. ერთხელ ღამით ავის მომასწავებელი კვნესა მოესმათ. დაუდგომელი მაკ–ჯინტი იატაკზე გართხმული ნახეს ნაქურდალი თამბაქოს გვერდით. როგორც ჩანს ნაწილი შეეჭამა. საბრალო ცხოველი იტანჯებოდა, ცდილობდა პატრონებთან მიფორთხებულიყო, მაგრამ უკანა თათები დადამბლავებოდა. ანახარეომ თავისი გაზრდილი ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა. თახვს თვალებში მუდარა ჩასდგომოდა, ანახარეოს მიეკრა, თათებით კაბაზე დაეჭიდა, უტყვი მუდარით მისგან შველას ელოდა.

ლეგა ბუ თახვის ასეთ მდგომარეობას პირველად ხედავდა და ამან შეძრა, სამკურნალო საშუალებები გაიხსენა, მაგრამ თახვს პირსასაქმებლის მიღება არ უნდოდა და ვერც ყლაპავდა. ცოტა ხნის შემდეგ თახვს გულისცემა თითქმის გაუჩერდა. უცებ ლეგა ბუს მოწამვლის ერთი შემთხვევა გაახსენდა და ანახარეოს ურჩია, რომ ცხოველი მაგრად დაეზილა და დაძინების საშუალება არ მიეცა. ანახარეოსაც გაახსენდა მდოგვის აბაზანები. როცა აბაზანა გაამზადეს, გრძნობადაკარგული თახვი ჩააწვინეს. როგორც კი კი კუდი და თათები ცხელ წყალში ჩააყოფინეს და ბეწვი დაუსველდა, ანახარეომ შენიშნა, რომ თახვს გულისცემა გაუხშირდა. ცხოველს ცნობიერება დაუბრუნდა, სუსტად კვნესოდა და თავსაც სწევდა, მაგრამ როგორც კი აბაზანიდან ამოიყვანეს, გრძნობა კვლავ დაკარგა და აღარც გულისცემა ეტყობოდა. სანამ ლეგა ბუ აბაზანას ამზადებდა, ანახარეო საწყალ ცხოველს გულმოდგინედ ზელდა და დაძინების საშუალებას არ აძლევდა. როცა თახვი აბაზანაში მეორეჯერ ჩააწვინეს, მაკ–ჯინტის ცნობიერება დაუბრუნდა, კვლავ დაზილეს, ისევ აბაზანაში ჩააწვინეს, მერე ისევ დაზილეს, ასე მონაცვლეობით, რათა პატარა არსებისათვის

სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ცოლ–ქმარი ათი საათის განმავლობაში თახვის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, ხანდახან იმედსაც კარგავდნენ. თახვი სამჯერ დაიკრუნჩხა, მაგრამ პატრონების ძალისხმევით გათენებისას მაკ–ჯინტის ჯერ ისევ სული ედგა. შუადღისას კრიზისმა თითქმის გაიარა, გულისცემა გაუხშირდა, თახვი წამოდგა, დაიკრუნჩხა და გაიშხლართა.

ლეგა ბუმ პირსახოცი გადაადგდო.

– ანახარეო... – და შეტრიალდა, ღუმელს მიუბრუნდა, ოღონდ თახვის უბედურება არ დაენახა. გულის უსკდებოდა.

– ანახარე... – დაიწყო მეორეჯერ.

უცებ ნაცნობი ყვირილი მოესმა. ლეგა ბუმ მოიხედა.

მაკ–ჯინტი წამომჯდარიყო, სველი და აბურძგნილი ბეწვის დავარცხნას ლამობდა. ანახარეო ტიროდა. ლეგა ბუმ პირველად დაინახა მტირალი ანახარეო.

მაკ–ჯინისმა ჩვეული ინსტიქტით იგრძნო უბედურება და ლოგინზე აძრომას ცდილობდა და როცა მაკ–ჯინტი გამოცოცხლდა, მასთან მიუშვეს. მაკ–ჯინისმა მეგობარი საგულდაგულოდ დაყნოსა, ნამდვილად ის იყო თუ არა. მეგობარს სუსტად ეხმიანებოდა, თითქოს გოდებდა. ასეთი ხმა მისგან ჯერ არ გაეგოთ. თახვების ხმა დიდხანს ისმოდა და როცა საწოლის ქვეშ შეიხედეს, დაინახეს რომ თახვები ერთმანეთს გადახვეოდნენ, თათები ერთმანეთის ბეწვში ჩაეჭიდათ ისე, როგორც ადრე, როცა პატარები იყვნენ.

ამ დრამატულმა შემთხვევამ მაკ–ჯინტის კარგა ხანს ქურდბაცაცობის ხალისი დაუკარგა და გამოსწორდა. ასევე დაემართა მაკ–ჯინისსაც. მას მერე, რაც ის კინაღამ ყინულზე არ გაიყინა, ისიც გამოსწორდა. ანახარეო შიშობდა კიდეც, მას სწამდა, რომ კარგი ბავშვები დიდხანს არ ცოცხლობენ.

თახვები ერთმანეთისგან ხასიათითაც განსხვავდებოდნენ და თავისებურები იყვნენ. მაკ–ჯინისს, თუ რაიმეს დაუშლიდნენ, მორჩილდებოდა, მაგრამ მალე ავიწყდებოდა და ისევ თავისას აგრძელებდა. მაკ–ჯინტი კი ურჩი იყო, მასზე მხოლოდ ძალა მოქმედებდა. როგორც კი მიხვდებოდა, რომ მისი ცუდი საქციელი შენიშნეს, პროტესტის ნიშნად წინდაწინ აწმუკუნდებოდა. პატრონები მათ თავნებობას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ შეჩვეული ცხოველები მათ ამის გამო არ მტრობდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მათგან მშობლიურ სითბოს გრძნობდნენ.

მიუხედავად მათი განსხვავებული ბუნებისა, ერთი რამ საერთო ჰქონდათ: ცნობისმოყვარეობა, თუ არ ელაგა მათთვის მიუწვდომელ მაგიდაზე.

თახვების ცნობისმოყვარეობა მაგიდის მიუწვდომოლობით იყო გამოწვეული, განსაკუთრებით მაშინ ჭირვეულობდნენ, როცა პატრონები მაგიდას უსხდნენ და საჭმელს შეექცეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად აჭმევდნენ, თახვები მაგიდაზე აძრომას მაინც ცდილობდნენ. ერთხელ მოახერხეს და მუშამბა გადმოათრიეს და რკინის ჯამ–ჭურჭელი ძირს გადმოყარეს. სულაც არ შემრკთალან. ლეგა ბუ ხვდებოდა, რომ თახვები თავისას არ დაიშლიდნენ და ადრე თუ გვიან საწადელს მაინც მიაღწევდნენ, მაგრამ ვერცკი წარმოიდგენდა იმას, რაც მოხდა.

ცოლ–ქმარი თახვებს მარტოდ დიდხანს არ ტოვებდა, რადგან ციოდა და ქოხი არ უნდა გაეციებინათ. მაგრამ ერთხელ, ადრე გაზაფხულზე ცოტა დათბა და რამდენიმე მილის დაშორებით ხე–ტყის დამამზადებელ ბანაკში წავიდნენ. ღამეც იქ დარჩნენ. ბანაკისმზარეული მათი თახვებით დაინტერესდა და ლეგა ბუმ დღის ბოლოს მიიპატიჟა. ისიც დაჰპირდა, რომ საღამოს ეწვეოდა და თახვებთან მოსაკითხიც გაატანაყ მზარეული მათთვის პირველი სტუმარი იყო და რომ ღირსეულად დახვედროდნენ, შინისკენ გამოეშურნენ.



როცა დაბრუნდნენ ქოხის კარი ვერ გააღეს. თახვებს შიგნიდან საბნები მიეწყოთ, მაგრამ ეს წვრილმანი იყო იმასთან შედარებით, რაც ქოხში ნახეს. მთელი ოთახი სულ არეული იყო.

თახვებს მათთვის მიუწვდომელი მაგიდის ფეხები გაეღრღნათ და მაგიდაც თავისთავად დადაბლდა. მაგიდაზე დაწყობილი ნივთებიდან ზოგი თახვების სოროში აღმოჩნდაბ ზოგს საერთოდ ვერ მიაგნეს, ალბათ გვირაბის ბოლოს დამალეს. მაგიდიდან გადმოყრილი ჭამ–ჭურჭელი იატაკზე ეყარა. პირსაბანი გადაეყირავებინათ, საპონი არსად ჩანდა, ნავთით სავსე ხუთლიტრიანი ქილა იატაკზე ეგდო, საბედნიეროდ ნახვრეტით ზემოთ და ნავთი არ დაღვრილიყო. იატაკი მოფენილი იყო ნაფოტებითა და გაღრღნილი ნამტვრევებით. ამის შემხედვარე ცოლ–ქმარს მასპინძლობის ხალისი დაეკარგა.

ჩანს, თახვები რაღაცის აშენებას აპირებდნენ. თავს დამნაშავედ არც გრძნობდნენ და როცა მოსულებში პატრონები შეიცნეს, სიხარულით შეეგებნენ. თახვებს მზარეულის გამოგზავნილი ნუგბარი მისცეს და ისინიც სიამოვნებით შეექცნენ. ეს დღე ალბათ ყველაზე ბედნიერი იყო მათ ცხოვრებაში.

როგორ გახდა ლეგა ბუ მწერალი

ვინ იტყვის სად მთავრდება ინსტიქტი და სად იწყება შეგნებული ცნობიერება. ეს კითხვა ლეგა ბუს აწუხებდა, როცა თავისი თახვების ქცევას აკვირდებოდა. რა თქმა უნდა ყველა ცხოველს ახასიათებს ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი თავისებურებები. რბილი ზამთარი იყო, ნადირ–ფრინველი ამით სარგებლობდა და მათ ქოხთან დასუნსულებდა. იქნებ სხვა ცხოველიც მიეჩვია? ანახარეომ ონდატრა მიჩვია. ეს იყო სასაცილო, მსუქანი მამრი. დიდი მუცლის გამო ფალსტაფი დაარქვეს. ის ხშირად მიდიოდა ყინულჭრილთან, საიდანაც სასმელ წყალს იღებდნენ და შიგ ბალახებსა და ლოკოკინის ნიჟარებს ჰყრიდა. უყვარდა ყინულჭრილთან ჯდომა და ანახარეოს მიერ მისთვის დატოვებული საჭმლის მირთმევა. ფალსფატი ცოლ–ქმარს ისე მიეჩვია, რომ პირდაპირ მათი ხელიდან ჭამდა. როგორც სჩანს ონდატრა ანახარეოს ელოდებოდა ხოლმე, რადგან როგორც კი ბილიკზე ქვემოთ ჩადიოდა, ონდატრა ყინულჭრილიდან თავს ამოჰყოფდა და შეეგებებოდა, მაგრამ რამდენიმე მეტრის მერე შიში იპყრობდა და უკან ყინულჭრილისკენ გარბოდა, ჩახტებოდა და იქიდან იყურებოდა. ანახარეოს ონდატრა დღითი დღე ეჩვეოდა. მას ტბის პირას ტალახისა და ბალახებისგან ფაცხა ჰქონდა გაკეთებული. იქ სხვა ონდატრაც ბინადრობდა, თუმცა ადამიანებთან მხოლოდ ფალსტაფი მიდიოდა, სხვები კი არც ჩანდნენ.

ცოლ–ქმარმა ორი ციყვიც მიიჩვია. ისინი დაძახებისთანავე მოდიოდნენ და ცოლ–ქმარს მხრებზე ახტებოდნენ, მათი ხელიდან ჭამდნენ. ეს ციყვები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, მაგრამ ადამიანებს არ მტრობდნენ. იქნებ ციყვების ქცევა მოჩვენებითი იყო, მაგრამ მოწყალების იმედით გამოწვეული.

ლეგა ბუს ქოხის სიახლოვეს დაახლოებით დუჟინი[13] ჩხიკვი ბინადრობდა, რომლებმაც ადამიანების სიახლოვეს თითქოს ცხოვრების ნირიც შეიცვალეს. ისინი ქოხის კარს თვალს არ აცილებდნენ და როგორც კი გაიღებოდა, აჟრიამულდებოდნენ, ზოგიერთი უსტვენდა კიდეც, მაგრამ კარი მიიხურებოდა თუ არა, წყნარდებოდნენ. როცა ნამცეცებს გადაუყრიდნენ, თითოეული ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დაეტაცა და გაფრენილიყო.

[13] დუჟინი – 12 ცალი.

თუ მხოლოდ ერთი ჩხიკვი იყო, მაშინ დიდ ნამცეცებს აარჩევდა, ზოგი გამოწვდილ ხელზე ჯდებოდა, ჩანს ხელის სითბო სიამოვნებდათ.

თავდაპირველად ცოლ–ქმარს ყველა ჩხიკვი ერთნაირი ეგონათ, მაგრამ მალე უკვე ანსხვავებდნენ და თითოეულს თავისებურ ხასიათს ამჩნევდნენ. ეს ჩხიკვები სიმსუბუქის მიუხედავად სწრაფად ვერ დაფრინავდნენ. როცა ძალიან მოშივდებოდათ, თავს მოისაწყლებდნენ, იქნებ გაუცნობიერებლადაც, მაგრამ საჭმლის დანახვაზე მედგრად ეცემოდნენ. ერთი ჩხიკვი ისე გაეშმაკდა, რომ როცა საკვებს დაიტაცებდა, მერე თოვლში კოტრიალობდა და დანარჩენ ჩხიკვებს ააფორიაქებდა, მერე საუკეთესო ნაჭერს დაიტაცებდა და შორს გაფრინდებოდა. ჩხიკვები თავიანთ ნადავლს მოფარებულ ადგილებში და ნაპრალებში მალავდნენ, სადაც მერე ციყვები პოულობდნენ, მერე მათ ჩხიკვები აყაჩაღებდნენ. ეს ურიცხვი მათხოვარი მლიქვნელი ფრთოსნები თაღლითობითაც გამოირჩეოდნენ.

წარსულში ლეგა ბუ ჩხიკვებს მოზრდილი ნადირისთვის დაგებული მახეებით იჭერდა. ფეხით გაბმულები ამაოდ ცდილობდნენ თავის დახსნას. მონადირეს ეცნაურებოდა, რომ თახვების მერე სხვა ცხოველებსაც ისეთივე გრძნობით უყურებდა. მის სიახლოვეს უამრავი ნადირი ირეოდა, ფეხებში ებლანდებოდნენ, თვალებში უყურებდნენ, როგორც შინაურს ისე უცქერდნენ.

ანახარეო მიჩვეული ნადირ–ფრინველით ამაყობდა. ისინი გარემოს ალამაზებდნენ და ცოლ–ქმარს თავისიანებად თვლიდნენ. ამან ცოლ–ქმარს საზრუნავი მოუმატა, ყველას ერთდროულად ვერ აჭმევდნენ, ამიტომ განრიგი შეადგინეს.

მიუხედავად ცხოველებთან მეგობრობისა, ცოლ–ქმარი ზოგჯერ სულ მარტო რჩებოდა და დროც ნელა გადიოდა. ჩვენს მონადირე ცოლ–ქმარს კითხვა ძალიან უყვარდათ, ბევრი ჟურნალი ჰქონდათ წაღებული და სულ კითხულობდნენ და კითხულობდნენ.

ცოლ–ქმარს სამშობლო ხშირად ენატრებოდა და გულზე სევდა შემოაწვებოდათ ხოლმე. ასეთ დროს ანახარეო თხილამურებზე დგებოდა და ტყეში დაეხეტებოდა ანდა ნაცნობების ესკიზებს ხატავდა. ლეგა ბუ კი ბლოკნოტში, ჟურნალის გვერდებზე, შესახვევ ქაღალდზე წაკითხულის კომენტარებს წერდა, აღწერდა თავისი ცხოვრების ღირსახსოვარ ამბებს, შეხედულებებს გამოთქვამდა უჩვეულო მოვლენებზე და ადამიანებზე. ლეგა ბუმ თავისი განვლილი ცხოვრება გაიხსენა და ისევ ისე განიცადა. ეს თითქოს სიამოვნებდა.

ზოგჯერ ცოლ–ქმარი შუქს აქრობდა, ღუმელის კარს ფართოდ გააღებდნენ, იატაკზე ღუმელის სიახლოვეს სხდებოდნენ. წითლად მოღუღუნე ნაკვერჩხლები ქოხს ანათებდა და კედლებზე უცნაური ლანდები "იხატებოდა". თახვების გვირაბიდან ბურტყუნი ისმოდა. უცხო მხარეში გადმოსახლებულ ცოლ–ქმარს ყველაფერი იდუმალი ეჩვენებოდათ, იხსენებდნენ გარდასულ ამბებს და ერთმანეთს ჩურჩულით უყვებოდნენ.

ანახარეოს უყვარდა გრძნეული ნინო–ბოჯოს ურიცხვი საგმირო საქმეების მოყოლა. ის ხან კეთილი იყო, ხან ბოროტი, ხან წმინდანი. იროკეზებისთვის ეს ფოლკლორული ეშმაკეული ხორცშესხმული ღმერთი იყო.

ლეგა ბუ კი თავის თავგადასავლებს უყვებოდა, შიმშილს, გაჭირვებას, ომზე, ბისკოში გატარებულ წლებზე. პატარა ქოხში, ღუმელის შუქზე დაწვრილებით იხსენებდნენ განვლილ ცხოვრებას.

ზოგიერთი ეს ამბავი ლეგა ბუმ ჩაიწერა, რაც მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. სულ მალე ჩანაწერების მთელი დასტა დაუგროვდა. ის პატარა მოთხრობებსაც წერდა ონდატრებზე, ციყვებზე, ფრთოსნებზე და ანახარეოს უკითხავდა, თუმცა მასზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მერე ამ თავშესაქცევ ამბებს ანახარეო თახვებს უკითხავდა. ისინიც უსმენდნენ, თავებს აკანტურებდნენ და იატაკზე კოტრიალობდნენ. აი, ლეგა ბუს თხზულებების შეფასება, მაგრამ მას ხელი არ ჩაუქნევია და წერა გააგრძელა, მიხვდა, რმო ინგლისური სიტყვების მარაგი არ ჰყოფნიდა და ამ დანაკლისს ინგლისური ჟურნალებიდან ივსებდა, საჭირო სიტყვებს ინგლისურ ჟურნალებში ეძიებდა. ლეგა ბუს მწერლობით გატაცება იქამდე მივიდა, რომ ერთხელ ანახარეომ მიანიშნა, რომ მომაბეზრებელიც კი იყო. ერთხელ ლეგა ბუმ თავისდა უნებურად თავის ნაწერებს გადახედა, რაიმე ღირებული რომ ამოერჩია და გადაწყვიტა პატარა მოთხრობები შეერთებინა და ერთი ნარკვევი დაეწერა, რაც მიახლოებით ერთი კვირის მერე დაამთავრა. ნარკვევში წერდა ჩრდილოეთ კანადაზე, იქაურ ნადირ–ფრინველზე, თავის თახვებზე. ლეგა ბუმ თავისი ნაწარმოები რამდენჯერმე გადაიკითხა და კმაყოფილი დარჩა. მთელი ღამე თავდაუზოგავად მუშაობდა, გადაათეთრა, ანახარეოსაც წაუკითხა, ხალისით წაუკითხავდა თავის თახვებსაც, რა თქმა უნდა თუ ინდომებდნენ. ანახარეომ მოუსმინა და რამდენიმე გაურკვეველ ადგილზე მიუთითა. ლეგა ბუმ გაასწორა და განმარტებებიც მიუმატა, ანახარეოც ეხმარებოდა, ფრთხილობდნენ, რომ რაიმე არ გამორჩენოდათ, რამაც ნარკვევი 8 000 სიტყვამდე გაზარდა. ანახარეომ მიანიშნა, რომ ნარკვევი გრძელი იყო, რაზეც ქმარი არ დაეთანხმა. ლეგა ბუმ თავისი ნაწარმოები

საგულდაგულოდ გადაწერა, ორმოცდაათამდე ფოტოსურათიც დაურთო და გასაგზავნად 40 მილის დაშორებით ქალაქში გაემგზავრა.

ლეგა ბუმ თავისი ნაწარმოები ინგლისში თავის ომისდროინდელ[14] ნაცნობს გაუგზავნა და მიუთითა, რომ უფლება გამოცემაზე, თარგმნაზე და ფილმის გადაღებაზე ავტორს ეკუთვნოდა. ის ფულზე არც ფიქრობდა, უნდოდა, რომ მისი ნაწარმოები რაც შეიძლება მეტ ადამიანს წაეკითხა. თუ გადაუხდიდნენ, კარგი იქნებოდა. შემდეგ გაოცებულიც კი იყო, რომ ასეთი უქონელი როგორ დაუკავშირდა ჟურნალს, რომელსაც არისტოკრატია კითხულობდა.

თვითდამკვიდრება, მიზნის მიღწევა, წარმატება რწმენაზეა დამოკიდებული. თუ ადამიანმა რწმენა დაკარგა, ცხოვრებისეულ სიძნელეებს ვეღარ გაუმკლავდება. ამისი ნათელი მაგალითია ლეგა ბუ. მას არცკი უფიქრია, რომ შეიძლებოდა ჟურნალს ნარკვევის დაბეჭდვაზე უარი ეთქვა. მას მხოლოდ სურდა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს წაეკითხა მისი ნაწარმოები, მაგრამ ფულიც ხომ სჭირდებოდა. თუ დაბეჭდავდნენ, ფულსაც გამოუგზავნიდნენ, დაახლოებით ერთი თვის მერე ქვითარს გამოუგზავნიდნენ და რადგან ასე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რატომ არ შეიძლებოდა საშობაოდ რაიმე ნისიად ეყიდა? დუქანში რაღაც–რაღაცეები იყიდა და შინისკენ გასწია. ლეგა ბუს თითქოს ფრთები შეესხა, მაგრამ ძლიერი ქარბუქი ამოვარდა და თხილამურების ნაკვალევს მაშინვე შლიდა. მისთვის მძიმე იყო მარტოობა, ფიქრებს აყოლა, სამშობლოს მონატრება. ახლა კი შეეძლო შეექმნა თავისი სამყარო, გაიხსენოს ხელუხლებელი ტყეები და თავსგადახდენილი ამბები.

ბუნებასთან სიახლოვემ და გარეულ ნადირ–ფრინველთან ურთიერთობამ ლეგა ბუ დაარწმუნა იმაში, რომ მარტო თახვები კი არა, სხვა ცხოველებიც მოაზროვნე არსებები იყვნენ. “ამაში რატომ უნდა დავეჭვდეთ, როცა ცხოველები სულ მცირე ადამიანურ სითბოს პასუხობენ” – ფიქრობდა ის.

ლეგა ბუს ირმის ნუკრი გაახსენდა. ის ტბის მეორე ნაპირზე ბალახობდა ხოლმე. ნუკრი სულ მარტო იყო და მონადირე მიხვდა, რომ ეს ნუკრი იმ ფურირმის იქნებოდა, რომელცი მოინადირა. ამ ნუკრმა ადამიანის შიში ჯერ არ იცოდა, ზოგჯერ ტბას გადაცურავდა და ქოხისკენ ბილიკს აუყვებოდა. ასე დღეგამოშვებით ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. როცა ცოლ–ქმარმა ეს შეამჩნია, ქოხიდან გამოდიოდნენ და ელოდებოდნენ. ნუკრი მათ ყურადღებას არ აქცევდა და მშვიდად ჩაუვლიდა ხოლმე. ხანდახან შეჩერდებოდა და

[14] იგულისხმება I მსოფლიო ომი.

ადამიანებს აკვირდებოდა. მალე მიიჩვიეს. ის თახვებისთვის მომარაგებულ ვერხვის ტოტებს ღრღნიდა. მონადირე ცოლ–ქმარი ახალი მეგობრის შეძენით ფრიად გახარებული იყო. შემდგომ ლეგა ბუ ტყეში ღრმად შედიოდა, რათა თოფის ხმას ირმის ნუკრი არ შეეშინებია, ერთი წლის წინ კი ტყვია დაენანებოდა და კეტით მოკლავდა მას. რა იქნებოდა თავისი გაუთავებელი ნადირობით თავისი საყვარელი ჩრდილოეთი არ შეერცხვინა? მაგრამ რითი ეარსება? ლეგა ბუ გულჩვილი არ იყო. რადგან უნდა ეარსება, უნდა ენადირა კიდეც. მაგრამ თუ გამოჩნდებოდა რაიმე საშუალება, რაც ნადირ–ფრინველის ხოცვას ააცილებდა, კარგი იქნებოდა. იქნებ მწერლობამ შეაძლებინოს დააკვირდეს და გაამრავლოს ნადი–ფრინველი?

რამდენს იფიქრებდა ლეგა ბუ, სანამ 40 მილს გაივლიდა. თოვლის ფანტელები ეყრებოდა. ის ახლა მიხვდა, რომ არ უნდა ენანა, თახვებისთვის დაგებული ხაფანგები რომ ჩაკეტა. მას მერე გადაწყვიტა, რომ თახვებზე არ ენადირა და გარეული ნადირ–ფრინველი მიეჩვია. მიჩვეული ციყვები, ონდატრები, ჩხიკვები და ირმის ნუკრი ადამიანებს ენდობოდნენ, ისინი კი მათ ბუნებას და ცხოვრების ნირს აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ. ცხოველთა დაცვა უფრო სასარგებლო საქმე იყო, ვიდრე დახოცვა, მაგრამ ვინც ამ ძნელ გზას დაადგებოდა, უფრო მეტი უნდა გამოემუშავებინა, ვიდრე ბეწვეულის გაყიდვით მიიღებდა. ნარკვევში ალბათ კარგად გადაუხდიდნენ და ისიც აღარ ინადირებდა და თავისი ძალისხმევით შექმნიდა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანას.

ლეგა ბუმ რა თქმა უნდა იცოდა, რომ ნადირობისთვის თავი რომ დაენებებია და სასურველი მიზნისთვის მიეღწია, დახმარება სჭირდებოდა. ის ოცნების კოშკებს აგებდა, ეგონა, რომ მიზანს თავისი ძალისხმევით მიაღწევდა. მის ტყიურ ცხოვრებაში ამისი არაერთი მაგალითი იყო.

ქარბუქი მძვინვარებდა, თუმცა მხნეობა ემატებოდა, მისთვის ხომ გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობდა, აღტაცებულს უნდოდა ემღერა და ისიც ყვიროდა და ნადირივით ღრიალებდა.

შემდგომში, როცა ის თავისი ცხოვრების ამ გადამწყვეტ მომენტს იხსენებდა, წერდა: “სიღრმისეული განსჯის მერე მივხვდი, რომ ჩემი გამოცდილების მიუხედავად თოვას ვერ შევაჩერებდი”.

როგორი სასიამოვნო იყო ქარბუქიდან პატარა მყუდრო ქოხში დაბრუნება. ანახარეო შაქრის ტომრებიდან გამოჭრილ ფარდებს შალის არშიებს აკერებდა. ასეთი ფარდები ქოხს სიმყუდროვეს ჰმატებდა.

თახვებმა, როგორც ანახარეომ მოუყვა, მისი არყოფნა იგრძნეს, განსაკუთრებით მაკ–ჯინისმა, რომელიც კართან დიდხანს ყურყუტებდა. ლეგა ბუს ქოხში შესვლისას არცერთი არ გამოჩენილა, მერე სათვალთვალო ხვრელიდან ცხვირები გამოჰყვეს. სჩანს, უნდოდათ გაეგოთ თუ ვინ ესტუმრათ და როგორც კი პატრონი შეიცნეს, მაშინვე ხვრელიდან გადმოძვრნენ და ზედ ახტებოდნენ. მაკ–ჯინისი იქამდე არ დაწყნარდა, სანამ ლეგა ბუ არ ჩაიმუხლა და სპეციალურად მისთვის გადანახული კამფეტებით არ გაუმასპინძლდა. ორივე თახვი წკლაპუნით შეექცა სასუსნავს.

ამის მერე ლეგა ბუმ საშობაოდ მცირე რამ ნაყიდი ამოალაგა. ის ნადირობით ისე იყო გართული, რომ ხშირად რიცხვიც არ იცოდა და ამის გამო შობას ხშირად გამოტოვებდა ხოლმე. იქნებ სულის სიღრმეში არც უნდოდა ეზეიმა, მაგრამ ახლა დაოჯახებული კაცი იყო და ცხოვრობდა ქვეყანაში, სადაც შობას საყოველთაოდ დღესასწაულობდნენ და მანაც გადაწყვიტა, რომ ხალხს არ ჩამორჩენოდა და თავისებურად ეზეიმა.

ლეგა ბუმ კედარის რამდენიმე მშრალი ფიცარი კარგად გააშალაშინა, ზედ ინდიელთა ჩვეულებით მოხატა და სარკმლის გვერდით თამასასავით ჩამოჰკიდა. თუ შორიდან შეხედავდით, ისე ჩანდა თითქოს მძივებით იყო მორთული. ამას გარდა ტყიურმა ცოლ–ქმარმა ქოხის განათებული ადგილები თავიანთი ტომების ემბლემიანი სამშვენისებით მორთეს. იატაკზე ორი ირმის ტყავი დაფაინეს და თახვებს რომ არ ეთამაშათ, ლურსმნებით დააჭედეს, მაგრამ ამან მაინც არ უშველა. თახვებმა ტყავი შენიშნეს თუ არა, ბეწვი ბღუჯა–ბღუჯად ამოგლიჯეს. ლეგა ბუმ ნანადირევი არწივის ფრთებისა და მძივებისგან მეომრული თავსაბური გაიკეთა, ხიდან ადამიანის სახის მსგავსი გამოჭრა და სტუმრის საპატივსაცემოდ, თუ ვინმე ეწვეოდათ, სამშვიდობო ნიშნებით მოხატა და თავსაბური დაიხურა. ამ მეომარს ფრიად შთამბეჭდავი იერი ჰქონდა. ქოხის გამოსაჩენ ადგილებში შეღებილი სანთლები დადგეს, ქოხის კოჭებზე იაპონური სანათები დაჰკიდეს, თუ სარკმლიდან შეიხედავდით, იფიქრებდით, რომ ქოხში ინდიელთა სულები ბინადრობდნენ.

შობის წინა საღამოს ყველაფერი გაამზადეს. აანთეს სანთლები, ქოხი სულ განათდა. თეფშებზე ვაშლები, ფოთთოხლები, კაკლები დაალაგეს. ანახარეომ გადაწყვიტა

თახვებისთვის ნაძვის ხე დაედგა, ცული აიღო და თხილამურებზე დადგა, ლეგა ბუ კი ღუმელს მიუბრუნდა. ღუმელზე ირმის ხორცი შიშხინებდა. დუქანში საშობაო პუდინგიც ჰქონდათ ნაყიდი.

სუსტი ქარი არხევდა ფიჭვის ტოტებს და ხმაც ჯერ ოდნავ ისმოდაბ მაგრამ მერე გაძლიერდა. ამ ხმის გაგონებაზე ლეგა ბუმ სარკმელში გაიხედა და ანახარეო დაინახა, რომელიც ფიჭვებს აღფრთოვანებული უსმენდა და ამბობდა, რომ ეს საშობაო ზარის რეკვაზე ნაკლები როდი იყო. ანახარეომ შესანიშნავი ნაძვის ხე მოიტანა, იატაკის ნაპრალში დაამაგრეს, კენწეროზე ანთებული სანთელი მიამაგრეს, ტოტებზე კი თახვების მისაწვდომად კამფეტები, ვაშლის ნაჭრები და სხვადასხვა სასუსნავი ჩამოჰკიდეს.

თახვები გულგრილად უყურებდნენ მორთულ ნაძვის ხეს, მაგრამ მალე მათი ყურადღება ხის სურნელმა მიიპყრო და ხეზე ჩამოკიდებული ნაირ–ნაირი ნუგბარი აღმოაჩინეს, უმალ ჩამოწყვიტეს და ყელი ჩაიტკბარუნეს, პატრონები კი მაგიდას უსხდნენ, მიირთმევდნენ და საყვარელი შვილობილების ცქერით ტკბებობდნენ. პატარა თახვებმა ყველაფერი უცებ გადასანსლეს. ცოლ–ქმარმა სასუსნავი უფრო მაღლა ჩამოჰკიდა და დაიწყო, რაც დაიწყო. პატრონებს ჭამა–სმაც გადაავიწყდათ. თახვები უკანა თათებზე დგებოდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ტოტებიდან სასუსნავს წყვეტდნენ, ერთმანეთს პარავდნენ, აღგზნებულები ჭყიოდნენ, პატრონები კი ახალ–ახალ ნუგბარს ჰკიდებდნენ მათთვის.

თახვებმა სასუსნავის ნაწილი გადაინახეს. როცა უკანა თათებზე დგებოდნენ, წინა თათებით სასუსნავი ეჭირათ, როცა ოთახზე იდგნენ, კბილებით ეჭირათ. მალე სულ შეჭამეს, ნუგბარის ნაწილი გადაინახეს და როცა პატრონებმა აღარაფერი დაუმატეს, მაკ–ჯინტიმ ხე წააქცია და თავიანთ სამალავში წაათრია. ყველანი ბედნიერები იყვნენ, თახვები, ანახარეო, ლეგა ბუ.

დაღლილი “მოქეიფეები” ტიხარს იქით გადაძვრნენ და შენახულ სასუსნავს შორის ერთმანეთს მიეკრნენ და დაიძინეს. ამის მერე ქოხში სიჩუმემ დაისადგურა. მეომრულად მორთულმა ლეგა ბუმ გადანახული წითელი ღვინის ბოთლი გადმოიღო და ცოლ–ქმარმა სადღეგრძელოები შესვა მძინარე თახვებზე, ტბის იქით მყოფ თახვებზეც, ინდიელებზე, კეთილ ფრანგ კაცზე, ვინც ასეთი შესანიშნავი ღვინო მისცა. უკანასკნელი სადღეგრძელოთი ერთმანეთს ჯანმრთელობა უსურვეს და აღნიშნეს, რომ ასე მხიარულად შობა არავის უზეიმია მთელს ქვებექში თუ არა, ამ ტბის შემოგარენში მაინც.

ბედნიერება

ვის მოუვიდოდა თავში ტყეში მოთხრობა დაეწერა, ლონდონში გაეგზავნა რა რამდენიმე თვის მერე ქალაქში ჰონორარის ასაღებად წასულიყო? მაგრამ ლეგა ბუ წავიდა და ანახარეოც წაიყვანა. როცა ფოსტას მიაკითხეს, ქვითარი დახვდათ, თალკე კონვერტით ჟურნალი გამოეგზავნათ, სადაც ლეგა ბუს ნარკვევი იყო დაბეჭდილი 1/4–ით შემცირებული ვარიანტით და ხუთი ფოტოსურათი და გაგზავნილი ორმოცდაათიდან.

როცა ლეგა ბუმ და ანახარეომ მითითებულ გვერდზე გადაშალეს, თავიანთი ქოხის, თახვების ჯეგირის და თვით მაკ–ჯინისა და მაკ–ჯინტის სურათები ნახეს.

ანახარეომ ქმარს ჟურნალი ხელიდან გამოსტაცა. ცოლ–ქმარს თვალს არ უჯერებდა, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ ჟურნალს, ბოლოს ლეგა ბუმ დაუთმო და ღია ვარდისფერ ქვითარს მიუბრუნდა. ამ ქვითრით თითქმის მთელ ვალს გაისტუმრებდა, რაც ტულეიდის ტბის რაიონში წინასწარ ჰქონდა ბეწვეულში აღებული.

ჟურნალის რედაქტორი თავაზიანად თხოვდა, რომ წერა გაეგრძელებინა. ლეგა ბუს საზეიმო განწყობილება დაეუფლა. მან ფეხი შედგა მწერლობაში, რაც სევდას გაუქარვებდა. ნუთუ ასეთი წვრილმანით ამობრწყინდებოდა მისი ბედის ვარსკვლავი?

ლეგა ბუ, სანამ ჟურნალს თანხმობის წერილს გაუგზავნიდა, პატარა სასტუმროდან გამოვიდა და თავისთავად მუდმივი კალამი, ცოტა მელანი და ბევრი ქაღალდი იყიდა, ანახარეოსთვის კი "კოდაკი"[15]. კეთილმა მედუქნემ, რომელსაც ტყიური ცოლ–ქმარი როგორც მფარველ ანგელოზს ისე უყურებდა, როცა მათი ამბავი გაიგო, ლეგა ბუს მხარზე ხელი მოუთათუნა, მთელი სულითა და გულით მიულოცა და აღნიშნა, რომ ამაში დარწმუნებული იყო.

[15] კოდაკი – ფოტოაპარატი.

ეშვი და ბრჭყალის კანონი

უკან დაბრუნებისას ლეგა ბუმ და ანახარეომ 60 კმ. გამოიარეს დათოვლილ ტყეზე. ერთმანეთს კვალში კი არ უდგნენ, როგორც ყოველთვის, ერთმანეთს გვერდში მიჰყვებოდნენ და მოზღვავებული ბედნიერებისგან ტყის გზაზე მდუმარების აღთქმა დაარღვიეს. მონადირე ცოლ–ქმარი მომავალ გეგმებზე ბჭობდა. როგორ უნდა მიეჩვიათ არყების ტბის პირას ბინადარი თახვები, რომლებიც მათთვის დაგებულ ხაფანგებს გადაურჩნენ. იქნებ ცხენირემიც შეეჩვიათ. ოცნებობდნენ თავიანთი ქოხის გაფართოებაზე, სადგომი მიეშენებინათ რქოსანი, ფაფუკბეწვიანი ნადირისა და ფრთოსანი მეგობრებისათვის. ლეგა ბუ მათ შესახებაც დაწერდა ნარკვევს, ანახარეო კი "კოდაკით" სურათებს გადაიღებდა. მათ უკვე ჰყავდათ მოშინაურებული თახვები და რაც მთავარია ნარკვევი და ჰონორარი. რატომ არ შეიძლებოდა ასე გაეგრძელებინათ? მათ ახლოს ტყეებში არ იყვნენ ტრაპერები[16], ვინც მათ თახვების ერის შექმნის იდეას ხელს შეუშლიდა. მოშინაურებული და სხვა თახვები გამრავლდებოდნენ, ირგვლივ ახლომდებარე მდინარეებზე და ტბებზე დასახლდებოდნენ და "მაკ–ჯინისის სახლი", როგორც ტყისმჭრელები ლეგა ბუს ქოხს ეძახდნენ, თახვების კულტურის ცენტრი გახდებოდა და დროთა განმავლობაში სახელს გაითქვამდა.

წარმატებამ ცოლ–ქმარს ფრთები შეასხა და თუ ხელი შეეწყობოდათ უამრავ კარგ საქმეს გააკეთებდნენ.

აი, უკვე ხუთი დღეა, რაც ჩვენმა ტყიურებმა ქოხი დატოვეს, შესაშფოთებელი არაფერი ჰქონდათ, არც ისე სუსხიანი ზამთარი თახვებს ვერ დააზიანებდა და ისინიც ცუდს არაფერს მოიმოქმედებდნენ, ნივთები თაროზე ჰქონდათ დაწყობილი. გული ცუდს არ უგრძნობდათ. თავიანთი ქოხიდან რამდენიმე მილის დაშორებით ცოლ–ქმარმა თხილამურების უცნაური კვალი შენიშნა. უკვე ბინდდებოდა, კვალი ვერ გაარჩიეს და შინისკენ მოუჩქარეს.

თავდაპირველად იფიქრეს, რომ ტყისმჭრელი ეწვიათ თახვების მოსანახულებლად, მაგრამ კვალი მათი მხრიდან არ მოდიოდა და ეს აზრი უარყვეს. "სტუმარი" თხილამურებს განზე არ ადგამდა თეთრკანიანივით, არამედ ინდიელივით მიდიოდა. აი ქოხიც გამოჩნდა,

[16] ტრაპერი – ფაფუკბეწვიან ნადირზე მახეებით მონადირე ჩრდ. ამერიკაში.

შუქი ენთო. როცა კარი შეაღეს, ხელებგაშლილი, გაღიმებული დავითი თეთრი ქვა შეეგებათ. მოხუცი ალგონკინელი თავის ნანატრ მეგობრებს ეწვია.

ლეგა ბუს ასე ძალიან არავის სტუმრობა გახარებია. დავითს ლეგა ბუს სახელგანთქმული საფანტიანი თოფით ცხენ–ირმებზე ენადირა. ის, თურმე მთელი ზამთარი ნიუ–ბრუნსვიკში ტრაპერობდა, თახვების ოჯახისთვის მიეგნო და სარგებელიც ენახა.

სავახშმოდ დასხდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს. უცებ სიჩუმე ჩამოვარდაყ ლეგა ბუმ და ანახარეომ თახვებს მოუხმეს. ტიხარს იქედან გაურკვეველი ხმები ისმოდა. თახვები არ გამოდიოდნენ, დავითმა ანახარეოს ბუსავით ორივე თვალი ჩაუკრა.

– რაღაცას საქმიანობენ, მაგრამ არც მე ვყოფილვარ გულხელდაკრეფილი, საჩუქარი დაგახვედრეთ! – და ტიხარს იქედან ორი ზრდასრული, მკვდარი, სველი თახვი გამოათრია.

ანახარეოს კოვზი ხელიდან გაუვარდა. ლეგა ბუმ ჩიბუხი დატენა. ასანთის გაკვრის ხმა აფეთქებასავით გაისმა. ქოხში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ანახარეომ კოვზი აიღო და თეფშებს მიუბრუნდა. ლეგა ბუს გაახსენდა, რომ ეს კაცი მისი მეგობარი იყო.

– გმადლობ დავით. – ლეგა ბუს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ყელი გაუშრა, სული მოითქვა და ჰკითხა:

– დანარჩენები სად არიან?

– ხაფანგები დავაგე.

ლეგა ბუმ სანათი აიღო და უთხრა:

– წავიდეთ, ვნახოთ.

დავითმა რაღაც ცუდი იგრძნო და როცა ქოხიდან გამოვიდნენ, ჰკითხა:

– რაშია საქმე? ცუდად მოვიქეცი? რა მოხდა?

– არაფერია, დაწყნარდი. – და სანათი ასწია, რათა მისი სახე არ დაენახა და მისგან დაემალა.

დავითს თახვების ფაცხასთან ხუთი ხაფანგი დაეგო და ორივე პატარა თახვი გაბმულიყო.

– აი, უკვე ყველა დავიჭირეთ. – ამოღერღა დავითმა და მერე დაამატა:

– სულ ესაა, რაც აქ იყო. – და ლეგა ბუსკენ გაიხედა.

– კი, სულ ესაა, რაც აქ იყო.

და ყინულზე ორი პატარა უსიცოცხლო თახვს დახედა. იქვე უკვე ცარიელი ფაცხა მოჩანდა. რაღას იზამდნენ? ეშვისა და ბრჭყალის ძველი კანონი ჩანს კვლავ მძლავრობდა. ცოლ–ქმარს ოცნების კოშკი დაემსხვრა.

უკანასკნელი დაყვირება

მეორე დღეს ღრმად დამწუხრებულმა ლეგა ბუმ თახვები გაატყავა. ბეწვი დავითს მისცა, ლეშები კი თახვების ფაცხის სიახლოვეს ყინულჭრილში ჩაყარა. იქნებ მან თავისთვის ძველებურად წარმართული ლოცვა წარმოთქვა.

თოვლი უკვე დნებოდა და დავითმა ცოლ–ქმარს ტულეიდის ტბებისკენ წასვლა შესთავაზა. ისინიც დაეთანხმნენ, რადგან აქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ონდატრებს, ციყვებს, ჩხიკვებს და ირმის ნუკრებს იქაც მონახავდნენ. აქაური ტყის ბინადარნი კი როგორც ცხოვრობდნენ ადამიანის გარეშე, ისევე იცხოვრებდნენ. დავითმა მარხილი გააკეთა და ერთ ადრეულ დილასაც მთელი თავიანთი ავლადიდება ზედ დაალაგეს, ღუმელიც, თახვების კასრიც. ანახარეო ტბის ნაპირზე ჩავიდა და ონდატრას უკანასკნელად სასუსნავი მიუტანა. ლეგა ბუს კი ხელზე ჩხიკვები დაასხდნენ, მის ფეხებთან ციყვები დარბოდნენ და უკანასკნელ მოსაკითხს მიირთმევდნენ. მერე მაკ–ჯინისის ქოხსაც დაემშვიდობნენ, ფიჭვნარსაც და უკვე დაცარიელებულ ქოხსაც...

დავითი თავისი მეგობრების ნაღვლიანი სახეების შემხედვარე, მიხვდა, რომ რაღაც ძალიან ცუდი რამ მოხდა, კედარზე ჭდე გააკეთა, თამბაქო ჩადო, ხეზე თავისი ტოტემი იხვი დახატა და თავისთვის რაღაც წარმოთქვა.

თახვების კასრი მანხილზე ზემოდან იდო და როცა გაუყინავ ნაკადულს მიუყვებოდნენ, მაკ–ჯინისი შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა და კასრიდან ნაკადულში ხტებოდა. ამან ჩვენს მოგზაურებს რამდენადმე გაუფანტა ნაღველი. ისინი ტულეიდის ტბებისკენ მიდიოდნენ. ეს ძლიერ დამქანცველი გზა იყო. სერიდან სერზე გადადიოდნენ. ღამით ყინავდა და ყინულის ქერქზე თხილამურებით სიარული იოლი იყო და ამიტომ მეტწილად ღამით მიდიოდნენ. რამდენჯერმე მარხილი შეინჯღრა, კასრი გადმოყირავდა და თახვები თოვლში ჩაცვივდნენ, რაც მათ დიდად არ ესიამოვნათ და კასრში ჩაძრომას ერთმანეთს ასწრებდნენ. თუ მარხილი შეყოვნდებოდა, უმალ კასრის სახურავი აიხდებოდა და თახვები ყავისფერ თავებს ამოჰყოფდნენ და პაწია შავი თვალებით უკმაყოფილოდ იყურებოდნენ. თუ მარხილი მალე არ დაიძრებოდა, შფოთავდნენყ ლეგა ბუც ასეთი იყო, სულ წინ სიარული უყვარდა, ამიტომ თახვების კარგად ესმოდა. დავითს მიაჩნდა, რმო "უბილეთო

მგზავრები” უნდა გასუსულიყვნენ. როცა ჩვენი მოგზაურები გზაზე გავიდნენ, “კომპანიის” ოთხთვალები წამოეწიათ და დამგზავრება შესთავაზეს. “კომპანიის” ერთმა თანამშრომელმა, როცა გაიგო, რომ მონადირეებს ღამე კარავში უნდა გაეთიათ, თავისი საკუთარი მყუდრო ქოხი შესთავაზა. ქოხზი ტულეიდის ტბის პირას იდგა ქალაქ კობანოდან 5 მილის დაშორებით და “შუა გზა” ერქვა. აქ შეჩერდებოდნენ, სანამ გზას გააგრძელებდნენ. თახვებს უკვე თავისუფლად უშვებდნენ, ღამღამობით ახლომდებარე ნაკადულებს სტუმრობდნენ, დღისით კი ქოხში ეძინათ. აქ ცხოვრება უფრო ხალისიანი გახდა, რადგან მნახველი ბევრი მოდიოდა. ლეგა ბუს მხნეობა მოემატა, მეორე ნარკვევიც დაწერა და კვლავ თახვების დაცვაზე ფიქრობდა.

თახვებს ყურადღებას არ აკლებდნენ. ეს ადგილები მჭიდროდ იყო დასახლებული და უამრავი მაწანწალა და ხე–ტყის დამცურებელი დაეხეტებოდა. დავითმა ფრანგული კარგად იცოდა და ერთხელ თახვებზე ლაპარაკს ყური მოჰკრა. მათაც მეთვალყურეობა გააძლიერეს. თახვები ქოხთან ახლოს, სადაც თოვლი დამდნარიყო და წყალი მოჩანდა, ფაცხას იშენებდნენ და ჩვენი მოგზაურები მორიგეობით თვალყურს ადევნებდნენ. თახვები ნორჩ ვერხვებს და ტირიფებს ღრღნიდნენ, აქცევდნენ და კინკლაობდნენ. მათი ჟრიამული შორს ისმოდა. გათენებისას კარზე აფხაჭუნებდნენ და ქოხში შემოუშვებდნენ თუ არა, პატრონების ლოგინზე აძვრებოდნენ და იძინებდნენ. შუადღისას იღვიძებდნენ და უჭმელები თავიანთ მშენებლობისკენ იჩქაროდნენ.

მალე აქ ერთი მოხუცი მოვიდა. ის ამ ტბებზე ონდატრებზე ნადირობდა, უფლებაც ჰქონდა. მისი აქ გამოჩენა თახვებს ხიფათს უქადდა და ჩვენს მოგზაურებს სხვა გზა არ ჰქონდათ ეს ადგილი უნდა დაეტოვებინათ. დავითმა ფრანგული კარგად იცოდა და სამუშაოს საძებნელად კობანოში გაემგზავრა. ლეგა ბუმ და ანახარეომ თახვები კასრში ჩასვეს, მთელი თავიანთი ავლადიდება გზაში შემხვედრ ოთხთვალაზე დაალაგეს და ქალაქთან უფრო ახლოს პატარა ტბასთან გადაინაცვლეს და მაღალი თელებქვეშ დაბანაკდნენ. თახვები ძველი ფაცხითა და პატარა ტბორის ბოლოს ჯებირზე ერთობოდნენ. აქ ბევრი წყალი და საკვები ჰქონდათ, კარგ პირობებში იყვნენ, მაგრამ ლეგა ბუ თახვებისთვის მუდმივი ბინადრობის ადგილს ეძებდა.

ლეგა ბუ და ანახარეო, როცა დაბანაკდნენ, თახვების მოსახმობად ტბისკენ გაემართნენ. ნაცნობი ხმის გაგონებაზე თახვები ერთმანეთს ასწრებდნენ, პატრონებს ელაქუცებოდნენ, ხტუნაობდნენ, თითქოს ფაცხით გამოწვეულ სიხარულს უზიარებდნენ. ცოტაოდენი

კამფეტების შესანსვლის მერე უსაზღვროდ ბედნიერი თახვები თავიანთი ფაცხისკენ გაეშურნენ. ისინი თითქმის ერთი წელია, რაც მზრუნველ ადამიანებთან ცხოვრობდნენ, ახლა კი უკვე ზრდასრულნი, დამოუკიდებლები და სრულიად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ ამ ადამიანებსაც არ ივიწყებდნენ და მათ დაძახილზე უმალ მოდიოდნენ ხოლმე. ისინი პატრონების მადლიერნი იყვნენ.

ერთხელ თახვები ბანაკში მივიდნენ, დიდხანს ივარცხნებოდნენ, მერე გარეთ გამოვიდნენ და კარავს ირგვლივ შემოუარეს, ღუმელს ყნოსავდნენ. ეს ღუმელი ხომ მათი თავგადასავლების მოწმე იყო: ერთხელ მაკ–ჯინისმა ცხვირი დაიწვა, მაკ–ჯინტის კი კვერები გამოჰქონდა და სურსათვის შესანახი ყუთი გადააყირავა. კვერებს რამდენიც უნდოდათ იმდენს შეექცეოდნენ, თავს შესანიშნავად გრძნობდნენ, პატრონებს ელაქუცებოდნენ. ლეგა ბუს და ანახარეოს ყოველთვის ახსენდებოდათ არყების ტბასთან ძველ ქოხში გატარებული დრო, გაფიცხებულ ღუმელთან ცეცხლის შუქზე მჯდარი პატარა მეგობრები.

თახვებმა ცოტა წაუძინეს კიდეც და დასვენების მერე ბორისკენ გასწიეს. პატრონებს მათში რაიმე ცვლილება არ შეუნიშნავთ.

ცოლ–ქმარმა, როგორც ყოველთვის თახვები ტბორამდე მიაცილა და ინატრა, რომ ისევ პატარები ყოფილიყვნენ.

ლეგა ბუ და ანახარეო ტბორის ნაპირას იდგნენ და ვარსკვლავების შუქზე თავიანთი ფაცხისკენ მცურავ თახვებს თვალს აყოლებდნენ. თახვების ცურვით გამოწვეული მოვერცხლისფრო ტალღები კარგად ჩანდა. პატრონების დაძახილზე თახვები შეეხმიანენ, ერთხელ, ორჯერ და მათი ხმები სერებიდან არეკლილ ექოს შეერია. მალე ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

მათი ეს ხმა პატრონებისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. ცოლ–ქმარი უცებ ვერც მიხვდა, რომ საყვარელი ცხოველები დაკარგა. მეორე საღამოს ტბაზე არავინ შეხმიანებია. გავიდა რამდენიმე დღე, წყლიდან არანაირი ხმა არ ისმოდაბ წვიმამ მათი ნაკვალევი გადარეცხა, კამფეტები ხელუხლებლად ელაგა ბანაკში “შუა გზა”, თახვების დაუმთავრებელი ნაგებობა დაიტბორა და მათგან აღარაფერი დარჩა.

გაზაფხულზე წყალდიდობის მერე თახვები ნაკადულს შესართავისკენ უნდა მიჰყოლოდნენ, იქნებ შინაც დაბრუნებულიყვნენ.

ცოლ–ქმარი ნაკადულს სათავემდე აუყვა, მერე ქვემოთ ეშსართავისკენაც. თოვლ=ჭყაპში მიდიოდნენ, თხილამურები დაემტვრათ, თახვებს მაინც უხმობდნენ. ირგვლივ მიდამო სულ დაათვალიერეს, ტულეიდის ტბას და ნაკადულებს ნაბიჯ–ნაბიჯ ამოწმებდნენ, ყოველი თოფის გასროლას აყურადებდნენ, ადამიანის ნაკვალევს ამოწმებდნენ. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ნახეს მოკლული ირემი, რომელიც ბრაკონიერებს სიჩქარისგან არც კი გაეტყავებინათ. ირგვლივ ყველგან მახეები იყო დაგებული. არა! თახვები შესართავამდე ვერ მიაღწევდნენ. ადამიანებს შეჩვეული თახვები ნებისმიერს მიენდობოდნენ და ამიტომ ნებისმიერს შეეძლო ისინი კეტით დაეხოცა.

ცოლ–ქმარს ზოგი ეუბნებოდა, რომ თახვები ალბათ დაიხოცნენ, ზოგი ამბობდა, რომ ცოცხლები იქნებოდნენ და უნდა ეძებნათ და ლეგა ბუ და ანახარეო ეძებდნენ, ეძებდნენ, იმედს არ კარგავდნენ...

ბოლოსდაბოლოს ახლომახლო ყველგან დაათვალიერეს, შორსაც უნდა ეძებნათ, ამისთვის კი კანოე სჭირდებოდათყ კანოე აქედან 40 მილის დაშორებით ჰქონდათ შენახულიყ რა ექნათ? უნდა ეძებნათ. წავიდნენ და უკან კანოეთი გამობრუნდნენ. გზად ძველი ბანაკი მოინახულეს. მდინარსი პირას ისევ იდგა კარვის ჭოკები. უბრად ჩაუარეს იმ ადგილს, სადაც ღუმელში მსხდარი თახვები კინაღამ არ დაიხოცნენ. ღამე ტემისკაუატას ნაპირას გაათიეს. მეორე დღეს ძებნა განაახლეს. რამდენიმე დღის განმავლობაში ირგვლივ შემოგარენი დაათვალიერეს, დანაღვლიანებულები თითქმის არ ჭამდნენ, თავს არ ზოგავდნენ, ბეწვეულის სანახავადაც მიდიოდნენ. მაკ–ჯინისს ჰქონდა დამწვარი ცხვირი და ჭაღარა ბეწვი, მაკ–ჯინტი კი კუპრივით შავი იყო. ცოლ–ქმარს უხაროდა, როცა ბეწვები მათი თახვების არ აღმოჩნდებოდა. ირგვლივ ყველას ეკითხებოდნენ, ერთი–ორი გაჩხრიკეს კიდეც, შეიარაღებულები დადიოდნენ და ბევრიც გადაიმტერეს, მხნეობა ემატებოდათ, როცა თხილამურების კვალს წააწყდებოდნენ, ამოწმებდნენ და ხელმოცარულებს სასოწარკვეთილება იპყრობდათ, უძილობით დაქანცულები ლანდებს დაემსგავსნენ, მაგრამ ძებნას მაინც აგრძელებდნენ. ამ ძებნა ძებნაში სხვა თახვებს გადააწყდნენ, რომელთა არსებობა არავინ უწყოდა.

ანახარეო ჩამოხმა, ფერი დაკარგა, გაფითრებულს ლოყებიტ ჩაუცვივდა. ერთხელ ქმარს უთხრა:

– ნეტავ რა დავაშავეთ? რაც არ უნდა ის მოგვსვლოდა, ოღონდ ეს არა. გვეგონა, რომ სულ ჩვენთან იქნებოდნენ, მათ ხომ ვუყვარდით.

ცოლ–ქმარს თახვების პოვნის იმედი დიდხანს არ დაუკარგავთ, ღამღამობით ბანაკის გარეთ ისხდნენ და ელოდნენ, ყურს უგდებდნენ, იქნებ მათი ხმა გაეგოთ. ელოდნენ და ელოდნენ. ხეებს გარდა არაფერი ჩანდა და მხოლოდ ნაკადულის რაკრაკი ისმოდა. დადგა გაზაფხული, ხეები შეიფოთლა, თახვების ძველი ფაცხა აბალახდა, ტბორი დაშრა და დაჭაობდა.

ლეგა ბუს და ანახარეოს თახვების პოვნის იმედი სულ გადაეწურათ. ტბის პირას მათგან მხოლოდ ცარიელი კასრიღა დარჩა, ისიც ნელ–ნელა იშლებოდა და ბოლოს ფიცრებისა და დაჟანგული სალტეების გროვად იქცა.

ნაწილი II. თახვების დედოფალი

ოქროს ქვიშრობი

იმ ფრანგ მოსახლეობას, რომელთა თვალწინაც თახვების ტრაგედია მოხდა, არ ესმოდათ ინდიელების ბუნებისადმი ურთიერთობა და მათი თახვებისადმი თავდაუზოგავი სიყვარული. ისინი ინდიელებს უყურებდნენ, როგორ წარმართობის გადმონაშთებს და ლეგა ბუც, რომელსაც ამის შესახებ არაერთხელ მოესმინა, ეთანხმებოდა. იქნებ ასეც იყო. მათი ველური ბუნებისადმი მოწიწება წარმართობის გადმონაშთი იყო, მაგრამ ეს ცუდი რითია. აი, დაიკარგა ორი პაწია თახვი და მას უნდა, რომ მათი ხსოვნა ადამიანთა გულებში დარჩეს და ადამიანებმა მათ დაცვაზე იფიქრონ.

პაწია მეგობრების ამაო ძებნით გამოწვეულმა სულიერმა ტკივილმა ლეგა ბუ წყობილებიდან გამოიყვანა. დავით თეთრმა ქვამ, როცა მეგობრების მძიმე მდგომარეობა შეიტყო, საქმეს თავი დაანება და მათ დასახმარებლად გამოეშურა. მან რაღაც მოისაზრა და ახლა ტბის პირას თახვების კასრის ნამტვრევებთან იჯდა, თავს აკანტურებდა და ანახარეოს ღიმილით ეუბნებოდა:

– იცით? მეც მინდოდა თახვები მომეშინაურებინა. თურმე აქედან 25 მილის მანძილზე “შაქრის თავის” სერებს შორის თახვები ბინადრობენ.

ეს რომ ანახარეომ გაიგო, დავითს მხარი დაუჭირა და მასთან ერთად წასვლა გადაწყვიტა. მალევე გაემგზავრნენ და მართლაც “შაქრის თავებთან” თახვების ფაცხაში ოთხი თახვი აღმოჩნდა. დავითმა ორი ამოიყვანა, დედა თახვი კი დატოვა, რადგან მგზავრობას ვერ გადაიტანდა და დაიღუპებოდა.

ანახარეომ ზურგზე მოკიდებული ტომრით მოივყანა დამშეული ორი სათუთი პაწია არსება. თითოეული 100 გრამზე მეტს არ იწონიდა.

დავითი ცოლ–ქმართან კიდევ ორი კვირა დარჩა, რათა თახვები ფეხზე დაეყენებინათ. მიუხედავად მზრუნველობისა მამალი თახვი, რომელსაც “შაქრის თავი” დაარქვეს, დაიღუპა. დედალი თახვიც სულს ღაფავდა, პურს არ ჭამდა, არც შესქელებულ რძეს, ყუთში იწვა და ცხვირი კუთხისთვის მიედო. ადგილობრივი ფრანგი მოსახლეობა, რომლებსაც ინდიელების ცხოველებისადმი მიჯაჭვულობა უკვირდათ, მათ მაინც თანაუგრძნობდა და

რითაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ. ხან რას ურჩევდნენ და ხან რას. ერთმა ქალმა რძით დახმარება აღუთქვა. ქალაქში ორი ექიმი იყო და სნეული პატარა თახვი ორივემ ინახულა. თახვს ერთი ხანში შესული ირლანდიელი ქალი უვლიდა. ყოველ ორ საათში საშხეფით კვებავდა. ცოლ–ქმარიც ეხმარებოდა. ერთს თახვი ეჭირა ხელში, მეორე კი რძეს ასხამდა. მეოთხე კვების მერე პაწია თახვი მომჯობინდა, ორი დღის მერე კი ისეთი თავნებობა გამოამჟღავნა, რისი გამოისობითაც ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე სახელგანთქმული ცხოველი გახდა.

ასე პირქუშად დაიწყო დღეს უკვე თახვების დედოფლის, ეკრანის ვარსკვლავისა და საზოგადოების რჩეული ცხოველის ჯელი როლის ადამიანებთან ურთიერთობა.

პაწია ჯელი როლის გაჯანსაღების მერე დიდ ტემისკაუატზე დაბანაკდნენ, სწორედ იმ ნაკადულის შესართავთან, სადაც მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი უკანასკნელად ნახეს. მათ პოვნასა და დაბრუნებას ცოლ–ქმარი ჯერ კიდევ იმედოვნებდა და ფიქრობდა, რომ თუ თახვები ოდესმე დაბრუნდებოდნენ, დაბრუნდებოდნენ აქ. ამ წყნარ ყურეში ჯელი როლი ერთობოდა, თხრიდა, ჯოხებს ახორხლიდა ანდა კარვისკენ მიმავალ ბილიკზე აღმა–დაღმა დაცუნცულებდა.თახვი სწრაფად იზრდებოდა და როცა საკმაოდ მოღონიერდა ბოსტნეულს, შეშის ნაჭრებს და ჟურნალებს დაათრევდა, ყველაფერს, რაც მის ყურადღებას მიიქცევდა. ჯელი როლი თავისებური ხასიათით გამოირჩეოდა. მან კარავში ცხოვრება არ ინდომა და ტბორთან თავის აგებულ ერთ–ერთ ფაცხაში დაბინავდა. ადამიანებზე მიჯაჭვულ მაკ–ჯინისა და მაკ–ხინტისგან განსხვავებით ადრე დაობლებულ ჯელი როლს ადამიანები თავის საკუთრებად მიაჩნდა.

ინდიელი ცოლქ–ქმრის ცხოველებისადმი და საერთოდ ბუნებისადმი სიყვარული ქალაქის მცხოვრებლებზე უფრო და უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა და დღესასწაულებზე ჯგუფ–ჯგუფად მოცურდებოდნენ ხოლმე მათ ახლოს არყნარში. ჯელი ყველას ყურადღებით აკვირდებოდა და არავის გამოარჩევდა. ადამიანები მის დამცინავ გამომეტყველებაზე ხარხარებდნენ. მნახველთა შორის საპატიო ადამიანებიც იყვნენ. ერთი ენათმეცნიერი ლეგა ბუს ცხოვრებით დაინტერესდა და დიდ ყურადღებასა და განსაკუთრებულ სიკეთეს იჩენდა მის მიმართ.

თავდაპირველად ლეგა ბუ და ანახარეო მნახველებს ერიდებოდნენ, მაგრამ მათმა ტაქტმა და ყურადღებამ უხერხულობის გრძნობა გაუქრო და ინდიელი ცოლ–ქმარი თეთრკანიანებს ნელ–ნელა შეეჩვია. დავით თეთრი ქვა თავის საქმეს ხშირად თავს ანებებდა,

რათა მეგობრებს დახმარებოდა. ამის გამო სამუშაო დაკარგა და ახალიც ვეღარ იშოვა. ლეგა ბუმ და ანახარეომ დავითი დიდი სიხარულით მიიღეს ოჯახში და ისინი ყველაფერს თანაბრად იყოფდნენ.

ჰონორარი მეორე ნარკვევისთვისაც მიიღეს. ვალები გაისტუმრეს და სურსათიც მოიმარაგეს. დავითი ახლომდებარე ტყეებში ნადირობდა და თევზაობდა. ასე დამოუკიდებლად არსებობდა ეს ოჯახი და ასე დიდხანს იცხოვრებდნენ, რომ არა ჩრდილოეთის მონატრება, წარსულის მოგონებები და სამომავლო გეგმები, მაგრამ ლეგა ბუს თახვების კოლონიის დაარსება აქ შესაძლებლად მიაჩნდა. დავითი კი თავის ოქროს ქვიშრობებზე წუხდა. მოხუც დავითს ოქრო სჭირდებოდა, რათა სიბერეში მშვიდად ეცხოვრა. ანახარეოც ოქროსმაძიებლის შთამომავალი იყო. ლეგა ბუს ნაკრძალის დასაარსებლად სახსრები სჭირდებოდა, ოქროს საბადოზე გასამგზავრებლად კი ფული არ ჰყოფნიდათ. ივლისი იდგა და შემოდგომამდე საზამთროდ სურსათი უნდა მოემარაგებინათ და სამ კაცზე ხარჯი გაეთვალისწინებინათ. ოქროს საბადომდე რთული, 200 მილის გზა ედოთ და დატვირთული კანოეთი უამრავი საჭაპანო ბილიკი უნდა გადაელახათ. ოქროშემცველი ნაკვეთი დავითს ეკუთვნოდა და ლეგა ბუ ცარიელი ხელით რომ არ შეამხანაგებულიყო, გადაწყვიტა ფული გამოემუშავებინა, ამიტომ ჯელის ყურადღებით აკვირდებოდა. მალე ჯელიზე მოთხრობები დაწერა და ნარკვევი ბუნების შესახებ. ლეგა ბუმ თავისი ნაწერები ინგლისურ ენის მცოდნეებს წაუკითხა. ისინი კმაყოფილები დარჩნენ. ერთმა საჯარო ლექციების წაკითხვა შესთავაზა, მაგრამ ლეგა ბუმ ფრანგული არ იცოდა, უახლოესი ინგლისურენოვანი სააგარაკო დაბა მეტისბიჩო კი მდინარე წმ. ლავრენტის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობდა. ლეგა ბუს ეშორა, თუმცა გადაწყვიტა ბედი ეცადა და თავისი გამოცდილება სხვებისთვისაც გაეზიარებინა. და აი, ბევრი არ უფიქრია, თავისი საქმე დავითს ჩააბარა და ანახარეოსთან და ჯელისთან ერთად მეტის–ბიჩოსკენ მატარებლით გაემგზავრა.

ჩვენი ინდიელი ცოლ–ქმარი ადგილზე ჯიბეცარიელნი ჩავიდნენ, მხოლოდ 1 დოლარი და 69 ცენტი ჰქონდათ. ლექციების წასაკითხად ხარჯიც უნდა გაეწიათ: განცხადებები, ორგანიზატორის გასამრჯელოც. წინააღმდეგობაც შეხვდათ. ბანაკის მოსაწყობად ნებართვა სჭირდებოდათ. საბედნიეროდ ერთმა ფრანგმანება დართო, რომ თავის კუთვნილ მიწაზე დაბანაკებულიყვნენ. ახალი სირთულეც წამოიჭრა. თურმე ლექციის წაკითხვამდე რეკლამა

იყო საჭირო, რაც ინდიელ ცოლ–ქმარს მიუღებლად მიაჩნდა. ყუთში დამწყვდეული ჯელი კი აქეთ–იქით აწყდებოდა და ყვიროდა.

ასე გაიარა ორმა კვირამ. ლექციაზე აღარც ფიქრობდნენ. ცოლ–ქმარი კარვიდან არ გამოდიოდა, ჯელის ოკეანის მარილიან წყალში ვერ გაუშვებდნენ, სურსათიც უთავდებოდათ. მოიფიქრეს, რომ კობანოში მოკეთე მედუქნისთვის დეპეშა დაეგზავნათ, რათა მათთვის უკან დასაბრუნებელი ბილეთის ფული გამოეგზავნა, მაგრამ ლეგა ბუმ ცდუნებას გაუძლო, ტყეში განმარტოვდა და ლექციის ტექსტი დაწერა.

ამასობაში ინდიელთა ჩამოსვლა დაბაში ყველამ გაიგო. ერთ–ერთმა პირველმა გადმოსახლებულმა ცოლ–ქმარს ისეთი ადგილი გამოუყო, სადაც პატარა ტბორი იყო. აქ ჯელი ძველებურად გამოცოცხლდა. დაბაში ცნობილი და დაფასებული ქალბატონი ლეგა ბუს გეგმებით დაინტერესდა, მისი ლექციის ტექსტი წაიკითხა და ძალიან მოეწონა. ამ ქალბატონმა ცოლ–ქმარს ხელი შეუწყო და მათი მდივნობა, ორგანიზატორობა და ხაზინდარობაც ითავა. მისი ვაჟები და მეგობრები ბილეთებს ყიდდნენ, თვითონ კი პლაკატები დახატა. ლექციის წასაკითხად საცეკვაო დარბაზი შეარჩიეს. კეთილმა ქალბატონმა დაარიგა კიდეც თუ ლექცია როგორ უნდა წაეკითხა.

დანიშნულ საღამოს ჩვენი ინდიელი ცოლ–ქმარი მორიდებით შევიდა დარბაზის უკანა შესასვლელიდან. ისინი გამოძახების მოლოდინში დარბაზის უკან ოთახში ისხდნენ და ჯელიზე წუხდნენ. იქნებ რძე დაღვარა, იქნებ ავტომობილმა გადაუარა. ბოლოსდაბოლოს ლექტორი გამოიძახეს შემდგომში ამის გახსენებისას, ლეგა ბუ თავის სიცოცხლეში ერთ–ერთ უმამაცეს საქციელად თვლიდა. ანახარეო კი უკან მიჰყვებოდა, ქმარი რომ გაემხნევებინა.

როცა ლეგა ბუ მისკენ მაცქერალი რამდენიმე ასეული მაყურებლის წინაშე აღმოჩნდა, როგორც შემდგომ იხსენებდა, ტანში სიცივემ დაუარა, თითქოს ყინულის ლოლუა გადაყლაპა.

შესავალი სიტყვა მათმა მოკეთე ქალბატონმა წარმოთქვა. დარბაზში ტაში გაისმა. ახლა კი ლეგა ბუს რიგი დადგა. აი, რას იხსენებდა შემდგომ: “მე დარბაზის პირველ რიგში კეთილშობილ, სათნო სახეს ვუცქერდი. ჩემს ლაპარაკზე ხალხი აჩურჩულდა, ერთმანეთს უყურებდნენ და თავს უქნევდნენ. ჩანს დაინტერესდნენ. გავმხნევდი და თემა ბოლომდე განვიხილე. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ტაშმა იქუხა. თავბრუ დამესხა!”

ამას შემდეგ ლექციები მოჰყვა. ლეგა ბუს სხვა დარბაზებშიც იწვევდნენ, სასტუმროებშიც. ანახარეო ყოველთვის თან ახლდა და თავი უკვე მშვიდად და თავისუფლად ეჭირა. ზოგ მსმენელს შვილებიც მოჰყავდა, რათა ინდიელების ტყეიური ცხოვრების შესახებ მოესმინათ. მათმა ნაამბობმა უკვალოდ არ ჩაიარა. ანახარეო ყვებოდა ოროკეზების ტომისა და ნინო–ბაჯოს შესახებ, ლეგა ბუ ყურადღებას ამახვილებდა ადამიანების სათნო მზრუნველობაზე ტყის ცხოველების მიმართ. ერთხელ, ლექციის შემდეგ ერთმა, ასე ცამეტი წლის ყმაწვილმა ჰკითხა:

– როდესმე ვინმე მოგიკლავთ?

– არა!

– როდესმე სკალპი აგიძვრიათ?

– არა!

ლექციებს ყოველთვის ესწრებოდა ჯელი. ცოტა იყო თუ ბევრი, ფულს უხდიდნენ და ბანკში მიმდინარე ანგარიში გახსნეს.

ინდიელი ცოლ–ქმრის ბანაკს ბავშვები ხშირად სტუმრობდნენ და ჯელი ყველაზე სახელგანთქმული გახდა მეტის–ბიჩოში.

შინდაბრუნებულ ცოლ–ქმარს დავითი სიხარულით შეხვდა, დიდხანს ვერ იჯერებდა ლეგა ბუს წარმატებას, მაგრამ ხომ უნდა დაეჯერებინა საბანკო ანგარიში და ორი ბილეთი აბიტიბიმდე, რომელიც კეთილმა პოლკოვნიკმა უყიდა. მარტო დავითი კი არა,თვით ლეგა ბუც ვერ აცნობიერებდა, რომ უკვე შეეძლო თავისი გეგმების განხორციელება, ველურ ჩრდილოეთში დაბრუნებულიყვნენ და ეს გაჩანაგებული, გაუკაცრიელებული ტყეები და სევდიანი მოგონებები დაეტოვებინათ.

ცოტა დრო რჩებოდა, შორი გზა ედოთ. მეორე დღეს აიყარნენ და ჩვენმა ოქროსმაძიებლებმა სადგურისკენ გასწიეს. დატვირთული კანოე სატვირთო ვაგონში მოათავსეს, ყუთში ჩასმული ჯელი კი სამგზავროში.

სადგურში, მატარებლის მოლოდინში ლეგა ბუ დიდხანს, დიდხანს უმზერდა ტემისკაუატას, ჩამუქებულ სპილოს მთას ადა ტულეიდის ტბას. მისი ფიქრი დაკარგულ თახვებს დასტრიალებდა. იქნებ აქვე ახლოს გრანიტის კლდეებს უკან ფიჭვნარში ბინადრობდნენ. მათთან ხომ ყველაზე გულითადი აკავშირებდა. ახლა ის ოცნებობდა კლდეებს იქეთ ყოფილიყო, ეწერა და თავისი პაწია მეგობრები ეძებნა, ვიდრე ოქრო მოეპოვებინა. ლეგა ბუს ეს საქმე არასდროს ეხალისებოდა, ანახარეოს კი პირიქით. ის ხომ

ოქროსმაძიებლის ქალიშვილი იყო, მაგრამ თახვებზე ფიქრი მასაც არ ასვენებდა. იქნებ კლდეებს იქეთ ბინადრობდნენ მისთვის ძვირფასი და საყვარელი ცხოველები.

– უნდა წავიდე. – უთხრა ანახარეომ.

– მართალი ხარ, ერთი ჩვენთაგანი უნდა დარჩეს. მე დავრჩები. – მიუგო ქმარმა და საგულდაგულოდ შეხვეული თოფი ხელში აიღო.

ლეგა ბუ თავის გადაწყვეტილებას არასოდეს იცვლიდა, რომელი ოქროსმაძიებელი ის იყო, ხელისაც არ უყვარდა მატარებლით მგზავრობა.

ასე რომ ჯელი და ლეგა ბუ მატარებლიდან ჩამოვიდნენ. აიღო კარავი, ცოტა სურსათი, პირადი ნივთები და თავის ძველ მეგობარ კანოეს დაემშვიდობა.

ლეგა ბუს კარგად ესმოდა თუ როგორ ძალიან უნდოდათ წასვლა ოქროსმაძიებლებს, დავითს თვალებში მღელვარება ეტყობოდა.

– ბებერო, მასზე იზრუნე! – უთხრა ლეგა ბუმ დავითს.

– ვიზრუნებ.

დავითმა ლეგა ბუს ხელზე მოუჭირა,ვაგონის კიბეს დაეწია და დაუძახა:

– ოქროთი სავსე ტომრით დავბრუნდებით! მერე კი ინდიელთა ჩვეულებით შორიდან შეეხმიანა:

– ხეი–ეი–ეი–ნა!

მატარებელი სიჩქარეს უმატებდა. ლეგა ბუ დაძაბული უცქერდა ორ, ქარისგან თმაგაწეწილ ინდიელს, რომლებიც ხელს უქნევდნენ და სულ უფრო პატარავდებოდნენ, სანამ მატარებელმა არ შეუხვია და თვალს არ მიეფარა. მაშინ ლეგა ბუმ თავისი ტვირთი ფურგონზე დააწყო, ჯელის ხელი მაგრად მოხვია და უკან, ტულეიდის ტბისკენ გზას დაადგა.

დედოფალთან ერთად გატარებული ზამთარი

თურმე იოლი არ ყოფილა მარტოობა. წავიდა ერთგული და შეუპოვარი ანახარეო. რამდენი რამ გადაიტანა მასთან ერთად. დავითიც, მისი შეშფოთებული თვალები გამოთხოვებისას. ლეგა ბუ დანაღვლიანდა.

ინდიელები ნივთებს ისევე ძლიერ ეჩვევიან, როგორც ადამიანებს. ოცდახუთი წლის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით სამხედრო სამსახურს, ლეგა ბუ პირველად დარჩა კანოეს გარეშე და ახლა ის თავს ისე გრძნობდა, როგორც მხედარი უცხენოდ. ეს კანოე მრავალი დამქანცველი მოგზაურობისას ერთგული თანამგზავრი იყო და როგორც სულიერს, ისე უყურებდა. ეამაყებოდა კიდეც დავითს რომ აჩუქა და დავითსაც ეამაყებოდა, რომ იჩუქა... მაგრამ მაინც, როცა კანოეს გახეხილ ადგილს უკანასკნელად შეეხო, სადაც ნიჩბები იყო დამაგრებული, ლეგა ბუს ისეთი მღელვარება დაეუფლა, როგორიც იმ კაპიტანს, რომელიც თავისი საყვარელი ხომალდის ჩაძირვას უცქერდა. თავს იმით იმშვიდებდა, რომ კანოე საიმედო ხელში იყო და ღირსეულ საქმეშიც გამოადგებოდათ. ანახარეოს წარმატებაც მის ხელში იყო, ვინ იცის, რა ხიფათს გადაეყრებოდა. ისინი თითქმის ლაბრადორამდე მიდიოდნენ. მკაცრი ყინვა და ქარიშხალი ნებისმიერს შეაშინებდა, მაგრამ არა ანახარეოს, თავისი ხალხის ღირსეულ ასულს. ამ მხრივ ლეგა ბუ არ შიშობდა.

მაგრამ ახლა თავის სიცოცხლეში პირველად მარტოდ დარჩა და ერთადერთი მხიარული და თავშესაქცევი ამხანაგი პაწია თახვი ჯელი ჰყავდა. მას უკვე შესანიშნავი ფაფუკი, მუქი, მბზინავი ბეწვი ჰქონდა, რომელსაც ანახარეო ყოველდღე უვარცხნიდა.

საზამთროდ თადარიგი უნდა დაეჭირა. ადგილობრივი მცხოვრებლების მითითებით სპილოს მთიდან 5 მილის მანძილზე მომცრო ტბის პირას კარგად შენახული ბანაკი ნახა. მისკენ მიმავალი გზა ტყეზე, მეტწილად ჭაობზე გადიოდა. სურსათის მარაგის გადასატანად საზიდარი იქირავა, თვითონ კი ფეხით გაუდგა გზას. ზურგზე მოკიდებულ ტომარაში ჯელი იჯდა. თახვს თავი და თათები ტომრიდან ამოეყო და ირგვლივ მიდამოს აკვირდებოდა.

ლეგა ბუ ახალ ცხოვრებას იწყებდა. პატრონის ზურგზე მოკიდებულ ტომარაში ჩასმული ჯელი ანცობდა, ბურტყუნებდა და ლეგა ბუს თმას უწეწავდა. ის სულ ვერ

იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო და ეს პაწია თახვი სახელგანთქმული ცხოველი გახდებოდა და მასაც სახელს გაუთქვამდა. მათი ერთად ცხოვრების პირველმა ხუთმა თვემ ფაციფუცში გაიარა. სხვადასხვანაირ ყუთში ჩასმული დაჰყავდათ მატარებლით, ფურგონებით. ის ხომ ლექციების მთავარი მონაწილე იყო. ერთხელ, ორი დღის განმავლობაში საჯინიბოში ჰყავდათ და საჭყუპალაოდ წყლით სავსე თასი ედგა. ახლა კი ტომარაში ჩასმული "აქტრისა" ლეგა ბუს თმებს უწეწავდა. მაღალ მთებს შორის მდებარე ღრმა ტბას მალე მიაღწიეს. აქ ჯელი თავისუფლად იჭყუმპალავებდა, თიხაც ბლომად იყო, ფაცხასაც აიშენებდა. თავდაპირველად ჯელი გრძელ სოროში იძინებდა, სადაც ადრე თახვების სხვა ოჯახი ბინადრობდა. მზის ჩასვლის მერე ნახევარი მილის დაშორებით მდებარე ქოოხში ბრუნდებოდა და კარზე დააფხაჭუნებდა, რომ გაეღოთ. ღამით პატრონის ლოგინზე აძვრებოდა და მის გვერდით იძინებდა.

ერთხელ ლეგა ბუს ხელში სპორტული ჟურნალი ჩაუვარდა. ჟურნალი მთლიანად ბუნების დაცვას ეძღვნებოდა და მასში გამოქვეყნებული იყო მისი ძველი ნაცნობის სტატია. ეს ავტორი თეორეტიკოსი გახლდათ, სხვის გამოცდილებას ეყრდნობოდა და ბევრი რამ მცდარად ჰქონდა წარმოდგენილი. მის შეცდომებზე ლეგა ბუმ სტატია დაწერა და ამავე ჟურნალს გაუგზავნა. ადრე ეს ჟურნალი "კანადის ტყის ასოციაციის" ორგანო იყო. სულ მალე ლეგა ბუ ამ ასოციაციის წევრი გახდა. ეს იყო მშობლიურ პრესაში მისი პირველი გამოჩენა და მას მერე ამ ჟურნალთან ყოველთვის თანამშრომლობდა.

ის ინგლისური ჟურნალი კი, სადაც ლეგა ბუს ორი ნარკვევი დაიბეჭდა, არ ივიწყებდა და წიგნრის დაწერა შესთავაზა. აი რას წერდა ამის შესახებ ლეგა ბუ: "დავთანხმდი, მაგრამ ვერ წარმომედგინადა გადაულახავ სიძნელედ მიმაჩნდა, თუ როგორ უნდა აღმეწერა რომელიმე ამბავი, სადაც არა მარტო შემსწრე, არამედ მონაწილეც ვიყავი. მხოლოდ მესამე პირში შემეძლო გადმომეცა და "მე"–ს მაგივრად დამეწერა "ერთმა". გადავწყვიტე, რომ ჩემი ცხოვრება კი არ მომეთხრო, არამედ ნარკვევების სერია დამეწერა ჩრდილოეთზე.

ლეგა ბუს მრავალჯერ შესთავაზეს ჯელი როლის გაყიდვა. ყველას უარს ეუბნებოდა, რადგან არსებობენ ისეთი საგნები, რომლებიც არ იყიდებოდა. მას თავის საყვარელ ცხოველს არანაირი ფული ვერ დააშორებდა. უახლოეს სოფელ ნოტრ–დამ–დიუ–ლაკში ცხოვრობდა ერთი კაცი. მან ლეგა ბუ ჯელისთან ერთად მიიწვია. ეს კაცი კუზიანი იყო და ცხოველებს წვრთნიდა, ცირკის მაგვარი ჰქონდა და ამით არსებობდა. ამ კაცს ძაღლები ჰყავდა. ზოგი ცეკვავდა, ერთი გაჭიმულ ბაგირზეც დადიოდა. ჰყავდა ასევე მოზრდილი

დათვი, რომელიც არღანს უკრავდა და სამთვლიან ველოსიპედს ატარებდა. დათვი მხარზე თოფსაც იკიდებდა და პისტოლეტის გასროლის ხმაზე წაიქცეოდა და თავს მოიმკვდარუნებდა, პატრონის ბრძანებაზე კი წამოხტებოდა ხოლმე. ყველა ცხოველი, ძაღლები და დათვიც გრამოფონის ხმაზე ცეკვავდა, მათთან ერთად კუზიანიც ცეკვავდა. ამ კაცს "ნოტრ–დამელი კუზიანის" მეტსახელით იცნობდნენ და ბევრს უცნაურ ადამიანად მიაჩნდა. ლეგა ბუმ, როცა ეს კაცი ახლოს გაიცნო, სათნო და კეთილი ადამიანი აღმოჩნდა. ის ცხოველებს სიკეთითა და მოთმინებით ექცეოდა და ჩუმი, ძლივს გასაგონი, იდუმალი ხმით ეხმიანებოდა. ისიც ბრმად კი არ ემორჩილებოდნენ, თანამშრომლობდნენ მასთან. მალე ეს კაცი გარდაიცვალა და მისი ვარაუდი გამართლდა. სამხეცე დაშალეს, დათვი თავისუფლად გაუშვეს, მაგრამ ცხოველი ტყეს ვერ შეეგუა და მიუხედავად იმისა, რომ აგდებდნენ, ისევ ძველ სახლში ბრუნდებოდა, სანამ ერთმა მშიშარა გლეხმა არ მოკლა.

ბოლოსდაბოლოს ანახარეომ წერილი გამოუგზავნა. ის წერდა, რომ უიმისოდ მოიწყინა და რკინიგზიდან ჩრდილოეთით 200 მილის მანძილზე მდებარე ტბა ჩიბაუგამაუზე დატვირთული კანოეთი უნდა გაეცურა. ქალაქ ქვებექში აი თურმე რა შეემთხვათ. როგორც ანახარეომ მოსწერა დავითი ტავერნიდან აღარ დაბრუნებულა. ორი დღის ლოდინის მერე გადაწყვიტა მოეძებნა. დავითს ყველა იცნობდა და ყველა ლუდხანაში მოიკითხა. როცა ის უკანასკნელად ნახეს, კარგად შეზარხოშებული იყო. დავითი მორწმუნე იყო და ანახარეომ ტაძრებშიც ეძება, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო, არც საპოლიციო უბანში სმენოდათ რამე. ბოლოს რკინიგზის სადგურში მიაგნო მშიერსა და დაქანცულს. დავითს თურმე ჰგონებია, რომ მატარებელზე დააგვიანდა, ანახარეო უიმისოდ გაემგზავრა და პირველსავე მატარებელს გაჰყვა უბილეთოდ, უფულოდ და უტვირთოდ. მატარებელმა 60 მილზე მეტი გაიარა, თანაც არა მათთვის არჩეული მიმართულებით. როცა დავითი თავის შეცდომას მიხვდა, მატარებლიდან ისკუპა და დიდი ვაივაგლახით უკან დაბრუნდა. ეს რომ ლეგა ბუმ წაიკითხა, ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ წერილიდანვე შეიტყო, რომ ისინი უკვე ტყეში, კანოეში ისხდნენ და დამშვიდდა.

დაიწყო ნადირობის სეზონი და ტყე მონადირეებით გაივსო. ლეგა ბუ აფორიაქდა, ღამეების განმავლობაში ჯელის ფაცხის ირგვლივ დარაჯობდა, ხანდახან იქვე ახლოს იძინებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მონადირეები მის ჯელის არ მოკლავდნენ, მაგრამ უნდა გაფრთხილებულიყო, რადგან გამონაკლისი ყოველთვის გამოერეოდა.

და აი, ამ ერთი გამონაკლისის გამო ჯელის ფაცხასთან უნდა დაეძინა. ერთმა მონადირემ, რომელიც როგორც აქაური ძველი მცხოვრები, ამ ადგილს იჩემებდა, თავისი კანოე მისცა და მიდამოს გეგმაც დაუხაზა.

გაიარა ნადირობის სეზონმა, ტყეები გაუკაცრიელდა. ჯელი და ლეგა ბუ ზამთრისთვის თავისებურად ემზადებოდნენ. ტბიდან გამომავალი ნაკადული, რის სიახლოვესაც ქოხი იდგა, ტორფის ჭაობებზე გაედინებოდა. შემოგარენში მდგარ კარელიურ არყის ხეებს ლეგა ბუ შეშისთვის ჭრიდა. ჯელიმაც ამოირჩია ადგილი საცხოვრებლისთვის. მან ნაკადულთან დაიდო ბინა. ეს ნაკადული მთიდან ტყიან ხრამში მიედინებოდა. აქ ჯელიმ ხავსისა და ტოტებისგან მთელი "ციხე–სიმაგრე" ააგო. შიგნით ბურბუშელისგან მშრალი საწოლი მოიწყო და ცოტაოდენი საკვებიც მოიმარაგა, მაგრამ მისთვის მარტოობა მოსაწყენი იყო და ქვემოთ ბანაკში ჩამოდიოდა და პატრონთან საათობით რჩებოდა. როცა თოვდა, თვით ლეგა ბუ ესტუმრებოდა ხოლმე. თახვი პატრონის ფეხის ხმას შორიდანვე სცნობდა და ჭყივილით ეგებებოდა. ასე, ერთმანეთის მონახულებით ცხოველი და ადამიანი უჩვეულოდ დაუახლოვდა ერთმანეთს. ლეგა ბუ საათობით იჯდა და ჯელის საქმიანობას აკვირდებოდა, ხანდახან ეხმარებოდა კიდეც. როცა ტბას ყინული გადაეკრა, ჯელი აღარ სტუმრობდა. ლეგა ბუს ხშირად წამოუყვანია ზურგზე მოკიდებული ყუთით. როგორც ჩანს ასეთი მგზავრობისას თახვი არ წუხდებოდა და მთელი გზა პატრონს ეხმიანებოდა. უკან, შინ თახვი ყინულის ქერქის ქვეშ საიდუმლო გზით ბრუნდებოდა. ამ დროს ლეგა ბუ ნაპირ–ნაპირ ელექტროფანრით აცილებდა და შინ მაშინ ბრუნდებოდა, როცა თახვს თავისფაცხაში დაიგულებდა. ჯელის ფაცხამდე ნახევარ მილზე მეტი მანძილი იყო და ყინულის ქვეშ ამის გადალახვას თახვი დიდი მოხერხებით თუ შეძლებდა. ჯელი ცხვირს ონდატრების სოროში ჰყოფდა, ჰაერს ჩაისუნთქავდა და ცურვას აგრძელებდა. ერთხელ ლეგა ბუმ ჯელი რომ გააცილა, თავის ქოხში დაბრუნდა, დილით რომ გაიღვიძა, კარი გაღებული დახვდა. თურმე თახვს მის გვერდით ერთ ბაილიშზე ეძინა. ამის მერე ჯელი თავის ფაცხაში აღარ წასულა და გამოსაზამთრებლად პატრონთან დარჩა. ლეგა ბუმ მისთვის მოთუთიებული ავზი იყიდა და იატაკში ჩადგა, კედელთან სორო ამოთხარა, მაგრამ ეს ბინა ჯელის არ მოეწონა და ლეგა ბუმ ტომრითა და ირმის ტყავით დაგმანა. შემდგომში ჯელიმ ქოხის კუთხიდან გრხძელი გვირაბი გათხარა. მიწა ქოხში შემოჰქონდა და იატაკზე ბლინებივით უსვამდა. ავზამდე ბილიკი და სათამაშოდ მოედანი დატკეპნა. როცა დაინახა, რომ პატრონი მის გამოტანილ მიწას აღარ იღებდა, დაწყნარდა და ქოხს ძირს

აღარ უთხრიდა, ღამღამობით კი შეშის ყუთიდან მაგიდაზე და ფანჯარაზე ძვრებოდა. მისი ყურადღება კარის ქვედა ნაწილმა მიიპყრო, საიდანაც ქარი უბერავდა და თახვიც, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ჩურთნიდა, განსაკუთრებით საბნით. პატრონი ტუქსავდა, მაგრამ ეს დიხან ვერ აჩერებდა. როცა ლეგა ბუ მოთმინებიდან გამოვიდა, გადაწყვიტა ჯელი დაესაჯა. თახვმა თითქოს იგრძნო, უკანა თათებზე დადგა, პატრონს პირდაპირ თვალებში შეხედა, აგზნებული ებურტყუნებოდა და თათებს ზურგზე უტყაპუნებდა, მაგრამ არასდროს კბენდა. როცა პატრონი გაუწყრებოდა, ყოველთვის თავის ყუთში ძვრებოდა, თავს მუხლებზე დაადებდა, მიაშტერდებოდა და ებურტყუნებოდა. პატრონიც ყოველთვის პატიობდა. როცა ლეგა ბუ ღუმელთან ახლოს ირმის ტყავზე იჯდა, ჯელი მივიდოდა, მუხლებზე თავს დაადებდა, პატრონს თვალს არ აცილებდა და თავისებურად თითქოს მღეროდა. ას ხდებოდა ყოველდღე. ლეგა ბუც დარბაისლურად უსმენდა და მისი მელოდიური ხმა ფრიად უცნაურად ეჩვენებოდა.

მთელი ზამთრის განმავლობაში ადამიანი და ცხოველი დამეგობრდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ორივენი მარტოხელები იყვნენ. ბანაკი, ლეგა ბუც თახვის საკუთარ სამყაროს შეადგენდა. ის ადამიანს როგორც დიდ თახვს ისე უყურებდა.

ლეგა ბუ ჯელის ხშირად ტოვებდა და ორი დღით მიდიოდა ხოლმე სურსათითვის. დაბრუნებისას თახვი შეეგებებოდა, პატრონი დაიხრებოდა და ჰკითხავდა, თუ როგორ იყო მის არყოფნაში. ხელიც დაჯდებოდა და თავს წინ და უკან აკანტურებდა, ზურგზე კოტრიალობდა, პატრონის ირგვლივ დარბოდა. როცა ლეგა ბუ სურსათს ამოალაგებდა, უმალ თავის სანუკვარ ვაშლებს მოძებნიდა, რამდენსაც შეძლებდა პირით და თათებით დაიჭერდა და წყლით სავსე ავზში ჩაყრიდა, ერთს კი შეჭამდა.

ჯელი ავზში ხშირად არ ჩადიოდა, მაგრამ როცა წყლიდან ამოვიდოდა, ყოველთვის ერთ ამოჩემებულ ადგილას ჯდებოდა და წინა თათებით ბეწვიდან წყალს იწურავდა. ჯელის ჩამონაწური წყლიდან წარმოქმნილი გუბე არ სიამოვნებდა, ამიტომ არყის ხის ქერქზე ჯდებოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ლოგინი ჯობდა, რადგან საბანი წყალს იშრობდა. ბოლოს ლეგა ბუს ძალისხმევით იატაკზე არყის ხის ქერქებს აფენდა, ზემოდან კედლების მორებიდან მოგლეჯილ ხავსს დააფენდა. თახვს სოროდან გამოჰქონდა საგები წკნელები, ტომრის ნაგლეჯები და გასაშრობად იატაკზე ალაგებდა. გარკვეული დროის მერე, როცა ცხოველი ჩათვლიდა რომ უკვე გაშრა, ისევ თავის სოროში მიჰქონდა.

თახვის ქცევა ლეგა ბუს საყურადღებოდ მიაჩნდა, განსაკუთრებით საგების განიავება, რადგან ბუნებრივ პირობებში საგებს იცვლიან. ჭამის მერე ჯელი თეფშს წაართმევდა და კედელზე მიაყუდებდა, ტოტებს და ნატეხებს აგროვებდა და კედელთან ალაგებდა. ლეგა ბუს აზრით ასეთი ქცევები ყველა თახვისთვის დამახასიათებელია და განპირობებულია მათი სისუფთავისადმი მიდრეკილებით.

ჯელი საკვებად მოტანილ ტოტებს წყლის სიახლოვეს კოხტად ალაგებდა. თახვი ვერ იტანდა იატაკზე დაყრას და იატაკზე დაყრილს ფანჯრის ქვეშ ალაგებდა, მაგრამ მას წინდები, მოკასინები, სარეცხი დაფა და ცოცხიც მიჰქონდა. ცოცხს შეექცეოდა კიდეც. მისი კნაწაკნუწის ხმა გაფუჭებული საკერავი მანქანის ხმას მიაგავდა, პატრონი კი ახალ ცოცხს ყიდულობდა.

ჯელი ძილშიც ეხმიანებოდა პატრონს. ხმას ხან აუწევდა, ხან დაუწევდა, თითქოს მართლა ელაპარაკებოდა. იქნებ ძილში ადამიანის ხმა ესმოდა და ისიც თავისებურად ეხმიანებოდა.

ლეგა ბუ წყლის ავზის ასავსებად ხუთჯერ მიდიოდა და ჯელისთვის წყლის დგაფუნი წყლის გამოცვლას მიანიშნებდა. თახვი სოროდან გამოვიდოდა, კარს ამოწმებდა, მჭიდროდ იყო თუ არა დაკეტილი, უბერავდა თუ არა. მას ყველაზე მეტად აკრძალულის გაკეთება სიამოვნებდა. როგორც კი ლეგა ბუ ქოხს მიუახლოვდებოდა, ჯელი იმალებოდა. მას მის სიახლოვეს დალაგებული ნივთები თავის საკუთრებად მიაჩნდა და ამიტომ ერთ ადგილას აახორავებდა, თუმცა ცეცხლის საჩხრეკს, თუნუქის ქილას, ხაფანგს განსაზღვრულ ადგილებში ალაგებდა და თუ პატრონი ადგილს შეუცვლიდა, ისევ თავის ადგილას მიჰქონდა. რამდენჯერაც აიღებდნენ, იმდენჯერ უკან აბრუნებდა. თახვი ისეთი გატაცებით იღვწოდა, რომ სხვა დანარჩენი ავიწყდებოდა და მხოლოდ ჭამის დროს ისვენებდა ანდა მაშინ, როცა ბეწვს ივარცხნიდა.

თახვის ქცევაში მაიმუნის ანცობა ბავშვურ ჭირველობასთან იყო შერწყმული და მისი შეგებებაა დაქანცული ლეგა ბუს ძალიან ახალისებდა. თავნება თახვი მისთვის ბუნებრივ და დამახასიათებელ ინსტიქტებს ამჟღავნებდა, რაც საკუთარი ხელით საცხოვრებლის ამშენებელი ცხოველებისთვის იყო დამახასიათებელი. უეჭველია, რომ მონადირის მთელ ბანაკს თავის საკუთრებად თვლიდა და თუნდაც მის სანახავად შორიდან მოსულს, ყველას არ იკარებდა, საგულდაგულოდ აკვირდებოდა, მერე კი ზოგს შეუშვებდა, მაგრამ თუ ვინმე თვალში არ მოუვიდოდა. უკანა თათებზე დადგებოდა და გააგდებდა. მისი ეს ქცევა

მნახველებს აოცებდა და ამის გამო ზოგი დიასახლისს, ზოგი ტბის ქალბატონს და ზოგიც დედოფალს ეძახდა.

თახვების დედოფალმა ლეგა ბუს ცხოვრება შეცვალა, გაახალისა. მონადირე განმარტოებულად ცხოვრობდა და ადამიანებს იშვიათად ხვდებოდა. სანამ თავის ბედს ანახარეოს დაუკავშირებდა, მისთვის ახლობელი იყო თავისი კანოე, წყვილი მსუბუქი თხილამური, კარგად ალესილი ცული, ტვირთის საზიდი სხვადასხვანაირი ქამრები და საფანტიანი თოფი, რომელთაც როგორც სულიერს ისე უყურებდა. მათზე იყო დამოკიდებული მისი კეთილდღეობა. ანახარეოს გამგზავრების მერე ლეგა ბუ ახლიდან უნდა შეგუებოდა მარტოობას და თავისი ნივთებისადმი სულიერ დამოკიდებულებას, მაგრამ მათი ადგილი პატრონის გულში თახვების დედოფალმა დაიკავა. ტყის ამ არსებას პატრონის ესმოდა, ელაპარაკებოდა, უხმობდა. გულღია, მოშინაურებულმა, ანცმა, მშრომელმა, აზრიანმა თახვმა ლეგა ბუს მარტოობა შეუმსუბუქა. ამას ადამიანი თუ შეძლებდა. ძაღლი, მიუხედავად პატრონისადმი ერთგულებისა და მოჯაჭვულობისა, უფრო მორჩილი და დამყოლია. თავნება ჯელი კი ადამიანივით იქცეოდა: ქოხს იშენებდა, საკვებს იმარაგებდა, ფიქრობდა და საკუთარ მიზნებს ახორციელებდა. ადამიანი თვისტომად მიაჩნდა. ლეგა ბუც, თავის მხრივ თავს არ ამეტებდა, ხელს არ უშლიდა, გარდა დამანგრეველი საქმიანობისა.

ლეგა ბუს თახვი სხვა გარეულ ცხოველებთან შედარებით უფრო განვითარებულად მიაჩნდა, რადგან ადამიანის თანაგრძნობა შეეძლო და თავის საცხოვრებელში სისუფთავეს და წესრიგს ინარჩუნებდა.

მალე თოვლის საფარს სისქე მოემატა და თხილამურებით სიარული გაადვილდა. ლეგა ბუმ გადაწყვიტა თავისი დაკარგული თახვები სხვადასხვა მხარეს მოეძებნა. იქნებ ცოცხლები იყვნენ, იქნებ არა. მონადირისთვის თოვლის ქვეშაც იოლი მისაგნებია თახვების ფაცხა, ამიტომ გადაწყვიტა თახვების ფაცხები ეპოვა, ზაფხულში კი მათი ბინადრები ენახა. მალე ლეგა ბუმ თავისი ქოხიდან რამდენიმე მილის მანძილზე თახვების სამ ოჯახს მიაგნო, რამაც დიდად არ აღაფრთოვანა, რადგან იმ ქვეყანაში, სადაც ცხოველებს არ ინდობდნენ, ნაკრძალის დაარსება წარმოუდგენლად და შწეუძლებლად მიაჩნდა. მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი შეიძლება თახვების რომელიმე ოჯახს შეკედლებოდნენ, მაგრამ ამას ზაფხულამდე ვერ დაადგენდა.

ლეგა ბუ წიგნის დაწერაზეც ფიქრობდა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რომ უამრავი, სხვადასხვა ამბავი ერთ წიგნში გაეერთიანებინა, თან ანახარეოზეც წუხდა. მიუხედავად იმისა, რომ საიმედო ხელში იყო, მაგრამ ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატთან შედარებით ტემისკაუატას ზამთარი გვიან შემოდგომას ჰგავდა. ლეგა ბუმ გადაწყვიტა თავისი ადრეული ბინადრობის ადგილები მოენახულებინა, სადაც უამრავი რამ გადახდენოდა და მოსაგონარი აკავშირებდა. აქ წიგნზე მუშაობა უფრო გაუადვილდებოდა. ბევრი არ უფიქრია, ბანაკი თავის ახალგაცნობილ კაცს ჩააბარა, ტობოგანი[17] საჭირო ნივთებით დატვირთა და არყების ტბისკენ გასწია.

მისი ძველი ბუდე შეცვლილიყო. სახურავი გახვრეტილი, კედლები დაბზარული დახვდა. თახვების გაკეთებული ჯებირი დანგრეულიყო და ტბორი დაწრეტილიყო, რომ არა თოვლი, აქ მხოლოდ ქვა და ლერწმოვანი იქნებოდა. თახვების ცარიელი ფაცხა ზემოდან გადაჰყურებდა ამომშრალ ქვაბულს. ტბორის დაწრეტის მერე ონდატრებიც გადასახლდნენ, ფრთოსნებიც გაფრინდნენ, ციყვიც გაიქცა, მხოლოდ ბუმბერაზი მდუმარე ფიჭვები ძველებურად თავაწეულნი იდგნენ.

ლეგა ბუ თავის ძველ ქოხში ისევ შევიდა, როგორც ტაძარში. ყველაფერი თავის ადგილას დახვდა. სახურავიდან წყალი ჩამოსულიყო. ბუმბულისგან გაკეთებული მეომრის თავსაბური უსიცოცხლოდ ეკიდა კედელზე, არწივის ფრთები ტალახში ეყარა. ქოხის კუთხეში გამხმარი ნაძვის ხე იდგა, თახვების ნაკბილარი მაგიდის მოჭრილი ფეხები, თეფში და ირმის ტყავები იატაკზე ეყარა. ანახარეოს ნახელავი ფარდები შენახულიყო. თახვების ფაცხა ხელუხლებლად დახვდა, ოღონდ იქიდან აღარ იყურებოდნენ შავი თვალები და აღარც მათი ხმა ისმოდა.

დანაღვლიანებული ლეგა ბუ ჩვეულ ადგილას ჩამოჯდა, ძველ კერაზე დაბრუნებას განიცდიდა, ფიქრები მოეძალა. ამასობაში ქოხში ჩამობნელდა. გარეთ ჯერ კიდევ ანათებდა ჩამავალი მზე და ქოხის კედლების ნაპრალებიდან და კვამლსადენისთვის გაკეთებული ნახვრეტიდან იატაკზე წითელი ათინათები ეფინებოდა. მათმა კიაფმა გაუკაცრიელებული, გამჭვარტლული ქოხი კვლავ გააცოცხლა, ლეგა ბუმ შუქი აანთო და წერას შეუდგა.

---

[17] ტობოგანი – ალკონგინური სიტყვაა – უკავებო მარხილი. შედგება 3–4 მეტრი სიგრძის და 30–40 სანტიმეტრი სიგანის ფიცრებისგან, რომლებიც ირმის ტყავისქამრებითაა გადაბმული. გამოიყენება ხელით ან ძაღლებით სათრევად.

ორი ღამე შეუსვევნებლად წერდა და თავსაც და მკითხველსაც ატყუებდა, რომ მისი პაწია მეგობრები მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი ცოცხლები იყვნენ. იქნებ არც ატყუებდა? იქნებ ისინი მართლაც აქვე ახლოს იყვნენ? როგორც არ უნდა ყოფილიყო მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი წიგნის ფურცლებიდან გადმოვიდნენ, ადამიანთა გულებში დაიდეს ბინა და ახლა მთელს ქვეყანაზე მოგზაურობენ.

დამშრალ არყების ტბასთან მდებარე თავის ძველ ქოხში ლეგა ბუ წერდა: "მთელი კვირა გულმოდგინედ ვწერდი. ყურებში მესმოდა ქალი ნაზი სიცილი და ბავშვური ხმები. ლანდები ჩემს სიახლოვეს ისხდნენ და თამაშობდნენ. ჩემი მოთხრობების გმირები კვლავ აქ ბინადრობდნენ. ისინი სულაც არ იყვნენ ნაღვლიანები. პირიქით, მხიარულად გადი–გამოდიოდნენ. აზრი მოვიკრიბე და ბოლოსდაბოლოს მივხვდი თუ ამ პატარა ცხოველებმა ჩვენზე ასეთი შთაბეჭდილება რატომ მოახდინეს. ისინი ჩვენთვის პატარა ინდიელები იყვნენ, როგორც რასის სიმბოლოები, ჩვენი და ბუნების დამაკავშირებლები. გაჩანაგებული მიდამოს და გაჩეხილი ტყეების ურჩი არსებები. ირგვლივ, განადგურებულ ბუნებაში თურმე კიდევ რაღაც გადარჩენილა. ეს თახვები იყვნენ ჩვენი ყოფილი მშობლიური სახლი, პირველყოფილი ველური ბუნების მეტყველი გამოხატულება. მათი შემხედვარე ბუნებას ახლებურად აღვიქვამდი. დიდხანს ვფიქრობდი ჩემი ბუნებისადმი დამოკიდებულების ცვლილებაზე, ჩემს სულიერ გარდატეხაზე თახვების გამო. ვფიქრობ, რომ სხვა ცხოველებიც მოახდენდნენ ასეთივე გავლენას ადამიანზე, იქნებ არც ისე თვალსაჩინოდ. მთელი ჩემი ცხოვრება ტყეში გავატარე, მაგრამ ბუნებასთან ასე ახლოს, როგორც ახლა, არ ვყოფილვარ. ბუნების ღრმად შეცნობამ გამოიწვია და ჩამისახა თვითშეზღუდვის კეთილისმყოფელი უნარი.

ინდიელის თხილამურებით სირბილი, დათვის ბაჯბაჯი, სწრაფი კანოეს ტალღისებური ცურვა, ჩანჩქერის ვარდნა, ხეთა კენწეროების ნარნარი რხევა, ეს ყველაფერი ერთი მთლიანის ნაწილია. ეს წარმართული მითოლოგიისა და ბუნების გადაჭარბებული თაყვანისცემა კი არ არის, არამედ ყოველი სულიერის, ცოცხალის ურთიერთკავშირის შეცნობა, ის, რამაც ერთ მოგზაურს ათმევინა: "ინდიელი, მთები, ნადირ–ფრინველი ერთი მუსიკალური რიტმით მოძრაობს!"

ვიგრძენი, რომ ქვეყნიერებას იმიტომ მოვევლინე, რათა ეს შემეცნო და როცა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ჩემს ძველ კერას, მაკ–ჯინისისა და მაკ–ჯინტის ქოხს ვტოვებდი, მას აღარ აღვიქვამდი როგორც საფლავის ქვას ან დაკარგულ იმედს ანდა

დასასრულს, არამედ როგორც დასაწყისს. წასვლისას ავიღე ორი შემოღრღნილი ჯოხი, რამდენიმე წკნელი, ყავისფერი ბალანი, საშობაო ნაძვის ხის ტოტები და ირმის ნაგლეჯში მჭიდროდ გავახვიე, რათა ჩემი სულის წამალი და ბედნიერების სიმბოლო ყოფილიყო.

სულებს გამოვეთხოვე და ქოხიდან გამოვედი. როცა გზას დავადექი, თოვლს მხოლოდ ჩემი ნაკვალევი ემჩნეოდა და ვიგრძენი, რომ იქ, სადღაც ჩემს უკან, ქოხში ღუმელთან იჯდა ქალი ორი პაწია თახვთან ერთად”.

სიტყვების ძიება

შინ დაბრუნებისას ლეგა ბუს ანახარეოს მეორე წერილი დახვდა. ის სწერდა, რომ ორივენი ჯანმრთელად იყვნენ, მაგრამ მათი ოცნების კოშკი სწრაფ გამდიდრებაზე, დაიმსხვრა. მათ ჩასვლამდე ოცდარვა დღით ადრე დავითის ნაკვეთი სხვას მიაკუთვნეს და მართლაც ნაკვეთი უმდიდრესი აღმოჩნდა იმ მხარეში. ორივე ამავე ნაკვეთზე მოჯამაგირედ მუშაობდა. გაქრა დავითის ელდორადო. ამ ამბავმა უცებ დააბერა და დამწუხრებული და განადგურებული უკან თავის მხარეში, ოტავაში დაბრუნდა, რათა თავისი ძვლები თავისი წინაპრების გვერდით, ფიჭვებთან ჩაეყარა. ანახარეო კი მდინარეზე ყინულის დნობას ელოდებოდა, ეს კი ივლისამდე არ მოხდებოდა.

ახლა ლეგა ბუსთვის წიგნზე მუშაობა მხოლოდ გასართობი კი არა, მნიშვნელოვანი საქმეც იყო, რადგან წარმატებაზე იყო დამოკიდებული აქედან მისი და ჯელის გამგზავრება. წიგნზე ღამღამობით მუშაობდა და ქოხიდან მხოლოდ შეშისთვის გამოდიოდა.

“მე, – წერად ლეგა ბუ, – პრეტენზია არ მქონდა და არც მაქვს მაღალ ლიტერატურულ ღირსებაზე, ეს ჩემთვის მიუწვდომელია. ჩემი ინგლისურის ცოდნა არასდროს მაკმაყოფილებდა, მაგრამ ახლა გამომადგა, საჭიროების გამო გავიხსენე და ვაღიარებ, რომ სიტყვების მარაგით შეზღუდული ვიყავი. საათობით ვმუშაობდი ინგლისური ენის ცნობარზე, ლონგფელოს[18] ლექსებზე “ჰაივატიდან” და სერვისის[19] “სურდუს სიმღერებზე”.

ბლომად ნაწერი დამიგროვდა, ხშირად ვიღვიძებდი, რათა გამესწორებინა და შენიშვნები გამეკეთებინა, ზოგჯერ ჯელის გასაგონად ვკითხულობდი, მას კი ყურადღების მიქცევა და ქაღალდის შარიშური აღაფრთოვანებდა და სულ ყირაზე გადადიოდა და კოტრიალობდა. მაგიდა საწოლს მივადგი, რათა ნაწერებს ნებისმიერ დროს მივწვდომოდი და თავში უცებ მოსული აზრები დამეწერა.

როცა ვწერდი, ჯელი ამ დროს საქმიანობდა. მაგალითად, ნივთებს ადგილს უნაცვლებდა, კედლებში ნაპრალებს გმანავდა ანდა შეშის ნაჭრებს გადააწყობდა. ხშირად გვერდით დამიჯდებოდა და დაძაბული მომაშტერდებოდა, თითქოს უნდოდა უცნაური

[18] ლონგფელო გ. (1807–1882) – ამერიკელი პოეტი, ავტორი ცნობილი პოემისა “სიმღერა ჰაივატზე”.

[19] სერვისი რ. (1874–1958) – ანგლო–კანადელი პოეტი.

ფხაჭუნის საიდუმლო შეეცნო. ჯელი ქაღალდის მოყვარული გახლდათ და მის ყურადღებას ფურცლების შარიშური იქცევდა. ის ყოველთვის იპარავდა შესახვევ ქაღალდს, ჟურნალებს, წიგნებს და თავის სოროში მიჰქონდა. ჩემს გვერდით მჯდარი ხშირად ჩემს ჩანაწერების წიგნაკს წვდებოდა და ამის გამო ვკინკლაობდით. ყოველთვის მე არ ვიმარჯვებდი, ჩემდა მოულოდნელად ერთხელ მაჯობა კიდეც. ერთხელ შეშის დასაჭრელად გავედი. ქოხში შემოვბრუნდი და მაგიდაზე ყველაფერი არეული დამხვდა. წიგნები, სანათი, ჭურჭელი და ჩემი ნაწერები თითქმის სულ წაეღო, ცოტაოდენი იატაკზე ეყარა. მისი სორო გავჩხრიკე და ჩემი ნაწერები ხის გამჭვარტლულ საჩხრეკთან და მავთულთან ერთად გამოვიტანე. მხოლოდ ერთი ფურცელი აკლდა. როგორც სჩანს ჯელიმ ნაწერების დასტას ერთიანად სტაცა პირი, ამიტომ ძალიან დაზიანებული არ იყო, მაგრამ აირია. ფურცლის ორივე გვერდზე ფანქრით მჭიდროდ იყო დაწერილი, შენიშვნებითა და მინაწერებით. საქმე იმაშია, რომ ფურცლები არ დავნომრე და წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. სამი დღე დამჭირდა, რომ დამელაგებინა და ზოგჯერ გადამეწერა. ამჯერად ფურცლები დავნომრე.

ასე მივიწევდით წინ, მე და ჯელი. წიგნის წერა დასასრულს უახლოვდებოდა. ფიქრებით სულ ნეკერჩხლის ტყეებით შემოსილ მთებს შორის ღრიალა, მქუხარე მისსისსაუგასთან ვიყავი, წითელ კლდეებზე გადმოვარდნილ ჩანჩქერ ობრისთან, გროსს კეპუს გრანიტის ქარაფებთან, მოგრეხილ ფიჭვებთან, დაბურულ ფიჭვნართან, არყის, იფნის და ვერხვის დამჭკნარი ფოთლის სურნელთან, კანოეს ბორტზე ნიჩბების გამაყრუებელ რიტმულ კაკუნთან, ცისფრად აბოლებულ ჩანავლებულ კოცონებთან, ჩქერებთან და წითელი ფიჭვების ქვეშ დაბანაკებულ მშვიდ, დაკვირვებულ ინდიელებთან.

არასდროს მავიწყდებოდა და სულ ვდარდობდი უბრალო, კეთილ ხალხზე, ჩემი სიყმაწვილის ამხანაგებზე, აღმზრდელებზე, მასწავლებლებზე. მათი ღმერთები ხომ ჩემიც იყო. ეს ხალხი დღეს შიმშილით სულს ღაფავდა, მოთმინებით, მშვიდად, სასოწარკვეთილი ცხოვრობდა გაჩანაგებულ ადგილზე მდგარ გამჭვარტლულ სახლებში. ვდარდობდი მომაკვდავ პატარა ბავშვებზე, რომლებსაც მშობლები გაქვავებული სახეებით ბუზებს უგერიებდნენ, სანამ განთიადისას მათი სულები პატარა თახვებივით არ გაფრინდებოდნენ დიადი შეუცნობელისკენ. გამახსენდა, რომ მათი ყოფა, მიუხედავად ჩემი წუწუნისა, ჩემს მდგომარეობაზე უარესი იყო და მივხვდი, რომ მათთან უნდა ვყოფილიყავი, მათსავით დავტანჯულიყავი და მათი უბედურება გამეზიარებინა, როგორც ბედნიერ წარსულში, ძველ დროში ვიზიარებდი.

შობა ჯელისთან ერთად გავატარე. ბევრი მიირთვა, იმდენი, რომ მეორე დღეს თავს აშკარად ცუდად გრძნობდა. ჩემი მარტოხელობის მიუხედავად ჭერზე მაინც ჩამოვკიდე ქაღალდის სანათი და როცა სანთელი ავანთე, ჯელი დიდხანს უცქერდა და მეც გავხალისდი, მხნეობა მომემატა. საახალწლოდ ქალაქში მიმიწვიეს. ჯელი საიმედოდ ჩავკეტე გამთბარ ქოხში, საჭმელი და წყალი დავუტოვე და ახალ წელს კობანოში შევხვდი.

ქალაქს საზეიმო იერი დაჰკრავდა. ქუჩებში საუკეთესოდ ჩაცმული ხალხი დადიოდა, რეკდნენ ეკლესიის ზარები, ხალხი ტყეებიდანაც ემატებოდა, ქუჩებში მღეროდნენ და მოზეიმე ხალხის განწყობას ვევრანაირი ქარბუქი და ცუდი ამინდი ვერ ახშობდა. ყოველი მხრიდან ისმოდა მუსიკის, რადიოს და გრამოფონების ხმა, გაყინულ, სუსხიან ჰაერში იჭრებოდა ვიოლინოზე დაკრული ჯიგის[20] და სხვა საცეკვაო მუსიკის ჰანგები.

როცა ქუჩებში ჩამწკრივებულ ხეთა შორის დავდიოდი, გამახსენდა ინდიელთა სოფლის თემური ურთიერთობა და მოვიწყინე, მაგრამ გულიდან სევდა მალე გადამეყარა, რადგან ყოველი მხრიდან მესალმებოდნენ, ხელს მართმევდნენ, შინ მეპატიჟებოდნენ და მეც მათთან ერთად ვმხიარულობდი. ყველაფერი ისე ბუნებრივად, გულწრფელად მოხდა, რომ ჩემი მარტოობა სულ გადამავიწყდა და მეც ჯეროვნად მოვილხინე.

შუა მხიარულებაში უცებ გამახსენდა ცარიელ, ბნელ ქოხში მომლოდინე პაწია ყავისფერი არსება, ისე გამოვიპარე, არავის დავმშვიდობებივარ და შუაღამისას თხილამურებით შინისკენ გამოვეშურე. ჯელისთვის საშობაო საჩუქარი მომქონდა: მიწის თხილი, ვაშლები და კამფეტები. ჯელიმაც იზეიმა ახალი წელი, ჩემზე უკეთესადაც. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყურადღებით ვაყურადებდი, ფრთხილად გამოვიკითხავდი, ყოველთვის ვფხიზლობდი და ვეძებდი არა მარტო ცოცხალ თახვებს ან თუნდაც მათ ბეწვსა და ძვლებს, არამედ ადამიანებსაც[21]. ამის გამო ადამიანებს ეჭვითა და სიძულვილით ვუყურებდი.

თებერვლის ბოლოს წიგნის წერა დავამთავრე. ხელნაწერი გავაგზავნე და რადგან მოვიცალე, სინონიმების ლექსიკონს გავეცანი. საჭირო სიტყვებს წიგნაკში ვიწერდი. ისე გავერთე, ჭამაც კი მავიწყდებოდა. ხშირად ისეთ იშვიათ სიტყვებს ვიყენებდი, რომ თვით ჩემს ინგლისელ მეგობრებსაც კი არ სმენოდათ. ბოლოს დაღლილობისგან იქამდე მივედი,

[20] ჯიგა – შოტლანდიური ცეკვა.
[21] იგულისხმება ადამიანი, ვინც მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი მოკლა.

რომ ერთხელ მუდმივი კალმის დასატენად მელნის ბოთლის ნაცვლად თამბაქოს ყუთი ავიღე, ჩიბუხის დასატენად კი მელნის ბოთლი.

ერთი ნაცნობი იურისტი ხშირად მეწვეოდა ხოლმე, ხანდახან მხიარული საზოგადოებაც მოჰყავდა. მახალისებდა და ყოველთვის ხელდამშვენებული მესტუმრებოდა. ერთხელ გზა დაბნეოდა და გვიან ღამით მესტუმრა. თურმე ტყეში, არც ისე შორს რადიომიმღები დარჩენოდა. ეს იყო პორტატიული მოდელი. მეორე დღეს მოვიტანეთ. ანტენა თვითონ გააკეთა, შეაერთა და იმ ღამეს ჩემს ქოხში მუსიკის ხმა გაისმა.

ამ რადიომიმღებით იოლად გადავლახე ზიზღი ყველა მანქანისადმი, დაწყებული გუთნიდან, დამთავრებული რკინიგზით. აღმოვაჩინე, რომ რადიომიმღები სიტყვათა უშრეტი წყარო იყო. მალე ჩემს ღამეულ საზოგადოებას მიემატნენ დიქტორები, მიმომ–ხილველები, პოლიტიკოსები, ასევე ემერსონისა [22] და შექსპირის წიგნები. ეს ყველაფერი ჩემი აზრების გადმოცემაში დამეხმარა”.

[22] ემერსონი რ. (1803–1883) – ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი, იდეალისტი.

დედოფლის გაქცევა

ლეგა ბუ ღამღამობით ხეტიალს ძველთაგანვე ამჯობინებდა, რის გამოც უა–შა–კუონ–აზინ შეარქვეს ანუ ღამღამობით მოსიარულე. ამის გამო ჯელის დარაჯობა გაუადვილდა და შეეძლო ნებისმიერ დროს მოეძებნა. დანარჩენ დროს ინგლისურ ენას უთმობდა, რის გამოც სავაჭროში ნავთის ვალი მოემატა, სამაგიეროდ ტანსაცმლის ხარჯის დასაზოგად ირმის ტყავისგან შეკერილ სამოსს იცვამდა და ტყავიც თვითონ გამოჰყავდა. სწორედ ამით მიიქცია ადგილობრივი ტყისმცველის ყურადღება. ეგერს უნდოდა, რომ დაეჯერიმებინა, მაგრამ ლეგა ბუმ თავისი მდგომარეობა აუხსნა და ეგერიც მიხვდა, რომ შეცდა და ურჩია ქვებექში მიეწერა. მალე რაიონის სატყეო სამმართველოდან მოსწერეს. წერილში შეწუხებისთვის უბოდიშებდნენ და ნადირობის ნებას რთავდნენ.

საშობაო დღესასწაულზე ლეგა ბუ ერთ ირლანდიურ ოჯახს დაუახლოვდა. ამ ოჯახში ახლობელივით მიიღეს და მათთან თავს როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობდა. ლეგა ბუ მათთან სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა და ეწვეოდა, ყოველთვის მხიარულობდნენ, უკრავდნენ და მღეროდნენ ხოლმე.

ერთხელ, მორიგი სტუმრობსი მერე შინდაბრუნებულს ქოხის კარი გაღებული დახვდა, თავისი პატარა მეგობარი კი გამქრალი.

ლეგა ბუ მწუხარებისგან კინაღამ გაგიჟდა, გაღებულ კარს თვალს არ აცილებდა. თავდაპირველად იფიქრა, რომ თახვი მოიტაცეს და მძვინვარებამ შეიპყრო, მაგრამ გულდასმით დათვალიერების მერე, მიხვდა, რომ ჯელი თავისით წასულიყო, კარი თვითონ გაეღო. ჩანს, ადრე გაზაფხულის თბილმა, მზიანმა დილამ ქოხიდან გაიტყუა, შეიძლებოდა გაყინულიყო კიდეც. ტყეში 4 ფუტის სისქის თოვლი იდო. ჯელის ნაკვალევი ტბისკენ, მისი საშემოდგომო ფაცხისკენ მიდიოდა.

ჯელი, ნაკადულის ყინულის ქერქში ჭრილი რომ ვერსად ენახა, სათავისკენ წასულიყო, მაგრამ წყალში ვერსად ჩავიდოდა. ნაკადული ჭაობში, კედროვანსა და მურყნარში იკარგებოდა და თანაც კვალი არეული იყო. თახვის კვალი ხან მოკლდებოდა, ალაგ–ალაგ ეტყობა ისვენებდა, ისე, რომ მის ქვეშ თოვლი დნებოდა კიდეც. იოლი მისაგნები იყო თუ სად დაუღამდა. ყინვა ძლიერდებოდა, თოვლს ყინულის ქერქი ეკვრებოდა და ჯელის

ნაკვალევიც უფრო ძნელად შესამჩნევი ხდებოდა, ბოლოს კი სრულიად გაქრა. ყინვამ მოუჭირა. თახვს თათები და კუდი მოეყინებოდა.

იმ ღამით ლეგა ბუ ქოხში არ დაბრუნებულა, გათენებამდე ჭაობს ათვალიერებდა და ჯელის უხმობდა. მომდევნო დღეებში ხრამებში და ხეობებშიც ეძებდა. ადრე გაზაფხულის არცთუ იშვიათი ყინვებისას მონადირემ იცოდა, რომ ჯელი თუ მტერს გადაურჩებოდა, აუცილებლად გაიყინებოდა. ყინვების მერე გამოიდარა, ცოტა დათბა. ლეგა ბუ თახვს შორეულ ტბებზეც ეძებდა, მაგრამ ოცი დღის მერე სველ თოვლზე სიარული შეუძლებელი გახდა, მიუხედავად ამისა თავს არ ზოგავდა და დაიქანცა. რამდენიმე დღიანი თავსხმა წვიმის მერე ყინვა ისევ გაძლიერდა, ლეგა ბუმ თხილამურები შეაკეთა და ჯელის ძებნა გააგრძელა. იქნებ მკვდარი მაინც ეპოვა. და აი, ქოხიდან გამოვიდა თუ არა, უცებ დაინახა, რომ მისგან ასე 50 იარდის[23] დაშორებით რაღაც ყავისფერი ნაპირს მოყვებოდა. ეჭვი არ იყო, რომ ქოხისკენ ჯელი მოდიოდა.

ლეგა ბუ სიხარულით შეეგება თახვების დედოფალს. ჯელი კი, თითქოს არაფერი მომხდარიყო, კარგადაც გამოძღა და ერთი დღე–ღამე ეძინა. მოგვიანებით ლეგა ბუმ მის თავშესაფარს მიაგნო. ჯელის თითქმის ამომშრალ ნაკადულში ინსტიქტით მიეგნო წყლისთვის და თოვლის ქვეშ სოროში ყოფილიყო, სანამ წვიმებმა კალაპოტი არ შეავსო, რისი მეოხებითაც ტბამდე ჩააღწია და გაუყინავი წყლით შინ დაბრუნდა.

მალე ტბაზე ყინული სულ დადნა. ლეგა ბუ შიშობდა, რომ ჯელი მეწყვილის ძებნაში შორს დაიწყებდა ხეტიალს და თუ მიაგნებდა, აღარც დაბრუნდებოდა. თახვი ტბას ზემოთ აუყვა, იქ ერთი სორო დაისაკუთრა, მაგრამ პატრონსაც არ ივიწყებდა დ ღამეში რამდენჯერმე აკითხავდა. როცა ლეგა ბუს კანოეს შეამჩნევდა, მის სიახლოვეს მიცურავდა, ხანდახან კანოეში ჩახტებოდა. შემდგომ ჯელიმ ეს ილეთი ისე აითვისა, რმო კიჩოზე აფორთხდებოდა და წყალში გადახტებოდა, ხშირად პატრონს ეხუმრებოდა კიდეც. კანოეს წინ მიცურავდა, თითქოს მიმართულებას უჩვენებდა, ჩაყვინთავდა და სულ სხვა ადგილას ამოყვინთავდა, ხან გადაუსწრებდა და მის წინ ამოყვინთავდა, პატრონს სახეში წყალს აშხეფებდა. ასე ეთამაშებოდა, თითქმის ნახევარი საათი მაინც.

ჯელი ხშირად ეხმიანებოდა პატრონს. მისი ხმა ნახევარი მილის მანძილზე ისმოდა. ლეგა ბუც ეპასუხებოდა. ხელის საყვარელი გასართობი იყო, როცა ის თათებით პატრონს

[23] იარდი – ინგ. სიგრძის საზ. ერთ. – უდრის 91,44 სმ–ს.

მაჯაში დაეჭიდებოდა, მკერდზე მიეხუტებოდა და უკანა თათებზე მდგომი ეძიძგილავებოდა. ის ახლა 20 ფუნტამდის[24] იწონიდა. თახვს ძლიერი ჩონჩხი და კუნთები ჰქონდა. შემდგომში ლეგა ბუ მიხვდა, რომ ჯელის ცელქობაში არაფერი განსაკუთრებული არ იყო, ასეთი ქცევა თურმე ყველა თახვს ახასიათებდა. აღსანიშნავია, რომ ჯელის ერჩია ადამიანის სიახლოვეს ყოფილიყო მაშინ, როცა 3 მილის[25] დაშორებით მისი თვისტომნი ბინადრობდნენ.

[24] ფუნტი – ინგ. წონის ერთ. – უდრის 453,6 გრამს.
[25] 1 სამხედრო მილი უდრის 1,609 კმ–ს.

როუხადის მობრძანება

სანამ ხეები შეიფოთლებოდა ლეგა ბუმ ხაფანგი დაუგო ავაზაკ წავს, რომლის სკორეშიც თახვის ბალანი ნახა. “იქნებ მიმნდობი ჯელიც დაგლიჯოს” – გაიფიქრა და ხაფანგი დააგო. ერთ დილას კი მისი დაგებული ხაფანგი აღარ დახვდა. მორის ქვეშ შეიხედა და თახვის კუდი შეამჩნია, ჯაჭვი გამოსწია და ცოცხალი თახვი გამოათრია. თახვს უკანა თათი ძლიერ დაზიანებოდა, შეშინებული ცხოველი არ ეწინააღმდეგებოდა. ლეგა ბუმ თახვი ჯუთის ტომარაში ჩასვა და შინ წამოიყვანა, რათა ემკურნალა და მოერჩინა. თავდაპირველად თახვი ჯელის ემალებოდა, არაფერს ჭამდა და მხოლოდ წყლის დასალევად გამოდიოდა. შეშინებული, ოთახის შუაში დადგებოდა და ახლოს არავის იკარებდა, მხოლოდ ვაშლზე არ ამბობდა უარს. მალე თახვი მოშინაურდა და ოთახს ირგვლივ კოჭლობით უვლიდა, ჯელისთვის გაკეთებული კიბეთი ლეგა ბუს საწოლზე ადიოდა და მასთან იძინებდა, აქვე ჭამდა და მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილებისთვის ჩამოდიოდა, ხან ჭყუმპალაობდა, ხან დახერხილ ჯ\ირკებს გადაალაგებდა. თახვს კედელზე მიდებულ ბალიშზე ეძინა, ღამღამობით კი ლეგა ბუს ხელზე წვებოდა, გათენებამდე კი ისევ თავის ბალიშზე გადადიოდა.

თახვს ღუმელის შიშინი აფრთხობდა და ამის გამო ლეგა ბუ მიუხედავად სიცივისა ღუმელს ხშირად აღარ ანთებდა. ასევე აწუხებდა თამბაქოს ბოლი და საათობით იმალებოდა. ნატკენი თათი ძლიერ გაუსივდა და ტერფის ძვლები ტყავში გამოეჩარა. კბილები ალბათ მაშინ მოერყა, როცა ხაფანგიდან თავის დახსნას ცდილობდა. თავზე გამოგლეჯილი, შემხმარი ტყავი ეკიდა. ლეგა ბუმ შემხმარი ტყავი მოაჭრა და თახვს სახელად როუხაიდი დაარქვა ანუ “ტყავის ნაგლეჯი”.

ლეგა ბუ ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა როუხაიდის თათის მორჩენას, მხოლოდ წურბელებმა უშველა. მოვლა–პატრონობამ შედეგი გამოიღო, თახვი გამოკეთდა და ლეგა ბუს მიეჩვია კიდეც. მთელი დღეების განმავლობაში სულ უკან დასდევდა, როცა ლეგა ბუ გარეთ გადიოდა, ხუმობდა. ამ ხმამ ჯელის ყურადღება მიიქცია, ქოხში უცხო თახვი რომ დაინახა, უკან ისე დაიხია, რომ კინაღამ კარზე თავი გაიტეხა. მერე სტუმარი გულდასმით დათვალიერა, მიხვდა, სახიჩარი რომ იყო და ცემა დაუპირა. ლეგა ბუმ

თახვები ძლივს გააშველა და აბობოქრებული ჯელი ტბაზე წაიყვანა. ანკი როგორ არ აბობოქრდებოდა, როცა დედოფლობდა და უცებ დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვია და მყუდროება დაურღვია.

როცა სახიჩარი თახვი გამოჯანმრთელდა, ლეგა ბუმ გაუშვა. მეორე დღეს კი, როცა ტბაზე თავისი დედოფლის ფაცხისკენ მიცურავდა, თახვი შენიშნა და მოუხმო. თახვიც შეეხმიანა და კანოესკენ გამოცურდა. ეს, როუხაიდი აღმოჩნდა. კანოეს მოჰყვებოდა და როცა ლეგა ბუ ნაპირზე გადმოვიდა, უკან მიჰყვა. ქოხში, ირმის ტყავზე წამოწვა, კრუსუნებდა და ლეგა ბუს ხელებზე მიეცაცუნა, მერე კი ტბაში დაბრუნდა. შემდგომშიც ასე იქცეოდა. ზოგჯერ მუხლებზე დაუჯდებოდა და ბეწვს იბერტყავდა. ადამიანისადმი ასეთი მიჩვევა იქნებ მადლიერების გამოხატულება იყო? ჯელი კი ეჭვიანობდა და როცა ქოხში იყო, ახლოს არ უშვებდა, შორს აგდებდა, როუხაიდი კი ჯიუტობდა და მაინც ბრუნდებოდა.

მიუხედავად დედოფლის სიბრაზისა, კოჭლი როუხაიდი სულ უკან დასდევდა, თითქოს მასთან დაწყვილება უნდოდა. ერთხელ, ჯელისგან უარყოფილმა როუხაიდმა ისიც კი გაბედა, რომ კანოეში სწორედ მაშინ ჩაუხტა, როცა იქ ჯელი იჯდა. ბოლოსდაბოლოს როუხაიდმა მტკიცე, დაჟინებული მიზანდასახულობით თავისი ადგილი დაიმკვიდრა და თუ ჯელიმ ჩვენამდე მოაღწია, როუხაიდის დამსახურებაა. აი რა მოხდა: ერთი ხნიერი, ცბიერი თახვი ქოხის ირგვლივ დაეხეტებოდა. ჩანს მონადირეებისგან განადგურებული კოლონიიდან იყო. ერთხელ ეს თახვი ლეგა ბუს ბანაკში შეიჭრა, რათა ჯელისა და როუხაიდისთვის სარჩო–საბადებელი წაერთმია. როცა ლეგა ბუ შინ დაბრუნდა, ჯელი ქოხთან მიწაზე იწვა, სისხლის კვალი კი ქოხის კარამდე მიდიოდა. დასუსტებული ჯელი ნაპირამდე მიხოხებულიყო, რათა პატრონს დალოდებოდა. ჯელის ყელი გამოგლეჯიდი ჰქონდა, ქვედა ტუჩი თითქმის მოგლეჯილი, ორივე წინა თათი დაკბენილი და დასიებული, კუდის ძირთან, თითქმის ერთ დიუმზე ნაკბილარი ეტყობოდა. თვალებდახუჭული ჯელი უძრავად იწვა, სუსტად კვნესოდა და სისხლი სდიოდა. საჭირო იყო ჭრილობების დეზინფიცირება.

ლეგა ბუმ ჯელის მთელი ღამე გაუთია, რძეს სასხურით აჭმევდა, დილით კი დიდი წვალებით ქოხისკენ გახოხდა. მთელი დღე ჯელიმ ქოხში დაჰყო, თითქმის ორი ქილა რძე დალია, ღამით კი ჩანს ძალები მოიკრიბა და თავის ფაცხაში დაბრუნდა. მთელი კვირა არ გამოჩენილა და პატრონს დაძახილზე არ ეხმიანებოდა. როგორც ჩანს მომხდური თახვი

დიდი ზომისა იყო და როუხაიდი რომ არ მიშველებოდა, ჯელის მოკლავდა, როუხაიდიც საკმაოდ დაეგლიჯა.

ამ შემთხვევის მერე ორივე თახვი თანხმობით ცხოვრობდა, მაგრამ გარეშე პირებს, მათ სანახავად მოსულ სტუმრებს, ბანაკის სიახლოვეს არ უშვებდა.

ჯელი და როუხაიდი გულმოდგინედ შრომობდნენ ტბაზე და მის შემოგარენშიც და რომ არა ისინი, ტბა დამყაყებულ გუბედ გადაიქცეოდა. თახვებმა მდინარე გამოაცოცხლეს და მიმზიდველობა შემატეს. უამრავი ადამიანი მოდიოდა მათ სანახავად და ზოგმა რომანტიკულმა ფრანგმა შემოგარენს მათი სახელები უწოდა. მაგალითად, ტბასთან მდებარე სერს ჯელი როლის სახელი უწოდეს, ტბას – როუხაიდის, ლეგა ბუს ბანაკს კი თახვების სახლი.

ასე, რომ სამივე შემოქმედი: ადამიანი და მისი ორივე თახვი იმ მიდამოს მატიანეში შევიდა. თახვები წმენდნენ ნაკადულებს, ნაპირზე გამოსასვლელებს, ფაცხას იშენებდნენ და ჯებირს ინარჩუნებდნენ. ლეგა ბუმ კი ქოხთან მიწაყრილი გააკეთა, კედლებში ნაპრალები დაგმანა და ქოხთან ეზო გაასწორა.

ჯელიმ და როუხაიდმა თავიანთი ფაცხის ახლოს გასართობად მოედანი მოაწყეს, სადაც პატრონის გარდა ფეხს არავის ადგმევინებდნენ. ერთხელ, ჯელი სამ სტუმარს ისე გამოკიდა, რომ ორნი მაღალი სერისკენ გაიქცნენ, ერთი კი ხეზე ამვრა. ამის შემდეგ გახარებული და თვითკმაყოფილი დედოფალი მოედნის შუაში აკუნტრუშდა, თავს აქეთ–იქით აკანტურებდა და სიხარულისგან იგრიხებოდა.

თახვები იზრდებოდნენ და თავიანთი მაქსიმალური ზომის 3/4–ს მიაღწიეს. ბრაკონიერობის დროს ლეგა ბუ თახვებს ქოხის გარეთ აღარ უშვებდა, მაგრამ დამწყვდეულმა თახვებმა პირველსავე ღამეს მაგიდა და იატაკი გაღრღნეს, წყლით სავსე სათლი გადააყირავეს და საკმელი ჩაამტვრიეს. აი, თურმე როგორ მიწვდნენ სარკმელს: ერთ–ერთი კედლის გასწვრივ 8 ფუტი სიგრძის რკინის ბუნიკიანი კანოეს ჭოკი იდო. ლეგა ბუ ამჩნევდა, რომ თახვებმა ჭოკს ყურადღება მიაქციეს. თურმე, ორივე თახვმა ჭოკი სარკმელამდე მიათრია, ჯელი უკანა თათებზე დადგა და წინა თათებით ჭოკი თავს ზემოთ ასწია, ამ დროს როუხაიდი კი ჭოკს მთელი ძალით მიაწვა და რკინის ბუნიკით სარკმელი ჩაამტვრია. რა თქმა უნდა თახვებმა შუშის თვისება არ იცოდნენ. მათ უნდოდათ სარკმლამდე მიეღწიათ, რათა თავიანთი ჭკუით ხვრელი დაეგმანათ.

ლეგა ბუ ყურადღებით აკვირდებოდა თავისი თახვების ქცევას, წერდა ნარკვევებს და თავის გამომცემელს უგზავნიდა. გამომცემელმა მოსწერაბ რომ თახვების ყოფა–ცხოვრებამ, მათმა ქცევამ აფიქრებინა და გადააწყვეტინა, რომ ოტავაში მისწეროს შინაგან საქმეთა დეპარტამენტის ეროვნული პარკების სამმართველოს, რათა თახვები კინოფირზე გადაიღონ. მალე ლეგა ბუს ეროვნული პარკების სამმართველოს თანამშრომელი, ჭაღარა ჯენტლმენი ეწვია. მას კეთილშობილი სახე და ცისფერი, გამჭოლი თვალები ჰქონდა და წარბებს ქვემოდან დაჟინებული იყურებოდა. თანამშრომელმა ლეგა ბუს უთხრა, რომ მისი ნარკვევების სჯეროდა, მაგრამ სანამ გადაიღებდნენ, ჯერ თვითონ უნდა ენახა. ლეგა ბუმ ჯენტლმენი ტბაზე წაიყვანა, კანოეში ჩასვა და თახვებს მოუხმო. მათ კი პატრონის ხმის გაგონებაზე წყლიდან ამოყვინთეს, კანოეში ჩახტნენ და სტუმარს მიაშტერდნენ, აკვირდებოდნენ, ტანსაცმელი სულ დაუსვარეს, მაგრამ ჯენტლმენმა ამას ყურადღება სულ არ მიაქცია და რაც მთავარია დარწმუნდა, რომ ლეგა ბუს ნარკვევებში მოთხრობილი ამბები სინამდვილე იყო.

ჭაღარა სტუმარი მათთან ორი დღე დარჩა. ამ დროს თახვებიც ქოხში იყვნენ. სტუმარი ბოლოსდაბოლოს გამოტყდა, რომ ასეთი რამ ჯერ არ ენახა და არც გაეგო. ლეგა ბუმ მაკ–ჯინტისა და მაკ–ჯინისის შესახებაც მოუყვა. მათი ამბით შეძრულმა სტუმარმა უთხრა,

რომ ამდაგვარი აღარ უნდა განმეორებულიყო. მან გადაწყვეტით ვერაფერი უთხრა, მაგრამ, აფუთქვა, რომ კინოოპერატორები ეწვეოდნენ. მართლაც, ერთი კვირა არც გასულიყო, რომ კინოოპერატორებმა ჯელი და როუხაიდი გადაიღეს. თახვები ცურავდნენ, ყვინთავდნენ, კანოეში ხტებოდნენ, დარბოდნენ, კოტრიალობდნენ, ჯოხებს დაათრევდნენ და მრავალი რამ, რაც დედამიწის ზურგზე ლეგა ბუს გარდა ალბათ არავის ენახა. და ეს "კადრები შევიდა ფილმში "თახვების ერი".

ჭაღარა ჯენტლმენმა ლეგა ბუს უთხრა, რმო ცხოველების და საერთოდ ბუნების ქომაგია. სტუმრის გულისხმიერებამ მონადირეზე იმოქმედა და ლეგა გული გადაუშალა, თავისი იდეები და მიზნები გაანდო. მისი ასეთი აღსარების მოსმენის მერე ჭაღარა ჯენტლმენმა სახელმწიფო ნაკრძალში მუშაობა შესთავაზა.

ლეგა ბუმ სტუმარი სადგურამდე მიაცილა, დაემშვიდობა და შინ ღრმად ჩაფიქრებული დაბრუნდა.

"გარდა ტყეში ნადირობისა და მეგზურობისა, არავისთან მიმსახურია, – წერდა ლეგა ბუ, – ახლა კი მეგონა, რომ სამსახურით თავისუფლებას დავკარგავდი და ტყეში ვეღარ ვიხეტიალებდი. ამ მოულოდნელმა შემაცბუნა, მაგრამ თუ ჩემი მოვალეობის ერთგული ვიქნებოდი, პირად თავისუფლებაზე აღარ უნდა მეფიქრა. ჩემთვის ორი რამ იყო ნათელი და გარკვეული: 1. – ის, რომ მიზნის მიღწევა ჩემზე იყო დამოკიდებული და 2 – ჩემს ორ პაწია მეგობარს მონადირეებისგან დავიცავდი.

სახელმწიფო ნაკრძალში სამსახურს იმ პირობით დავთანხმდი, თუ თახვებს არ დამაშორებდნენ და ნებას დამთავდნენ ჩემი დაკარგული თახვებიც, მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი ამეყვანა, თუ მათ ოდესმე ვიპოვიდი.

ჩემი ორივე პირობა მიიღეს".

როცა ყველაფერი გადაწყდა, ლეგა ბუ გასამგზავრებლად გაემზადა, ყველაფერი ჩალაგებული ჰქონდა, ზამთარი ძალას იკრებდა და თახვები ყინულქვეშ, თავიანთ ფაცხაში წავიდნენ გამოსაზამთრებლად.

ონდატრის საიდუმლო

ლეგა ბუ დაღონდა, მას ხომ მარტოს უნდა გამოეზამთრებინა და გაზაფხულამდე თავის მეგობრებს ვეღარ ნახავდა, ქოხსაც დიდი ხნით ვერ მიატოვებდა, ირგვლივ თახვებზე მონადირენი მრავლად იყვნენ. თავში სულ ის აზრი უტრიალებდა, რომ უკვე ზრდასრული თახვები შესაძლოა გაველურებულიყვნენ და გადაკარგულიყვნენ, როგორც მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი.

ლეგა ბუ ხშირად მიდიოდა ტბაზე, თახვების დათოვლილ ფაცხასთან და საჰაერო დატოვებული ხვრელიდან ხშირად ეხმიანებოდა, თუმცა ახლა არავინ ეპასუხებოდა. იქ ორი დამრგვალებული, ფუმფულა არსება ზამთრის ძილქუშს მისცემოდა. ლეგა ბუ დარწმუნებული იყო, რომ თუ მათ მომხვდურისგან არ დაიცავდა, გაზაფხულამდე ვერ მიაღწევდნენ.

ერთხელ, როცა თახვების ფაცხის დასახედად მივიდა, იქვე ახლოს ყინულის თხელ ქერქში ცულით ამოჭრილი ხვრელი ნახა. ძლიერ ქარბუქს ნაკვალევი წაეშალა, ყინულჭრილიდან თოვლი გადაეყარა, სისხლის კვალიც ეტყობოდა.

ლეგა ბუ მძვინვარებამ შეიპყრო. აღმართზე თოვლში თხილამურების კვალი ემჩნეოდა. უეჭველია, რომ ვიღაც კვალის აბნევას ეცადა. როგორც ჩანს მომხდური ასე ორი საათით ადრე წასულიყო ლეგა ბუს მოსვლამდე და ალბათ უკვე სამშვიდობოს იყო გასული. ლეგა ბუ გამოცდილი მონადირე იყო, გამოიკითხა და ის კაციც მონახა... მთელი ორი კვირა სულიერად იტანჯებოდა, ძილი გაუკრთა.

ცოტა დათბა და თახვების ფაცხის სიახლოვეს ონდატრის ლეში გამოჩნდა. ჩანს, ბუს მოელა, რადგან ლეშს თავი აღარ ჰქოგდა და გატყავებულიც იყო. სწორედ ამ დროს ის ეჭვმიტანილი კაცი ეწვია, როგორც ჩანს ამ ამბავს მის ყურამდეც მიეღწია. მან უთხრა, რომ თახვების ფაცხის სიახლოვეს ონდატრის სორო გათხარა, წყალი რომ ამოეღო. სწორედ მაშინ შენიშნა სისხლი. წარმოიდგინა, თუ რას იფიქრებდნენ და ქარბუქის იმედად ლეგა ბუს მოერიდა და არ გააგებინა.

დავითის ამბავი

ამჯერად ლეგა ბუ ისე მოიქცა, როგორც ჩვენთან გლეხები იქცევიან, მაშინ, როცა დათვის ბუნაგს მიაგნებენ და მის ირგვლივ თოვლზე თხილამურებით წრეს შემოხაზავენ და კვალს ინარჩუნებენ, სანამ მონადირეებთან ჯერ მოუნადირებელი დათვის ტყავის ფასზე არ შეთანხმდებიანყ

და აი, ერთხელ, როცა ლეგა ბუ მორიგი შემოწმების მერე ქოხში დაბრუნდა, ანახარეო დახვდა, ოქროს ქვიშრობებიდან თვითმფრინავით ჩამოფრენილიყო. როცა სიახლის შესახებ შეიტყო, თავისი ხელმოცარულობის მოყოლის ხალისი დაეკარგა და ცხოვრებისეულ წვრილმანებად მოეჩვენა, მაგრამ საწყალი დავითის ამბავი მაინც მოუყვა.

ერთმა იმათთაგანმა, ვისაც სხვის საქმეებში უკითხავად ცხვირის ჩაყოფა უყვარს და ველურთა განათლებითა და განვითარების იდეით არის შეპყრობილი, დავით აუხსნა, რომ მისი აზრი ჩრდილოეთში მდებარე ხელუხლებელ სამონადირეო ადგილებზე, უტოპიაა, რომ თეთრი ადამიანები ყველაზე მიუწვდომელ ადგილებშიც შეიჭრნენ და ვერც თახვები ნახეს და ვერც ფიჭვნარი და რომ ეს აზრი მითია. ამ კაცს თავი არ დაუზოგავს და დავითი დაარწმუნა იმაში, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანა, თუმცა ამ შეხედულების არსებობის საფუძველი არსებობის კოშკის მსხვრევამ და საკუთრების დაკარგვამ დააძაბუნა, დაასევდიანა, სიცოცხლის ხალისი დაეკარგა და დაჩაჩანაკდა.

ერთხელ, ღამით, სანამ ფოთოლცვენა დაიწყებოდა, ანახარეოსთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა. ის, მარტოსული, გულგატეხილი და უიმედო შინ ბრუნდებოდა და თან მიჰქონდა ლეგა ბუს უკანასკნელი საჩუქარი – კანოე, თავისი საყვარელი თოფი, შთაბეჭდილებები და ერთ წყნარ, მთვარიან ღამეს, მშობლიური ადგილებისკენ გაცურა.

წიგნი მიიღეს

იმ ზამთარს წიგნი მიიღეს, სიტყვა–სიტყვით დაბეჭდეს, მხოლოდ სათაური შეუცვალეს. მრავალი გამოეხმაურა, ბანკში მცირე თანხები მიმდინარე ანგარიშზეც ერიცხებოდა.

აი რას წერს ლეგა ბუ: “ჩემი სტატიები სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთებში იბეჭდებოდა. ზოგ გამომცემელს შესწორებები შეჰქონდა, რასაც ვეწინააღმდეგებოდი. ბოლოს ჩემს მოთხოვნას დაეთანხმნენ, ალბათ იმიტომ, რომ საპროტესტო წერილები აღარ მიმეწერა. წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორ გამოჰქონდათ რედაქციიდან და ღუმელში როგორ წვავდნენ.

მე მოვყარული მწერალი ვიყავი და არა პროფესიონალი. ბოლოსდაბოლოს არც გამომცემლები იყვნენ ცუდი ბიჭები.

ბევრი გამომეხმაურა. პრესის მიმომხილველებს ალბათ ესმოდათ, რომ წერის ტექნიკას არ ვფლობდი. მიუხედავად ამისა ჩემდამი კეთილგანწყობილები იყვნენ და მაქებდნენ კიდეც, მამხნევებდნენ და მირჩევდნენ, რომ წერა გამეგრძელებინა. ზოგიერთ ამერიკულ და ინგლისურ გაზეთში თანაგრძნობის სტატიებიც დაიბეჭდა. წერილებს მწერდნენ გერმანიიდან, ავსტრიიდან, ლონდონიდან, ნიუ–იორკიდან და ჩემს სამშობლო პროვინციაში მდებარე ონტარიოს უნივერსიტეტიდანაც. მხნედ ვიყავი, თუმცა ცოტა შეცბუნებული. გამოჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც იმით იყვნენ შოკირებულნი, რომ ვიღაც, ტყის უღრანში ბინადარი ველურიბ თავისი მდგომარეობიდან გამოვიდა და მეტყველებს. ზონი უფრო მკაცრადაც იქცეოდნენ და შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ. თურმე ორმა გაუნათლებელმა არსებამ ბევრი ისეთი რამ იცის, რასაც სასწავლებლებში არ ასწავლიან. ეს კრიტიკოსები იმაში გვედავებოდნენ, რაზედაც ბუნდოვანი, ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ.

შემდგომ ბრალი დამდეს იმაში, რომ თითქოს მთელი ტექსტი, რომელიღაც მწერლის სულმა მიკარნახა. ამ უსამართლობამ ბევრი უსიამოვნო წუთი განმაცდევინა. ესე იგი, მე კი არ ვწერდი წიგნს, არამედ ვიღაც სხვები ნიუ–იორკის შტატიდან ანდა აბერდინიდან, მაგრამ ბეჯითი მუშაობა წიგნებზე, რადიოსგან სიტყვების გამოცინცვლა და სინონიმთა

ლექსიკონი?! სხვათა შორის შექსპირსაც შეემთხვა უსიამოვნება ბეკონთან[26], მაგრამ კარგად გაართვა თავი მწერლსი ხელობას. მიმანიშნებდნენ, რომ მეტი განათლება მჭირდებოდა და რომ თვითმარქვია ვიყავი. კვლავ ემერსონი მომექომაგა: “მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შესძელით და ფიქრობენ, რომ მიითვისეთ”.

ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ ისეთი ადამიანებიც არსებობენ, ზემოდან რმო არ გადმოგვხედავდნენ. ჩემი მიმოწერა გაფართოვდა, უკვე შემოქმედი ვიყავი, რაც მე და ანახარეოს ძალიან გვახარებდა. გამოჩნდნენ რეპორტიორებიც. მონრეალში ყრილობაზე მიმიწვიეს, ანახარეოც უნდა წამეყვანა, რათა ჩემთვის მორალურად მხარი დაეჭირა, ამიტომ ჩვენი თახვები მეგობრებს დავუტოვეთ და მონრეალში გავემგზავრეთ.

მას მერე ვხვდებოდი ბუნების ქომაგებს, პროფესიონალებსაც და მივხვდი, რომ ბევრი მათგანი საქმით არცკი დაინტეერსდება, თუ ფულის შერიშური არ მოესმა. ამ ჯენტლმენებთან საუბრისას მივხვდი, თუ რა განსხვავებაა ნდობასა და მიმდობლობას შორის და გასაგები გახდა ერთი კომედიის ავტორის ფრთიანი გამონათქვამი: “დოლარი ისე არ დაეცემა, ვიდრე ადამიანი, რათა ეს დოლარი მიიღოს”.

დავუმეგობრდი ველური ბუნების მოყვარულ ბევრ გულისხმიერ და დარბაისელ ადამიანს. ისინი ყოველთვის მამხნევებდნენ და შთამაგონებდნენ. ზოგმა მირჩია, რომ ფაფუკბეწვიანი ნადირის ფერმა მომეწყო და ამით გავმდიდრებულიყავი და როცა ვეუბნებოდი, რომ კომერცია არ მიზიდავდა, საქმის მცოდნეებივით ეცინებოდათ.

[26] ბეკონი ფ. (1561–1625) – იგლისელი ფილოსოფოსი.

თახვების გამოღვიძება

ოტავიდან გამოგზავნილი წერილით ლეგა ბუს აცნობეს, რომ დედოფალმა ჯელი როლიმ და მისმა მეგობარმა როუხაიდმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც, ოკეანის გაღმაც. იმ დროს, როცა თახვების სახელი ქუხდა, ისინი თავიანთ საზამთრო ფაცხაში ზამთრის ძილქუშს მისცემოდნენ. ასეთი საოცრებებიც ხდება ქვეყნიერებაზე!

მარტში ლეგა ბუმ და ანახარეომ გადაწყვიტეს ბედნიერი თახვები როგორმე გაეღვიძებინათ. საკვების მარაგთან ყინული გაჭრეს, საკვები სულ შეეჭამათ. არყის ხის, ვერხვის, ტირიფის ტოტები ყინულჭრილთან მიიტანეს. თუმცა თახვები არ ჩანდნენ, მაგრამ ტოტები კი ქრებოდა.

დადგა აპრილის თბილი დღეები. თოვლი დნებოდა, ყინული გალხვა. თუ თახვები გაველურდნენ, მაშინ ისინი საგაზაფხულო წყალდიდობისას ფაცხას მიატოვებდნენ ანდა პატრონებს დაუბრუნდებოდნენ. ლეგა ბუ შიშობდა, რომ თახვები შეჩვეულ ადამიანებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამჯობინებდნენ. მიუხედავად ამისა ლეგა ბუ კასრებისა და ყუთების გასაგზავნად გულმოდგინედ იავსებდა ზედნადებებს, თითქოს სავსებით იყო დარწმუნებული იმაში, რომ თახვები გაიღვიძებდნენ და მათთან დაბრუნდებოდნენ. ცხოველებთან თავისი ხანგრძლივი ურთიერთობის გამოცდილებით დაასკვნა, რომ არასდროს არაფერში გაუბედავად არ მოქცეულიყო, რადგან ფიქრობდა, რომ ცხოველები მეექვსე გრძნობით გრძნობენ ადამიანის მერყეობას და ამას თავიანთი ველური დამოუკიდებლობისათვის იყენებენ.

ცოლ–ქმარმა თავიანთი ავლადიდება, გარდა ყველაზე აუცილებელი საჭირო ნივთისა, სადგურზე გადაიტანა და ამით კეან დასაბრუნებელი გზა მოიჭრა. დადგა გადამწყვეტი მოქმედების ჟამი. თახვების ფაცხასთან ორი ყინულჭრილი გააკეთეს და შიგ ვერხვის და ტირიფის დაკვირტული ტოტები ჩააწყეს, თუმცა ნობათს დამშეული ონდატრები ჭამდნენ. საკვები ყველას ეყოფოდა, გულუხვად ამარაგებდნენ.

ლეგა ბუ და ანახარეო ყინულჭრილებს მორიგეობით აკვირდებოდნენ. ერთი კვირის მერე ლეგა ბუმ თავისი მორიგეობისას ყინულჭრილში თახვის ცურვით გამოწვეული ლივლივი და დიდი ბუშტები შენიშნა. თახვმა, სანამ ტოტს წაიღებდა, ყინულჭრილს

ირგვლივ რამდენჯერმე შემოუარა, ჩანს ფრთხილობდა, თავდასხმისა ეშინოდა. ლეგა ბუმ ტოტი ყინულჭრილზე დადო, თახვს რომ დაენახა, მაგრამ დაბინდებამდე არავის წაუღია.

დათბა, ნაპირის გასწვრივ ყინული დნებოდა. ლეგა ბუ და ანახარეო ყინულჭრილებთან მორიგეობდნენ და თახვებს უხმობდნენ. ადრე თახვები ყოველთვის ეხმიანებოდნენ ხოლმე. ბოლოსდაბოლოს რამდენიმე დღის მერე ყინულჭრილიდან თახვი ამოხტა და ხმაურით მალევე წყალში ჩახტა. ცოლ–ქმარი ნაპირზე თახვებს უკვლავ დიდხანს ელოდა და უხმობდა. დაახლოებით ნახევარი საათის მერე თახვი ისევ გამოჩნდა, ყინულჭრილიდან თავი ამოყო და მიიხედ–მოიხედა, საფრთხე რომ ვერ იგრძნო, ყინულზე ამოფორთხდა. ეს ხელი როლი იყო. დედოფალმა მაშინვე ბეწვი დაიბერტყა, მისთვის ჩვეული მედიდური და თვითკმაყოფილი იერით თავი დაკანტურა და იქვე ახლოს მირთმეულ ვაშლს შეექცა.

ეს ტრიუმფი იყო! თითქმის ექვსი თვის ცალკე ცხოვრების მერე ჯელი ადამიანებს დაუბრუნდა. ორი ღამის მერე კი ახალმთვარეობისას შორს წყალზე რაღაც მუქი შენიშნეს, თახვს ჰგავდა, მერე უცებ გაქრა. შემდეგ ღამეს ისე მიუახლოვდათ, რომ ვაშლი აიღო. ეს როუხაიდი იყო! რადგან როუხაიდი ჯელივით ადამიანებს მიჩვეული და მათთან გაზრდილი არ იყო, არამედ ველური თახვი, რომელიც ნახევარწლიანი განშორების მერე ადამიანებთან დაბრუნდა. ყველაფერი გაირკვა და ლეგა ბუმ ეროვნული პარკების სამმართველოს აცნობა, რომ თახვები თავისით დაბრუნდნენ მათთან.

დრო იყო თახვები აეყვანათ და ათას მილის მგზავრობის ძნელ გზას დასდგომოდნენ ისე, რმო ცხოველთა უმანკო გულებში ნდობა არ დაეკარგათ. საკმარისი იყო თუნდაც ერთხელ მაინც მოეტყუებინათ, რომ მრავალწლიანი შრომა წყალში ჩაეყრებოდათ და თახვების ნდობის დასაბრუნებლად დიდი ტაქტი და ძალისხმევა დასჭირდებოდათ.

ლეგა ბუ ეცადა ჯელი ხელში აეყვანა, მაგრამ თახვი ისე გაზრდილიყო, რომ მიწას ძალით თუ ააცილებდი. ანახარეოც ეცადა, მაგრამ ამაოდ. ყურებს უწევდნენ, კუდზე ექაჩებოდნენ, ზურგზე აკოტრიალებდნენ, მაგრამ ხელში აიყვანის ნებას არ აძლევდა. ცოლ–ქმარს არ უნდოდა ძალა ეხმარა და ხერხს მიმართეს. ხის ყუთი გააკეთეს, ტბის პირას გვერდულად დადგეს, სახურავიც იქვე იდო. ხელი ყუთში შევიდა და ცოლ–ქმარმა სინდისის ქეჯნით, იმის გამო, რომ მეგობარს თუნდაც მისთვის საკეთილდღეოდ ატყუებდნენ, ყუთს სახურავი დაახურეს. ლეგა ბუმ ყუთს ქამრები ამოსდო და ზურგზე მოიკიდა. ჯელი გაისუსა და სანამ ქოხში გამოუშვებდნენ, გატრუნული იჯდა, ქოხში კი აბობოქრდა და ლეგა ბუს ტანსაცმელზე ექაჩებოდა. ბავშვივით დაამშვიდეს. ლეგა ბუმ

თახვი მუხლებზე დაისვა, აქეთ–იქით აქანავებდა, ეფერებოდა, ეჩურჩულებოდა, ჯელიც მიეხუტა პატრონს, აქეთ–იქით იყურებოდა, ჩანს გაერკვა, ნელა–ნელა აზრზე მოვიდა და დაწყნარდა.

როუხაიდმა კი ყუთში შესვლა არ ინდომა. მისი დაჭერა ძნელი იყო, ამიტომ ლეგა ბუმ აიტაცა და ქოხში ხელით მიიყვანა.

ღამით თახვებს გაქცევა არც კი უცდიათ. ისინი მათთვის სპეციალურად გაკეთებულ მოთუთიებულ ყუთში ჩასვეს.

მალე თ ახვების გაადაყვანის ნებართვა მიიღეს და ლეგა ბუ და ანახარეო თავიანთ მეგობრებთან ერთად შორეულ გზას დაადგნენ.

დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის მხარეში

აი, როგორ აღწერს ლეგა ბუ თავის ცხოვრებას თახვების ნაკრძალში:

“ახლა შემოდგომაა, მოსავლის დაბინავების დრო. თახვების დედოფალი ოჯახთან ერთად საზამთროდ საკვებს ისე გამალებული იმარაგებს, როგორც თადარიგიანი და პასუხისმგრძნობელობის მქონე ადამიანები იქცევიან.

თახვებმა ნაპირზე გამოსასვლელად რამდენიმე ადგილი გაწმინდეს და წყლის კალაპოტიც. საღამოს ოთხი საათიდან გათენებამდე თითქმის ყვოელ საათს უცნაური სიზუსტით იქცეოდნენ ხეები. პირდაპირ წყალში ჩაყრილი საკვების აუარება მარაგი ყოველდღიურად მატულობდა და მატულობდა. ზემოდან მორები ეყარა, საკვები წყალში ღრმად რომ ჩაძირულიყო და მისი უმეტესი ნაწილი მომავალი ყინულის ქერქის დონის ქვემოთ იყო.

მძიმედ დატვირთული თახვები ნელა დაცურავენ, ხან ჯგუფებად, ხან დამწკრივდებიან, ზემოდან ტროტებითა და ფერად–ფერადი ფოთლებით მორთულან, ეს, ტყის მუშაკთა მსვლელობაა. ზოგჯერ რადიომიმღებს ჩავრთავ და ამ დროს თახვები სიმფონიური ორკესტრის თანხლებით იღწვიან. მინდა, რომ მთელი მსოფლიო აქ იყოს და ამას უყურებდეს.

შემოდგმოაზე პატარა თახვებიც შრომობენ, მაგრამ ჩანს რმო ბევრი არაფერი მოეკითხებათ. ისინი უზრუნველად, ბედნიერად ატარებენ დროს, თამაშობენ და ირგვლივ მიდამოს ეცნობიან. მშობლიურ ტბორში წყვილ–წყვილად, ხან ჯგუფებად ცურავენ და ერთმანეთს ეხმიანებიან. პატარა თახვები საქმეში გართულ მოზრდილებს თავს აბეზრებენ, გზაზე ეღობებიან, ხელს უშლიან. მიუხედავად მათი ცელქობისა მოზრდილი თახვები არ ღიზიანდებიან.

აი, მოზრდილი თახვი წყალზე ტვირთს მოათრევს. პატარა თახვები შეთანხმებულებივით გაეკიდებიან, უბიძგებენ, ტოტებს ამტვრევენ და ტვირთმოკიდებულ ცხოველს ზურგზე აფორთხდებიან. ისინი ასეთი ქცევით ტბორის ერთფეროვნებას არღვევენ. რა თქმა უნდა მოზრდილები მათ ცელქობას ხელს უშლიან. ამიტომ ტვირთიანად ჩაყვინთავენ და წყალქვეშ მიცურავენ, რათა მომხდურს დაემალონ, მაგრამ ეს ხრიკი

იშვიათად თუ უმართლებთ. როგორც კი ამოყვინთავენ პატარა ეშმაკუნები, უმალ შემოეხვევიან ად ტვირთს წაართმევენ.

დროთა განმავლობაში პატარა თახვები ყაჩაღობას თავს ანებებენ და შრომას ეჩვევიან და დიდი მოთმინებით თავის შესაფერის ტვირთს მიათრევენ. ისინი ერთმანეთში ხშირად კინკლაობენ. ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ყოყლოჩინა ალბათ მათ ალყაში აღმოჩნდება. ეს თუ ტბის ნაპირზე მოხდება, უმალ წყალში გადახტება და თავს უშველის. თახვებს ჩხუბი მალე ავიწყდებათ.

დღისით ტბაზე მეტწილად სიჩუმეა გამეფებული. მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე თახვები ერთი მეორის მიყოლებით ამოყვინთავენ და არემარეს აახმიანებენ.

თახვები გარეგნულად ერთმანეთს ჰგვანან და მათი ამოცნობა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თურმე შეიძლება. ორ თვემდე ასაკის პატარა თახვებს ქოხთან ახლოს ვიჩვევდი. შემდგომ ერთმანეთისგან თავისებურად განსხვავდებიან ხმით, მოძრაობით, სხეულით. თუ გულდასმით დავაკვირდებით, შეიძლება განვასხვავოთ კიდეც. სანამ ამას შევძლებდი თითქმის ოცამდე ერთნაირ თახვს ვითვლიდი.

როგორც კი თახვებს ერთმანეთისგან გავარჩევთ, სახელებს ვარქმევთ. მაგალითად, უკვ მყავს “ბედნიერი”, “ხულიგანი”, “უეიკინი”, “უეიკინუ”, “ვერცხლის ქუსლი”, “მსხვილი საფანტი”, “შაქრის თავი”, “ჯელი როლი №2” და მრავალი სხვა. სახელები აღარც კი გვყოფნის. ყოველ შემთხვევაში თავიანთ სახელზე არასდროს გვეხმიანებიან, მაგრამ ყოველთვის მოდიან თუ მათებურად მოვუხმობთ. ეს რამდენჯერმე გამეორებული ძახილი “მა–უ-ი-ი–მ–მ–მ” საერთო სახელად იქცა და ჩვენც ყველას მა–უის ვეძახით. თუ რომელიმე მათგანს მოვუხმობთ, ყველა მოდის. ეს სიტყვა ოჯიბუეურს სიტყვას გვაგონებს, რაც ყვირილს ნიშნავს. თახვები თავნებობის გამო ერთი მოხმობიდან მეორედ რამდენიმე საათის მერე გვეხმიანებიან, ღამით რამდენჯერმე გამოჩნდებიან, დილით კი აუცილებლად ძილის წინ.

შემოვლის მერე ქოხში დაბრუნებისას ხშირად ქურდობის კვალს ვაწყდებოდი. ქვაბს სახურავს ხდიდნენ და კარტოფილს სულ იტაცებდნენ. ერთხელ წვნიანით სავსე ქვაბი გადააყირავეს, ვაშლით სავსე ყუთი გახსნეს, ტბისკენ სკამიც წაათრიეს, მაგრამ მერე მიაგდეს. როგორც ჩანს თახვებს თეფშები დიდ ალაფად მიაჩნდათ და იატაკზე დაუმაგრებელი თეფშები ბრინჯის მირთმევის მერე იკარგებოდა და ვეღარც ვპოულობდით.

ასე დავკარგეთ თეფშები, თუმცა სამი თვის მერე ერთი ცალი ქოხთან მოაგდეს.

ერთხელ ტყისმცველთან შევყოვნდი და როცა დავბრუნდი, ქოხის უკან დაჭრილი შეშის მოსატანად წავედი, მაგრამ აღარაფერი დამხვდა. აღარც ნედლი შეშის ნაჭრები ეწყო, რაც ღამით ცეცხლის შესანარჩუნებლად მჭირდებოდა. ირგვლივ მივიხედ–მოვიხედე და რაღაც უცნაური სიცარიელე ვიგრძენი, რაღაც მოვინაკლისე. თურმე შეშის საწყობის კარავიც გამქრალიყო, კარვის საბჯენი ჭოკებიც წაეღოთ. ნედლი ვერხვისგან გაკეთებული მორის დასახერხ ჯოჯგინასაც ვერსად მივაგენი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დედოფლის ნამოქმედარი იყო, რაშიც საკვირველი არაფერია, გარდა იმისა, რომ ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა მე უჩვეულო დროს ერთადერთხელ შევყოვნდი ქოხს გარეთ.

ტბა ნელ–ნელა იყინებოდა. ჯერ გაუყინავ წყალში თახვები გულმოდგინედ იღწვოდნენ, იმარაგებდნენ ტოტებს. თახვების მთელი ოჯახი ერთი კვირის განმავლობაში ამტვრევდა ყინულის ქერქს. მერე რა თქმა უნდა წყალი გაიყინა. ჯელი შობამდე ყოველდღიურად მოცურდებოდა ხოლმე ჩვენთვის გაკეთებულ ყინულჭრილთან, საიდანაც ვაშლებს ვაწვდიდით. გარკვეული დროის მერე ფაცხიდან ჯერ მათი კინკლაობის, შემდეგ კი წკლაპუნისა და ღეჭვის ხმა ისმოდა. ვვარაუდობ, რომ ყინვიანი ჰაერი ცხოველებში ალბათ ფილტვების დაავადებას იწვევს, თახვები კი ფაცხაში რბილ და ნესტიან ჰაერს არიან ჩვეულნი. ეს იმან მაფიქრებინა, რომ როცა ჯელი ყინულჭრილთან მოცურდებოდა, ჩვეულებრივ არ მეხმიანებოდა. როგორც ჩანს ცივ ღამეებში, გარეთ, ჰაერზე ის სუნთქვას შეიკრავდა და სწრაფად ფაცხაში ბრუნდებოდა. ახლა, ყინულჭრილზე ქერქს აღარ ვამტვრევ და ვაშლებს ქერქის ქვეშ ვტენი. მართალია ჯელის ვეღარ ვხედავ, მაგრამ ვაშლები ქრება.

წელიწადნახევრის წინათ ჯელის სადედოფლოს ახალი ქვეშევრდომი მიემატა, გოგონა შეგვეძინა, ის და ჯელი მხიარულად ატარებენ დროს, თუმცა შეუფერებელ დროს თახვთან არ ვუშვებთ, რათა მან მოწონებული "ნივთი" არ მიითვისოს.

ჯელი ჩვენს შვილზე ათი ფუნტით მძიმეა, მაგრამ სიმაღლით ტოლები არიან. ერთმანეთს წინ დაუდგებიან და ჯერ არგაგონილ ენაზე საუბრობენ. ჩვენი გოგონა სიხარულისგან გიჟდება, როცა ეს შავი ბეწვის შეღებილკბილებიანი[27] სათამაშო ხელიდან ვაშლს ართმევს. თახვი გამორჩეულად ნაზად ექცევა გოგონას, მაგრამ როუხაიდზე მეტად არა. როუხაიდი მორიდებულია, თვინიერი, მუხლჩაუხრელი მშრომელი. თავისი კოჭლობა ალბათ აღარც ახსოვს და აღარც ის, რომ კინაღამ არ დაიღუპა. ახლა მას შთამომავლობა ჰყავს

[27] შეღებილკბილებიანი – მოზრდილ თახვს წინა კბილები მუქი ნარინჯისფერი აქვს.

და ამით ბედნიერია. როცა როუხაიდი წინ დამიჯდება და წყნარად მაკვირდება, ნეტავ ვიცოდე ამ დროს რას ფიქრობს.

თახვების სახლის ეს მდუმარე ხელისუფალი თუ მოინდომებს, ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი მოდგმა აქედან წაიყვანოს, ვერაფერი შეაჩერებს, გარდა საპყრობილესი და სიკვდილისა და მეც ვფრთხილობ, რომ არ ვაწყენინო.

ჯელის და როუხაიდს მრავალ ქვეყანაში იცნობენ, ახლა კი უშფოთველად სძინავთ, ხვრინავენ და თავიანთი სახელგანთქმულობისა არა იციან რა, მე კი ვზივარ და ვფიქრობ: ახსოვს კი დედოფალს ის ბნელი ქოხი შორეულ ტემისკაუატზე, საწოლი, მაგიდა, ღუმელთან დაფენილი ირმის ტყავი, რაზედაც დაძინება უყვარდა, როგორ შემეგებებოდა დაბრუნებისას, ჩვენი ერთად გატარებული დღეები, სანამ როუხაიდი შემოგვემატებოდა, ჩვენ ხომ ხშირად ერთად გვეძინა, წყლის მოტანაში რომ "მეხმარებოდა", კარს ცხვირწინ რომ მომიჯახუნებდა ხოლმე, როცა ჩვენ ერთად ვწერდით წიგნს, როცა გაქრა და კინაღამ არ დაიღუპა და როცა ანახარეო დაგვიბრუნდა.

ეს ყველაფერი ალბათ ბუნდოვნად ახსოვს, დღეს კი უკვე მბრძანებლობს როუხაიდზე, ანახარეოზე და პატარა დოუნიზე[28], ყველა ჩვენთაგანზე და ის ამით ბედნიერია.

[28] დოუნი – ნიშნავს ალიონს, ლეგა ბუს გოგონას სახელი.

ეპილოგი

ბობოქარი მისსისსაუგა ისევ მოქუხს ფიჭვნარით მორთულ–მოკაზმულ კლდეებს შორის, სპილოს მთა კვლავ გადმოჰყურებს ტულეიდის ტბის შესასვლელს. სადღაც, ლავრენტიის სერებს შორის მდებარე პატარა ტბების ნაპირებს ჯერ ისევ ატყვია ჩემი კოცონის კვალი.

იმედს არ ვკარგავ, რომ ადგილებს მოვინახულებ.

იქ ხომ ისინი დარჩნენ, ვისთანაც ერთად მინდა, რომ კოცონს კვლავ მოვუჯდე და გარდასული დღეები გავიხსენო, როცა ჩვენ ერთად ტყის უღრანში ბილიკებს ვკვალავდით.

ოჯიბუეის ენაზე უნდა ვილაპარაკო, იმ ხალხის ენაზე, რომელმაც მიშვილა, რათა არც ერთმა მათგანმა არ იფიქროს, რომ მშობლიური ენა დამავიწყდა; უნდა ვიხილო მისსისსაუგა, მისი ხმა ხშირად ჩამესმის საღამოობით, ხან გარიჟრაჟზეც, როცა სულ მარტოდმარტო ვარ.

შემოდგომაზე, როცა ტყეები აფერადდება და გრანიტის კლდეებზე ნეკერჩხალი წითლად აბრიალდება, მშობლიური ქალაქი ბისკო მინდა მოვინახულო. მას ჩემი კანოეთი ღამით მივადგები, რადგან სწორედ ღამით დავტოვე, მივცურდები და მისალმების ნიშნად ხმამაღლა ბუსავით დავიკივლებ და როგორ გამიხარდება ათეული ქოხიდან რომ გამომეხმაურებიან.

ეს ჩემი ოცნება მინდა უახლოეს მომავალში ავისრულო, მაგრამ როდის, ჯერ არ ვიცი. აქ, დასავლეთის ცის ქვეშ ჩემი მოვალეობა მაკავებს.

ქოხის ირგვლივ, სადაც ახლა ამ სტრიქონებს ვწერ, ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე უკიდეგანო ტყეებია გადაჭიმული.

აქ კოლონიზატორებს რკინიგზა არ გაჰყავთ, ტყეებს არ ჩეხენ და არ წვავენ. აქ ვერსად გადაეყრებით ცულით შეიარაღებულ გადმოსახლებულს და მის გადამწვარ ნაკვეთს.

ნებისმიერი სერიდან ადამიანი უკიდეგანო ხელუხლებელი ტყეების ცქერით დატკბება. ეს ტყეები არასდროს განადგურდება გაუმაძღარი კაპიტალისტის სასარგებლოდ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი I. მოგზაურობა დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყნისკენ

ბედისმაძიებელი …….….. 6

ლეგა ბუს ქორწინება ……..…. 10

შემობრუნება ……. 12

თახვებზე ნადირობა ……... 14

ობლები …….. 17

შვილობილები …….…. 19

ნადირთ სამეფოს შვილები …….... 24

რატომ მოიჭირეს ქამრები …….. 29

დავითი თეთრი ქვა …….. 34

ჯო აიზეკი …….… 36

შორი გზა …… 39

ქალაქი – კონსერვი ……43

ციური მანანა ……..….….. 45

ცივი აბაზანა ……..…… 48

სასიამოვნო გასართობი ……..…. 52

ბედნიერი ნაპოვნი …… 53

გზა უფსკრულზე გადის …….…. 55

ლეგა ბუს დროშა …….. 59

მაკ–ჯინტი და მაკ–ჯინისი …….….. 64

როგორ გახდა ლეგა ბუ მწერალი …….74

ბედნიერება …….. 78

ეშვი და ბრჭყალის კანონი …….……..….. 79

უკანასკნელი დაყვირება …….……..…… 82

ნაწილი II. თახვების დედოფალი ოქროს ქვიშრობი …… 87

დედოფალთან ერთად გატარებული ზამთარი ……. 93

სიტყვების ძიება …….…. 103

დედოფლის გაქცევა ……... 107

როუხადის მობრძანება …….…… 110

ჭაღარა ჯენტლმენი ……..…. 113

ონდატრის საიდუმლო …….. 116

დავითის ამბავი …….. 117

წიგნი მიიღეს …… 118

თახვების გამოღვიძება …… 120

დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის მხარეში ……. 123

ეპილოგი …… 127